



This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library hosted by the [Institute for the Study of the Ancient World Library](#) in partnership with the [Georgian National Museum](#).

- Author: Muskhelishvili, L. / მუსხელიშვილი, ლ. / Мухелишвили, Л.
- Title: არქეოლოგიური ექსკურსიები მამავრის ხეობაში / Археологические экскурсии в долине реки Машавери / Excursions archéologiques dans la vallée du Machavéri
- Publication Date: 1941
- Publisher: Georgian National Museum
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscce42eb851c8

## About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

Л. МУСХЕЛИШВИЛИ

АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ЭКСКУРСИИ  
В ДОЛИНЕ РЕКИ МАШАВЕРИ

---

L. Mouskhélichvili

EXCURSIONS ARCHÉOLOGIQUES DANS  
LA VALLÉE DU MACHAVÉRI

ГОСУДАРСТВЕННЫЙ МУЗЕЙ ГРУЗИИ


ТБИЛИСИ—1941—TBILISSI

WE  
1300

ლ. მუხომბელიძე


# საქართველოს მემკვიდრეობის მუშავეების სემინარი

92774  
10782



საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

თბილისი  
1 9 4 1



85-111

დაიბეჭდა საქართველოს სახელმწიფო მუხრეფი-  
სამეცნიერო საბჭოს განკარგულებით.

თავმჯდომარე პრეფ. შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი

მ/მგ. რედაქტორი პრეფ. შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვა . . . . .	83.
I. უკანგორი . . . . .	7
II. დმანისიდან ქვეშამდე (აბულბუგი, ორსაყდრები, დაქცეული საყდარი, სვეტიცხოველი, კიანეთი, დავით-საგარეჯო, ქვეში) . . . . .	8
III. ტნუსის თეკენები . . . . .	24
IV. ბოსლების სამება . . . . .	35
V. სამება—ბაჩქიჩეთი (კაკლიანი, ყიზილ-ქილისა, შინდლარა, ბაშქიჩეთი) .	44
VI. ჰამამლუ (ფინეზაური, საფარლუ, ჯომუშ-ბათან, კზილ-ქილისა, ჰა- მამლუ) . . . . .	51
VII. ქვემო და ზემო ოროზმანი . . . . .	52
დასკვნა . . . . .	75
Археологические экскурсии в долине р. Машавери (Резюме) . . . . .	81
Excursions archéologiques dans la vallée du Machavéri (Résumé) . . . . .	84
	94

## ს უ რ ა თ ე ბ ი ს ს ი ა

- ტაბულა I, სურ. 1. უკანგორი. „ორკარიანი ეკლესია“. გეგმა და განაკვეთები.
- „ II, „ 2. უკანგორი. „ორკარიანი ეკლესია“. ასახულობა სამხრეთიდან.
- „ II, „ 3. უკანგორი. თათვარაზის წარწერა.
- „ III, „ 4. უკანგორი. ბოლნური მედალიონიანი ლორფინი.
- „ III, „ 5. უკანგორი. ბოლნური მედალიონიანი ქვის ფრაგმენტი.
- „ III, „ 6. უკანგორის ბოლნური მედალიონიანი ქვის ფრაგმენტის (სურ. 5) ორნამენტის აღდგენილი სახე.
- „ IV, „ 7. უკანგორი. ბარელიეფიანი ქვა ფარშევანგის გამოსახულებით.
- „ IV, „ 8. უკანგორი. ორი ბარელიეფიანი ქვის ფრაგმენტები.
- „ V, „ 9. მცხეთის ჯვარი. დემეტრე ვპატოსის ბარელიეფი. ე რ მ ა კ ო ვ ი ს გადანაღების მიხედვით.
- „ VI, „ 10. ორსაყდრები. ორნამენტირებული ქვა ქვემო ეკლესიის ჩრდილო-კედელში.
- „ VI, „ 11. კიანეთი. გზისპირის ეკლესიის გეგმა, განაკვეთი და ფასადები.
- „ VII, „ 12. კიანეთი. ბარელიეფიანი საფლავის ქვა, სოფლის ეკლესიასთან.
- „ VII, „ 13. ქვეშის ციხე სამხრეთიდან.
- „ VIII, „ 14. ქვეშის ციხე. მეორე სართულის კიბე. მარჯვნივ ჩანს შესავლის გვირაბი.
- „ VIII, „ 15. ტნუსის თეკენების ქვემო ეკლესია. ეკვტერის აღმოსავლეთ კედელში ჩასმული ორნამენტირებული ქვა.
- „ VIII, „ 16. თეკენების ქვემო ეკლესიის კედელში ჩადგმული ქვის (სურ. 15) ორნამენტის აღდგენილი სახე.
- „ IX, „ 17. თეკენების „შველის ეკლესია“. სამხრეთი კედლის ბარელიეფები.
- „ X, „ 18. თეკენების „შველის ეკლესია“. სამხრეთი კედლის ბარელიეფი ირმების გამოსახულებით.
- „ X, „ 19. ოშკის ბარელიეფი. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ის ექსპედიციის მულაჟიდან.
- „ IX, „ 20. თეკენების „შველის ეკლესია“. დასავლეთის შესავალი.
- „ XI, „ 21. ბოსლების სამება. ასახულობა სამხრეთიდან.
- „ XII, „ 22. ბოსლების სამება. გეგმა და განაკვეთი.
- „ XIII, „ 23. ბოსლების სამება. აღმოსავლეთის ფასადი.
- „ XIII, „ 24. ბოსლების სამება. ჩუჭურთმის ერთ-ერთი მედალიონი.
- „ XIII, „ 25. ბოსლების სამება. ჩუჭურთმის ერთ-ერთი მედალიონი.
- „ XIII, „ 26. ბოსლების სამება. ჩუჭურთმის ერთ-ერთი მედალიონი.
- „ XIV, „ 27. ბოსლების სამება. კარის ამყოლის სვეტი.
- „ XV, „ 28. ჰამამლუს მცირე ეკლესია. გეგმა.
- „ XV, „ 29. ბოლნური მედალიონიანი ქვის ფრაგმენტი ზემო ოროზმანიდან.
- „ XV, „ 30. სირიული მედალიონი. Butler-ის მიხედვით.
- „ XVI. მარშრუტების რუკა.



## წ ი ნ ა ს ი ტ უ ვ ა

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ანგარიშს იმ არქეოლოგიური ექსკურსიებისას, რომლებიც ჩატარებული იქნა დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1936 და 1937 წლების ზაფხულის თვეების განმავლობაში<sup>1</sup>. ეხლა, როდესაც ეს მასალები გამოსაცემად დამუშავდა, მე ვხედავ, რომ ჩვენი მოგზაურობების ექსტენსივობა მათი ინტენსივობის ხარჯით ხდებოდა. ეს დიდი ნაკლია და პირადად ჩემთვისაც გაცილებით უფრო სასურველი იქნებოდა ამ მასალების გამოქვეყნება მათი სათანადოდ შევსების შემდეგ. მაგრამ ერთია სურვილი და მეორე — შესაძლებლობა მისი ასრულებისა. რადგან ადვილი მოსალოდნელია, რომ, სხვა სამუშაოთა გამო, ბოლნის-დმანისის რაიონში კარგა ხანს აღარ მომიხდება ყოფნა ისე ხანგრძლივად, რომ საშუალება მქონდეს აღნიშნული ნაკლი შევავსო, ხოლო უკვე ისიც, რაც ჩვენი ექსკურსიების მიერ არის დაგროვებული, ჩემის აზრით, ყურადღების ღირსია და მრავალ ახალ მითითებას შეიცავს, გადავწყვიტე ამ მასალის წარმოდგენა მკითხველის წინაშე იმ სახით, როგორც მას ამ უამად აქვს. თანაც ერთი ღირსება რაიონის შესასწავლად ექსტენსიურად წარმოებული ექსკურსიებისა არ შეიძლება უარვყოთ, სახელდობრ ის, რომ ამით სწრაფად იზრდება ჩვენი თვალსაწიერი და ზოგადი მიმოხილვის საშუალება.

რაც შეეხება თვით ამ გამოცემას, მე მინდა აქ შემდეგი შევნიშნო: უკეთეს ეს ნაშრომი ტექნიკური გაფორმების მხრით უნაკლო გამოვიდა, თუ, კერძოდ, კლიშეთა მკაფიოობა ხელს შეუწყობს ტექსტის გაგებას, ამის მიზენი საქ. სახ. მუზეუმის გამომცემლობის ხელმძღვანელის, ამხ. შ. ჩხეტიას, ტექრედაქტორის, ამხ. დ. ემუხვარის და კორექტორის, ამხ. ეკ. კაკაბაძის, უანგარო ენერგია და საქმის სიყვარულია, რისთვისაც გულწრფელი მადლობის გადახდით მე შემიძლიან ჩემი დავალიანების მხოლოდ უმცირესი ნაწილი გამოვიხსნა.

<sup>1</sup> იხ. ჩემი „დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა)“, კრებული „შ. რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, თბ., 1938, გვ. 319—320.

## I. უკანგორი<sup>1</sup>

დამბლუტის წყალი, რომელზედაც უკანგორი მდებარეობს, ლოქის მთაში გამოდის და მარჯვნიდან ერთვის მაშავერს კაზრეთისა და ბალიქის ხევეს ზემოთ. დამბლუტის ხევის შესართავს უკანგორი დაშორებულია შვიდიოდე კილომეტრით. მე გორუნჯუკიდან მომიხდა უკანგორში ასვლა<sup>2</sup>. აქ მანძილი სულ მცირეა, 4—5 კილომეტრს არ აღემატება.

დამბლუტის ხეობა ჯერ ისევ-ისე თითქმის სრულებით უკაცრიელია. უკანგორამდე მთების კალთები შემოსილია ხშირი ფოთლოვანი ტყით. სახნავი მიწები უჭირავთ გორუნჯუკელებს, რომლებმაც დიდი ხანი არ არის რაც ტყე გაჰკაფეს მდინარის გასწვრივ. უკანგორში ამ რამდენიმე წლის წინათ დასახლებულა ვარდისუბნიდან გამოსული გლეხობა (17 კომლი). სოფლის ზემოთ ამათ მცირე სახნავი მიწები აქვთ. არის ვენახებიც. მერმე იწყება უფრო ხშირი და ულრანი ტყე და ვიდრე თათრებით დასახლებულ ჯანდარამდე მოსახლეობა აღარაა.

ვახუშტის რუკა ამ ხეობაში უჩვენებს, უკანგორს გარდა, რამდენსამე დასახლებულ ადგილს (ვანი, კრკონი, ტანძია და სხვ.), რომლებიც დღეს ადგილობრივ აღარ ახსოვთ. ნაშთების მიხედვით ცხადია, რომ მოსახლეობა აქ, ყოველ შეთხვევაში უკანგორამდე, ოდესღაც მჭიდრო უნდა ყოფილიყო. ამასთან, აქ ძველთა-ძველი ნაშთები ჩანს. ზოგიერთი ადგილების სახელები, რომლებიც ადგილობრივ მკვიდრთ ახსოვთ, უთუოდ ძველი გადმონაცემია, ზოგი კი შეიძლება ახლად შერქმეული იყოს.

გორუნჯუკიდან დაახლ. 1,5 კმ-ის მანძილზე დამბლუტის ხევის მარცხნიდან ერთვის მალაროს ხევი, რომლის ზემოთ მარაბდის ნანგრევები მდებარეობს.<sup>3</sup> აქ ჩანს ნასოფლარი (ქვის საძირკვლების ნაშთები), რომლის ერთნავიანი მცირე ეკლესია, ნაგები უბრალო ქვით ქვითკირზე (თლილი ქვა მხოლოდ კუთხეებშია ნახმარი), საინტერესოა იმით, რომ შიგ ბოლნური მედალიონიანი ქვა

<sup>1</sup> ეს თავი დაიბეჭდა ენიმკი-ს მოამბის X ტომში შემდეგი სათაურით: „უკანგორის ისტორიული ნაშთები“.

<sup>2</sup> 1937 წ., შემდეგ იქ იყვნენ არქიტექტორები ც. გაბაშვილი და რ. მეფისაშვილი, რომლებმაც ძველი გაზომეს.

<sup>3</sup> 1721 წლ. ხალხ. აღწ. დავთარში რომ მე-179 გვერდზე მარაბდა იხსენიება, სწორედ ეს შეიძლება იყოს, რადგან იგი ჩატანილია ბოსლების და დამბლუტის გვერდით, როგორც „დმანისის ხეობაში“ მდებარე (შდრ. იქვე, გვ. 333, საცა იგივე სოფელი უკვე ვანისა და წყნეთის გვერდით გვხვდება).



გდია, უთუო ნიშანი ამ ნასახლარის დიდი სიძველისა. კიდევ ორიოდ კილომეტრით უფრო ზევით დამბლუტის წყალს მარცხნიდანვე ერთვის რ ი ყ ის ხ ე ვ ი, რომლის ცოტა ზემოთ მარჯვნიდან, ე. ი. აღმოსავლეთიდან ჩამოდის წოწოლაველის ხევი. მის ზემოთ დგას ერთნავიანი მცირე ეკლესიის ნანგრევი კვრინჩხიანისა, რომელიც მე არ მინახავს. ცოტა უფრო ზემოთ დამბლუტის წყალს მარჯვნიდან ერთვის კ ა ზ რ ე თ ი ს ხ ე ვ ი<sup>1</sup>. აქედან უკანგორამდე დაახლ. 1 კმ-ია. მთელ ამ ადგილს კაკლიანს ეძახიან ნიგვზის ხის სიმრავლის გამო. კაკლიანის თავში, დამბლუტის წყლის მარცხენა ნაპირას დგას უკანგორი. უკანგორს ზემოთ ტყეში უჩვენებენ რალაც ძველ მადნებს და საყდრის ნანგრევს, რომელსაც წიწვიანს უწოდებენ და რომელიც, ვითომ, საინტერესო „დაწერილ“ ქვებს უნდა შეიცავდეს.

უკანგორში ორი ეკლესია ყოფილა. ერთი, წყლის მარცხენა ნაპირას, სრულებით დაუნგრევიათ და მისი ქვა აბანოს ასაშენებლად გამოუყენებიათ ოქროს მაძიებლებს, რომლებიც უკანასკნელ დროს რამდენიმე წლის განმავლობაში რეცხავდნენ აქ ოქროს ქვიშას, რომელიც მცირედ ჩამოაქვს დამბლუტის წყალს. შენობის დანგრევისას თვალს მოეთარა ერთი წარწერიანი ქვა, რომელიც, ადგილობრივთა მოთხრობის მიხედვით, მეტად საინტერესო იქნებოდა, მით უმეტეს რომ, როგორც ვნახავთ, ეს შენობა ძალიან ძველი უნდა ყოფილიყო. რამდენადაც მახსოვს, შენობა ისე საფუძვლიანადაა დანგრეული, რომ თითქმის მისი კვალიც კი აღარა ჩანს, თუმცა, ყველა ნიშნებით, იგი მეორე ეკლესიაზე უფრო პატარა უნდა ყოფილიყო, რომელიც წყლის მარჯვენა ნაპირასა დგას ა რომელსაც „ორკარიან ეკლესიას“ უწოდებენ.

ეს უკანასკნელი, ი. ს ტ რ ი გ ო ვ ს კ ი ს ტერმინოლოგიით, სიგრძივ მიმართულს ერთნავიან ცილინდრულ შენობას წარმოადგენს<sup>2</sup>, ორიენტირებულს სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ (ტაბ. I, სურ. 1). იგი ორსაფეხურიან ხარისხზე დგას<sup>3</sup> და გარედან მისი ძირითადი ოთხკუთხედი სიგრძით 14,10 მ-ს, ხოლო სიგანით 7,40 მ-ს შეადგენს. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მას აკრავს ოთხკუთხი სადიაკვნო, რომლის სიგრძე 6,00 მ-ს, ხოლო სიგანე 3,00 მ-ს უდრის და რომელსაც შესავალი მხოლოდ ეკლესიის შიგნიდანა აქვს.

კედლები ძალიან სქელია (საშუალოდ, 1,25 მ.) და როგორც გარედან ისე შიგნიდანაც შემოსილია თლილი ქვის პერანგით, რომლის შიგნით ჩასხმულია კუორ-დულაბი (ბეტონი). პერანგის ფილაქნები სხვადასხვა ზომისაა, მაგრამ სქარბობს დიდი ზომის ქვები (1,00×0,70 მ. და მისთ.). წყობაში კარგადაა დაცული თარაზულობა (ტაბ. II, სურ. 2). მასალა ერთფეროვანია, ლამაზი მოყვითანო ქანისაა, მაგრამ აქა-იქ სხვა მასალის მოჩუქურთმებული ქვებიცაა ჩადგმული კედლებში, თუმცა არც ერთი თავის თავდაპირველ ადგილზე არ იმყოფება.

<sup>1</sup> ეს კაზრეთი ნასოფლარია მთაში, უკანგორიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. აწ ცნობილ სოფ. კაზრეთთან, რომელსაც ჯალდამსაც და ტაბახმელასაც ეძახიან და რომელიც უფრო მოშორებით მდებარეობს ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, თითქმის ზედ მაშავრის პირას, მას, სახელს გარდა, საერთო არა აქვს რა (შდრ. ჩემი „დმანისი“, გვ. 328, შენ. 4).

<sup>2</sup> I. S t r z y g o w s k i, Die Baukunst der Armenier und Europa, Wien, 1918, Bd. I, S. 71, Abb. 49.

<sup>3</sup> ზედაპირულად ხარისხი მხოლოდ NO- და NW-მხრიდანა ჩანს, სხვაგან კი მიწითაა დაფარული. შესაძლებელია, მისი საფეხურების რიცხვი ორზე მეტიც იყოს.

რით იყო დაფენილი ორფერდა სახურავი, აღარა ჩანს, რადგან მისი უდიდესი ნაწილი, ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, დაფარულია მიწითა და მცენარეულობით, ხოლო სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი სულაც ჩაქცეულია და აქ შენობის კედლებიც (ვანსაკუთრებით, ჩრდილო-დასავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის კედლები) ნაწილობრივ ჩამონგრეულია. სხვაფრივ შენობა ჯერ-ჯერობით კარგადაა დაცული. მას ორი კარი აქვს (აქედან მისი სახელწოდება — რა თქმა უნდა, ახლახან შექმნილი), ერთი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, მეორე სამხრ.-დასავლეთიდან, ორივე განით 0,70 მ. და სიმაღლით 1,97 მ.. სარკმელი სამია: სამხრ.-დასავლეთიდან, სამხრ.-აღმოსავლეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელს, აფსიდის სარკმელს, განის კედლები გარეთკენ ჩვეულებისამებრ კი არ უფიწროვდება, არამედ პარალელური აქვს. ეს თავდაპირველად მაღალი და განიერი სარკმელი (1,30 × 0,60 მ.) მერმე ქვემოდან 0,50 მ-ის სიმაღლეზე ამოშენებული წყობით დაუმოკლებიათ და ვიწრო ტიხრით გაუყვიათ ორად.

შიგნით ეკლესია წარმოადგენს მოგრძო ოთხკუთხედს, სიგრძით 9,10, სიგანით 4,90 და სიმაღლით 6,65 მეტრისას, რომელიც გადახურულია ცილინდრული კამარით და შუახედ დანაწევრებულია ნახევარფარგლოვანი სართავითა, და რომელსაც ჩრდილო-აღმოსავლეთიდან საკურთხევლის მომრგვალება ამთავრებს. უსწოროდ მრგვალი აფსიდა სიგანით 3,35, ხოლო სიღრმით 2,70 მეტრისაა. აღსანიშნავია, რომ აფსიდის მარცხენა მხარე ნალისებურადაა მოლუწული (თუმცა შეიძლება ეს შემთხვევითი გარემოებით იყოს გამოწვეული).

ზღვე ერთი საფეხურით ორსავე კარზე უფრო დაბალია და ეხლა მიწითაა და ნაგვითაა დაფარული.

ამბიონი შემადგენელია ერთი საფეხურით. საკურთხევლის უკანა კედელზე, სარკმლის ქვეშ, მიშენებულია ქვის ტრაპეზი, სიმაღლით 0,75 მ.

შემკულობა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ უადგილო ადგილას ჩაშენებულ ორნამენტირებულ ქვებს, ეკლესიას, როგორცა ჩანს, არც გარეთა ჰქონია და არც შიგნით. შიგნით მხოლოდ 0,70 მ-ზე წინ გამოშვერილი და 0,65 მ-ის სიგანის პილასტრების ხარისხებია პროფილირებული<sup>1</sup>.

სადიაკვნო, რომლის სიგრძე შიგნით 3,50 და სიგანე 1,80 მ-ს შეადგენს, მართკუთხედს კი არ წარმოადგენს, არამედ ცოტათი უფრო განიერია სამხრეთ-დასავლეთისაკენ, მაგრამ თვალისთვის ეს შეუმჩნეველი რჩება. მას ერთი სარკმელი აქვს ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელში და ამ სარკმლის განის კედლებიც პარალელურია<sup>2</sup>.

„ორკარიანი ეკლესია“ ძირითადად ძალიან ძველი შენობის შთაბეჭდილებას ახდენს, თუმცა მას, ალბათ, არა ერთგზისი შეკეთებაც განუცდია, რომლის ერთი ნიშანი, სხვათა შორის, ზემოხსენებული ორნამენტირებული ქვებიცაა, რომლებიც უადგილო ადგილებშია მოქცეული კედლის წყობაში.

დიდ სიძველეზე მიგვითითებს, ჩემის აზრით, უკვე არაჩვეულებრივი სისქე კედლებისა, მათი მძიმე, მკვიდრი წყობა, დიდი ზომის ფილაქნები.

<sup>1</sup> აღმოსავლეთის ფასადზე სარკმელთან მოთავსებულია მერმინდელი ჯვარი.

<sup>2</sup> უცნაურია, რომ ეს ვიწრო სარკმელი, რომელიც უფრო ხვრელსა ჰგავს, ცერადა სკრის კედელს.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ შენობა აღმოსავლეთისაკენ არაა ორიენტირებული. ეს მოვლენაც გვხვდება უძველეს ქართულ ეკლესიებში. ასე, მაგ., სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენაა ორიენტირებული ძველი გავაზის ტეტრაკონქი (VI ს.)<sup>1</sup> და კიდევ უფრო უსწოროდაა მიმართული ნეკრესის უძველესი ტაძარი (IV ს.)<sup>2</sup>.

კიდევ ერთი დეტალი შეიძლება იყოს დამახასიათებელი. უკვე მოვიხსენიე, რომ აფსიდის სარკმლის კედლები პარალელურია. ეს მოვლენა, რამდენადაც შემოწმება შემეძლო. მხოლოდ უძველეს ტაძრებში გვხვდება, სომხეთშიც და საქართველოშიც. ასეთი ქეშო კედლებიანი სარკმლის მქონე აფსიდა აქვს დირაკლარის IV ს-ის ტაძარს<sup>3</sup>, ერერუიქის ბაზილიკას, რომელსაც ი. სტრიგოვსკი V ს-ის პირველი ნახევრით ათარიღებს<sup>4</sup>, ქასახის იმავ საუკუნის შუახანებში აშენებულ ტაძარს<sup>5</sup>, აშტარაკის ტაძარს, რომელიც აგრეთვე იმავე საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება<sup>6</sup>, ხოლო საქართველოში ძველი გავაზის უკვე ხსენებულს VI ს-ის ტეტრაკონქს<sup>7</sup>.

ამგვარად, ის პარალელები, რომლებიც ზემოთ იქნა დასახელებული, ყველა IV—VI საუკუნეების ფარგლებში თავსდება.

თავისი გეგმითაც უკანგორის ტაძარი უძველეს ერთნავიან შენობებს უნდა მიეკუთვნოს<sup>8</sup>. ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია სამხრეთიდან მიშენებული სადიაკვნო, რომელსაც შესავალი მხოლოდ ეკლესიის შიგნიდანაა აქვს და რომელსაც სტრიგოვსკი ძველი აღმოსავლური (მესოპოტამიური) ტრადიციის ზეგავლენას მიაწერს.

დაბოლოს, მორთულობის უქონლობაც შეიძლება უძველეს ეკლესიას ახასიათებდეს.

ვარდა იმ ორნამენტირებული ქვებისა, რომლებიც ტაძრის კედლებშია ჩადგმული, უკანგორში აღმოჩნდა წარწერიანი და მოჩუქურთმებული ფრაგმენტების მთელი კომპლექსი, რომლის განხილვასაც ჩვენ ეხლა შევუდგებით და რომელიც, ჩემის აზრით, საშუალებას გვაძლევს ტაძრის ქრონოლოგია უფრო ნიშანდობლივადაც განვსაზღვროთ.

<sup>1</sup> იხ. გ. ჩუბინაშვილის ქართ. ხელოვნების ისტორია, ტ I, თბ., 1936, გვ. 57, სურ. 35.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 25, სურ. 1.

ტაძრების არაკანონიკური ორიენტაცია, მართალია, მერმეცა გვხვდება გამონაკლისის სახით. ასე, შორეთის მონასტერი მესხეთში, რომელსაც ე. თაყაიშვილი XII—XIV საუკუნეებით ათარიღებს. და კალმახის ტაძარი, რომელიც, გეგმის მიხედვით, XI ს-ის ძველი ჩანს, ორიენტირებულია სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ (იხ. ე. თაყაიშვილის გამოც. ქართ. ხუროთმოძღვრების აღბოძი, თბ., 1924, ტაბ. I და 15, და Материалы по Археологии Кавказа, вып. XII, стр. 13; ხუჯაბის ტაძარი (XIII—XIV ს.) ორიენტირებულია ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ (გეგმა ინახება შ. რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმში); შდრ. აგრეთვე ქვემოთ კიანეთის გეგმა.

<sup>3</sup> Strzykowski, დასახელ. ნაშრ., გვ. 140, სურ. 52.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 153, სურ. 177.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 150, სურ. 172.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 147, სურ. 167.

გ. ჩუბინაშვილი, ნახსენ. ადგ. და გვ. 59, სურ. 38.

შდრ. დირაკლარის და ელევარდის გეგმები Strzykowski-ს ნახსენებ შრომაში.

ეკლესიის გარშემო პატარა სასაფლაოა. აქ გდია წარწერიანი ჯვარის კვარცხლბეკი (ტაბ. II, სურ. 3), რომელიც დიდ ქვის კუბს წარმოადგენს, ზომ. 0,70×0,47×0,35 მ.. ზემოდან ამ ქვაში ამოღებულია მრგვალი ბუდე ჯვარის ჩასადგმელად. ბუდის ნაპირები სანახევროდ ჩამოტეხილია, ისე რომ მისი დიამეტრის გამორკვევა ზედმიწევნით არ შეიძლება. ბუდის ფსკერში, შუაადგილას, ამოღებულია პატარა ფოსო, ცხადია, ლითონის ღერძის ჩასადგმელად, რომელზედაც ჯვარი იყო ჩამოცმული.

კვარცხლბეკის ერთ გრძელ პირზე გამოქანდაკებულია ნ. სტრიქონიანი მთავრული წარწერა, რომელიც შემდეგნაირად იკითხება:

1. [ქ] პეტრს ხოვცსობას[ა]
2. მე თათვარაზ აღხოვ
3. [მ] [ა] რთე ესე ჯოვარი სახე
4. [ლითა] ლ[თა] შე[წ]ეკნითა იმ - - - - - 1
5. \_\_\_\_\_
6. \_\_\_\_\_

რადგან ქვის ქანი რბილია, წარწერა ძალზე დაშავებულია ატმოსფერული ზეგავლენით. ზოგან გადარეცხილი ასოების ნაკვალევი ჯერ კიდევ კარგად ჩანს (ასე, მე-4 სტრიქონში), სამაგიეროდ მე-5 და მე-6 სტრიქონები სულ აღარ იკითხება.

სასვენ ნიშნებს ჩვენი წარწერა არ იცნობს. ქარაგმა მხოლოდ ერთხელაა ნახმარი (სტრ. 4: ლ[თა]) და წარმოადგენს მარტივ პატარა ხაზს.

პალეოგრაფიულად დამახასიათებელია ტანდაბალი, განიერი ასოები და შეკრული „ვ“ და „ბ“<sup>2</sup>. „შ“-ინი თავგახსნილია.

ყველა ზემოჩამოთვლილი ნიშნებით და ხანმეტობით ეს წარწერა ენათესავება ბოლნისის უძველეს წარწერებს, რომლებიც VI ს-ის დამდეგით, სახელდობრ, 502/3 წლით და მისი ახლო ხანითაა დათარიღებული<sup>3</sup>.

აღსანიშნავია, რომ „ვ“-ს ხმარება სიტყვაში „შე[წ]ეკნითა“ კიდევ უფრო უახლოვებს ამ წარწერას ბოლნისის ორ უძველეს წარწერას, სახელდობრ 502/3 წლისას და დავით ეპისკოპოსისას, საცა ანალოგიური მართლწერა გვაქვს სიტყვებში „თავყანისხცეს“ და „თავყანისმცემელნი“.

<sup>1</sup> ან „ლმ“.

<sup>2</sup> „ბ“-ანი კარგად აღარა ჩანს, მაგრამ ნაკვალევის მიხედვით იგი თავშეკრული იყო.

<sup>3</sup> საინტერესოა, რომ უკანგორის ხანმეტი ფორმა პირველი პირისა: „აღხოვმართე“, ჰაემეტი სახით გვხვდება წყისის წარწერაში („აღხოვმართე“), რომელიც 616—619 წლებით თარიღდება (იხ. ა. შანიძე, ძვ. ქართ. ქრესტომათია I, თბ., 1935, გვ. 25 და 108).

<sup>4</sup> იხ. ჩემი „ბოლნისი“, მარის სახელ. ინსტ-ტის მოამბე III, თბ., 1938, გვ. 326 შშ.

502/3 წლის წარწერიანი ქვა საქ. კულტ. ძეგლთა დაცვის განყოფილებამ ჩამოიტანა თბილისში. იგი ინახება საქ. სახ. მუზეუმის ისტორიულ განყოფილებაში. შენიშვნაში (ნახსენ. ადგ., შენ. 1) მე მომყავს პროფ. ა. შანიძის მიერ ამ წამოყენებული წინადადება წარწერის აღდგენისა, რომელსაც მე არ ვეთანხმებოდი. ახალი დაკვირვების შემდგომ მე ვფიქრობ, რომ პატივცემული მეცნიერის ცდა სწორი უნდა იყოს, მაგრამ პ. ინგოროვიჩის მიერ შემოტანილი არსებითი ხასიათის კორექტივის მიხედვით, წარწერა უნდა დათარიღდეს არა 492/3 წ., არამედ 502/3 წ.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 326 და 328.

მგონია არ შეეცდებით, თუ თათვარაზის წარწერასაც VI ს-ის დამდეგით განვსაზღვრავთ.

სახელი „თათვარაზ“, ცხადია, ერანული უნდა იყოს<sup>1</sup>.

საგულისხმოა ხუცესობის ინსტიტუტის არსებობა დამბლუტის ხეობაში ამ უძველეს ხანაში. ჩვენს წარწერას უთუოდ საერო ან ნახევრად საერო პირი ჰყავს მხედველობაში პეტრე ხუცესის ქვეშ. ეგებ აქ ხევისბრობის მსგავს მოვლენასთან გვექონდეს საქმე.

შიგ ეკლესიაში გდია უფრო პატარა ჯვარის კვარცხლბეკი მოვარდისფრო ქვისა, ზომ.  $0,39 \times 0,355 \times 0,31$  მ., რომლის ერთ პირზე გამოქანდაკებული იყო 7-სტრიქონიანი მთავრული წარწერა. წარწერის უდიდესი ნაწილი სრულებით ჩამოტეხილია. დაცულია მხოლოდ შემდეგი:

1. \_\_\_\_\_
2. თა \_\_\_\_\_
3. და მ<sup>1</sup> \_\_\_\_\_
4. ალხ<sup>1</sup>ო<sup>1</sup> \_\_\_\_\_
5. ესე ჯ<sup>1</sup>ო<sup>1</sup> \_\_\_\_\_
6. ლოცვე \_\_\_\_\_
7. ჩინდა

წარწერის გამოქანდაკებულობა, ასოთა მოხაზულობა (იგივე დაბალი, განიერი ასოები), დაბალყელიანი „დ“-ონი, ხანმეტობა (სტრ. 4), იმდენად აკავშირებს მას პირველ წარწერასთან, რომ საგულგებელი ხდება მათი თანადროულობა. თუ ასეა, მაშინ მეორე სტრიქონში შეიძლება იმავე თათვარაზის სახელი ამოვიკითხოთ, ხოლო მესამე სტრიქონში მისი მეუღლის სახელი ვიგუღვოთ და მთელი წარწერა აღვადგინოთ შემდეგნაირად<sup>2</sup>:

1. [სახელითა ღმრთისაჲთა<sup>3</sup> მე]
2. თა[თვარაზ]
3. და მ<sup>1</sup>[არიაშ]<sup>4</sup>
4. ალხ<sup>1</sup>ო<sup>1</sup>[ვმართეთ]
5. ესე ჯ<sup>1</sup>ო<sup>1</sup>[ვარი სა]
6. ლოცვე[ლად]
7. ჩინდა

მეორე, დანგრეული ეკლესიის ადგილას აღმოჩნდა ჯვრიანი ლორფინი, (ტაბ. III, სურ. 4)<sup>5</sup>, ზომ.  $0,39 \times 0,325 \times 0,07$  მ., რომელზედაც ჯვარის ქვეშ გა-

<sup>1</sup> მართალია, F. Justi, Iranisches Namenbuch, ასეთ შედგენილ სახელს არ იცნობს.  
<sup>2</sup> აღდგენისას გათვალისწინებული მქონდა სტრიქონების სიგრძე—ისინი ძალიან მოკლეა, რაც თვით ქვის ზომიდანაც ჩანს. რა თქმა უნდა, ჩემი აღდგენის ცდა მხოლოდ პირობითია.  
<sup>3</sup> ეს ორი სიტყვა, რა თქმა უნდა, დაქარაგმებული იქნებოდა.  
<sup>4</sup> სინამდვილეში აქ, შესაძლებელია, სულ სხვა, მაგ., სპარსული სახელი ეწერა, რაც იმ დროისათვის ადვილი წარმოსადგენია.  
<sup>5</sup> სურათზე ქვის ზემონაწილი, ფოტოგრაფირების დროს მომხდარი შეცდომის გამო, სამწუხაროდ, კარგად აღარა ჩანს: ზედ დამთხვეულია მეორე ქვის გადანაღები.

მოქანდაკებული ყოფილა 2-სტრიქონიანი მთავრული წარწერა. უდიდესი ნაწილი წარწერისა გადარეცხილია, რადგან ქვის ქანი ძალიან რბილია, დაცულია მხოლოდ ორივე სტრიქონის ბოლო ასოები:

1. —————ოვ
2. —————ან

„ვ“ შეკრულია. პალეოგრაფიული ხასიათი შემონახული ასოებისა ისევ-ისე VI ს-ის დამდეგზე მიგვითითებს. ამასთან, წარწერა ჩასმული ყოფილა სავანგებოდ ამოღებულ ჩარჩოში, მსგავსად ბოლნისის უძველესი წარწერებისა<sup>1</sup>.

ამ ქვაზე ყველაზედ უფრო საინტერესოა ჯვრიანი მედალიონი: ტოლმკლავებიანი, ფართო- და შეზნექილ-კიდებიანი გამოქანდაკებული ჯვარი ჩასმულია მრგვალს, აგრეთვე გამოქანდაკებულ ჩარჩოში. ასეთი მედალიონები კარგადაა ცნობილი ბოლნისიდან. ჯვარი, ჩვეულებრივად, ორკანტიანია, მკლავების გულები ამოღებული აქვს ცერადკვეთით<sup>2</sup>, ჩარჩოსა და მკლავების ჩაზნექილ ნაპირებს შორის დარჩენილი მახვილ-ოვალური ღრმული შეუმკობლადაა დატოვებული, ხოლო მკლავებშორისი, სფერული სამკუთხედის მოყვანილობის მქონე არე ან აგრეთვე ჩაღრმავებულია და გლუვი<sup>3</sup>, ან ბურცულია, სიგრძივ შუაზე წიბო გაუდის და დაფარულია ქდეული წიწვოვანი ორნამენტი<sup>4</sup>, რომელიც ფოთლების ან ნაჭვების შთაბეჭდილებას იძლევა<sup>5</sup>.

<sup>1</sup> იხ. ჩემი „ბოლნისი“, გვ. 326—331. რადგან ქვა VI ს-ის დამდეგისაა. შესაძლებელია, რომ ის დანგრეული ტაძარიც, საიდანაც ეს ქვა მოტანილი იყო, მაგ ხანის შენობა ყოფილა.

„ჩარჩოს“ შესახებ უნდა შევნიშნო შემდეგი: იგი შექმნილია იმის წყალობით, რომ გამოქანდაკებული ასოების მისაღებად წარწერის გრუნტი მთლიანად არის ხოლმე ამოღებული და მხოლოდ კიდებზე არის დატოვებული სწორხაზოვანი ქიმი. თუ გრუნტის ამოღებისას ასო შემთხვევით გაუფუჭდებოდათ, მას სულაც ამოჭვეთავდნენ და ახალ ადგილას გააკეთებდნენ ხოლმე. ამის გამო ერთი და იგივე სიტყვის ასოები ზოგჯერ ძალზე შორი-შორ მოდიოდა ერთიერთმანეთისაგან, რაც განსაკუთრებით ხშირად ეტყობა ბოლნისის 502/3 წლის წარწერას (იხ. ნახს. ადგ. სურ. 10 და 11) და რაც დაზიანებული ადგილების აღდგენისას ასოთა რაოდენობის ვარაუდს აძნელებს.

<sup>2</sup> ამ ტერმინს მე ვხმარობ იმ ტექნიკის აღსანიშნავად, რომელსაც ი. სტრიგოვსკი „Schrägschnitt-ს“ უწოდებს (იხ. მისი *Altai-Iran und Völkerwanderung*, Lpz. 1917, S. 136 ff.). ცერად-ანუ ელმადკვეთილი იმას ჰნიშნავს, რომ რელიეფის კიდები შევეულად კი არაა ჩაქრილი, არამედ ცერად განზუა წაღებული, ისე რომ ორნამენტის ეზო არსებითად გაუქმებულია ანუ მიჩქმალულია. სტრიგოვსკის ეს ტექნიკა ტორვეტიკიდან გამოჰყავს (იხ. იქვე). ჩვენში იგი გავრცელებული იყო უძველეს ხანაში ქვაზე, მერმე კი ხეზეც გვხვდება (იხ., მაგ., ჩუქურთმიანი კარი სვანეთიდან, *Матер. по Археол. Кавказа*, вып. X, табл. XXXVIII: 65, საცა როზეტების გულებია ამოღებული ამ წესით). ქართული ხისმკეთებლობის ნიმუშები V—VI საუკუნეებისა, სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება. შდრ. ხევსურული ტერმინი „ცერად ჩაქრა“ ირიბად ამოღარული ორნამენტისათვის ხეზე (ვ. ბარდაველიძე და გ. ჩიტაია, ქართული ხალხური ორნამენტი I—ხევსურული, თბ., 1939, გვ. 25).

<sup>3</sup> ასეთია, მაგ., დავით ბოლნელის ჯვარი (იხ. გ. ჩუბინაშვილის ქართ. ხელოვნ. ისტ., გვ. 42, სურ. 26) და აგრეთვე ერერუიქის სამხრ. კარის ბალავარზე მოთავსებული ჯვარი (იხ. *J. Strzykowski, Baukunst der Armenier und Europa*, S. 413, Abb. 442).

<sup>4</sup> ასეთია, მაგ., „ვარსკენ ნახაპეტის“ ჯვარი ბოლნისში (იხ. ჩემი „ბოლნისი“, გვ. 33), სურ. 14), რომლის მკლავებს შორის გამოყვანილი ორნამენტის ფოთლოვანი შთაბეჭდილება იმითია გაზრდილი, რომ წიბოზე ქდეა გატარებული (აღსანიშნავია, რომ ამ ჯვარის მკლავებში ბურთულები ყოფილა ჩასმული). ასეა დამუშავებული უკანგორის მოცემული ჯვარიც.

მრგვალი ჩარჩო, რომელშიც ჩასმულია ეს ჯვარი, ჩვეულებრივად, ორი კონცენტრული წრისაგან შედგება, რომელთა შორისი ვიწრო ოლე დატიხრულია ცერად დადგმული, ცერადკვეთით ამოღებული თხელი ძგიდეებით, ისე რომ იქმნება მოპირისპირე ღრუ სამკუთხედების უსასრულო მწკრივი<sup>1</sup>.

ვარიანტებს უფრო ჩარჩო გვიჩვენებს, ვიდრე თვით ჯვარი. მაგ., დაგით ბოლნელის მედალიონის ჩარჩო სამი კონცენტრული წრისა და ორი სამკუთხედებიანი მწკრივისაგან შედგება, ხოლო „ვარსკენ ნახაპეტის“ ჯვარს, ასეთი ჩარჩოს მაგივრად, გარშემო ამკობს ოთხად დახვეული, ირიბი ქდეებით დასერილი რტო, რომლის ბოლოები სამყურა ყვავილებით მთავრდება—ჯვარი თითქოს მცენარეულ ხოიარში არის ჩასმული.

ჯვარი ზოგჯერ ვიწრო და დაბალ ზედადგარზე დგას ჩარჩოს შიგნით<sup>2</sup>.

იშვიათ გამოჩენასებს გარდა, აღწერილი მედალიონი, რომელსაც მე, სიმოკლისათვის, ბოლნურს ვუწოდებ<sup>3</sup>, ყოველთვის მეტად გულმოდგინედ და დიდის ხელოვნებითაა შესრულებული. ამასთან, ყველა მრუდების წინასწარი ნახაზი ქვაზე, როგორც ეს განსაკუთრებით კარგად „ვარსკენ ნახაპეტის“ ჯვარს ეტყობა ადგილზე და როგორც ჩანაზომები ადასტურებენ, ფარგლითაა ხოლმე გაკეთებული. რელიეფი ღრმად და მკვეთრადაა ამოღებული, ქდეები კი მკრთალადაა დასმული.

უკანგორის ქვაზე მედალიონის ზემოთ აშიაა გავლებული, რომელზედაც რელიეფით გამოსახულია ჰორიზონტული მწკრივი ლოტოსის ყვავილებისა<sup>4</sup>. ყვავილის ფურცლები ცერადკვეთითაა ამოღებული. უბეები ყვავილებს შორის შევსებულია ისეთივე ბურცული წიწვოვანი ორნამენტით, როგორიც მოთავსებულია ჯვარის მკლავებს შორის.

ამ ქვის დანიშნულება ისეთივე უნდა იყოს, როგორიც „ძნაჲს“ ჯვრიანი ქვისა, რომელიც ჩასმულია ბოლნისის ტაძრის კედელში<sup>5</sup>. ეს სამახსოვრო ძეგლია. ასეთივე ხასიათი აქვს „ვარსკენ ნახაპეტის“ ჯვრიანი მედალიონს, რომელიც ცალკე ქვაზე კი არაა გაკეთებული და მერმე ჩასმული კედელში, არამედ პირდაპირ სვეტზეა გამოქანდაკებული. ტაძრის კედელში ჩასმულად შეიძლება წარმოვიდგინოთ უკანგორის ქვაც.

მეორე მხრით, ჩვენ გვაქვს ბოლნური მედალიონით შემკული სტელები, რომლებიც უფრო საფლავის ძეგლებსა ჰგავს<sup>6</sup>. უკანგორშიც არის ერთი ოთხ-

<sup>1</sup> ასეთი ჩარჩო აქვს „ძნაჲს“ ჯვარს ბოლნისში (ნახსენ. ადგ., გვ. 331, სურ. 15), რომელიც, სხვებზე, საკმაოდ მჭიდვადაა შესრულებული, ისე რომ ჩარჩოს გარეთი წრე თითქმის სულ გამოუვლინებელია. ერერუიქის ზემოხსენებულ ჯვარსაც იგივე ჩარჩო ამკობს და ასეთივეა უკანგორის მოცემული ჯვარის ჩარჩო.

<sup>2</sup> იხ., მაგ., ჩემი „ბოლნისი“, გვ. 338, სურ. 18. ეს მედალიონი საინტერესოა იმიტაც, რომ ჯვარის მკლავებშორისი უბეებიც ცერადკვეთითაა დამუშავებული და წიბოიანია, თითქოს ცაცხვის ნაყოფის მოყვანილობის ბურცულებითაა ამოვსებული.

<sup>3</sup> შდრ. ჩემი „ბოლნისი“, გვ. 323, სადაც ლაპარაკია „ბოლნურ (ბოლნისურ) ჯვარზე“. მართლაც ამ გამოსახულებას მთლიანად „ჯოჯარი“ ერქვა ძველად. ახლა, რა თქმა უნდა, გამოჩენილ თქვაში „მედალიონი“ აჯობებს.

<sup>4</sup> ლოტოსს ამ ყვავილს მხოლოდ პირობით ვეძახი. მოტივი ისეა სტილიზებული, რომ მისი რეალური სახის გამოცნობა შეუძლებელია.

<sup>5</sup> იხ. ჩემი „ბოლნისი“, გვ. 332.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 338, სურ. 18.

წახნაგა პრიზმული მოყვანილობის, ბოლნური მედალიონით შემკული უწარწერო ქვა<sup>1</sup>, რომელიც აგრეთვე საფლავის ძეგლი უნდა იყოს. შესაძლებელია ჩვენი ქვაც, რომლის ქვემო ნაწილი ცოტაზე ჩამოტეხილია, თავის დროზე საფლავზე იდგა.

მისი თარიღი მოცემულია მისივე წარწერით. ასევეა დათარიღებული მთელი რიგი ბოლნური მედალიონებისა თვითონ ბოლნისში<sup>2</sup>.

მართლაც, ეს მედალიონი მხოლოდ უძველეს სომხურსა და ქართულ ძეგლებზე გვხვდება: იგი ამკობს ერერუიქის ტაძრის (V ს.) სამხრეთი და დასავლეთი კარების ბალავრებს<sup>3</sup> და ბოლნისის სამეკლესიანი ბაზილიკის (VI ს.) კედლებს<sup>4</sup>. უფრო მოგვიანო ხანაში იგი სხვანაირადაა ხოლმე გამოსახული. უკვე VII ს-ის დამდეგის ძეგლის, მცხეთის ჯვრის ცნობილი „ძღვეამოსილების ჯვარი“<sup>5</sup> თუმცა ძალიან გვაგონებს ზოგიერთ ბოლნურ ჯვრებს, განსაკუთრებით, თავისი ნახევარპალმეტებითა (შდრ. ქვემ. ტაბ. VIII, სურ. 15 და 16) და ცერადკვეთილობით, მაგრამ ამავე დროს იგი თვალსაჩინოდ განსხვავდება იმით, რომ მას აკლია ტიპური, სამკუთხედებით თუ სხვა ორნამენტით შემკული ჩარჩო და მკლავებშორისი უბეების შევსება<sup>6</sup>.

ამგვარად, ბოლნური მედალიონის თარიღად თამამად შეგვიძლია V და VI საუკუნეები დავდოთ<sup>7</sup>.

<sup>1</sup> ამ ქვის უფრო ნიშანდობლივ აღწერა, სამწუხაროდ, აღარ მოესწრო. არის ფოტოგადაწარმოები. ჯვარი სამკუთხედებიან ჩარჩოშია ჩასმული, რომელიც მრგვალ სადა ბუნზე დგას. რაზე იდგა თვითონ ბუნი, აღარა ჩანს, ორნამენტი გადარეცხილია. ეგებ აქ ქვემოთ ისეთივე პალმეტებიანი კვარცხლბეკი იყო, როგორც თეკენების სტელაზე (იხ. ქვემ. ტაბ. VIII, სურ. 15). მთელი კომპოზიცია, როგორც ეტყობა, ჩასმული იყო კიდევ სწორხაზოვან ჩარჩოში.

<sup>2</sup> გამოსავალი წერტილი 502/3 წლის წარწერაა. ეს ბალავრის ქვაც შემკული ყოფილა ბოლნური მედალიონით, რომლის ქვემო ნაწილია მხოლოდ შენახული (იხ. „ბოლნისი“, გვ. 325, სურ. 11). შემდეგ, წარწერები ათარიღებს დავით ეპისკოპოსის ქვაზე გამოსახულ ჯვარს და აგრეთვე „ვარსქენ ნახაპეტის“ ჯვარს.

<sup>3</sup> J. Strzygowski, დასახელ. ნაშრ., გვ. 413, სურ. 442 და გვ. 414, სურ. 443 (ამ უკანასკნელზე ჯვარის ჩარჩო კარგად არა ჩანს, შესაძლებელია იგი ჩვეულებრივისაგან განსხვავდებოდეს). ასეთივე მედალიონები უნდა ამკობდეს ტეკორის ტაძრის (V ს.) ჩრდილო-კარის ბალავრის ქვასაც (იქვე. გვ. 323, სურ. 368), მაგრამ სურათზე იგი კარგად არა ჩანს.

<sup>4</sup> შდრ. „ბოლნისი“, გვ. 323.

<sup>5</sup> იხ. J. Baltrusaitis, Études sur l'Art Médiéval en Géorgie et en Arménie, P. 1929, Pl. LXXVI: 125, შდრ. გ. ჩუბინაშვილი და ნ. სევეროვი, ქართული არქიტექტურის გზები, თბ., 1936, გვ. 27 (ქვემოთ).

<sup>6</sup> სომხეთში საინტერესო ვარიანტს გვაძლევს ერთი კაპიტელი არუქიდან, რომელზედაც სამი წრისაგან შემდგარი სადა ჩარჩო სიმეტრიულად ოთხ ნაკვეთადაა დანაწევრებული, ხოლო ჯვარის მკლავებს შორის ჩასმულია დამოუკიდებელი მახვილი ოვალები (Strzygowski, დ. ნ., გვ. 411, სურ. 440). არა მგონია ეს ქვა VII ს-ზე უფრო გვიანდელი იყოს.

<sup>7</sup> ბოლნური მედალიონის მსგავსი გამოსახულება უცნაურად გვხვდება ერთ სომხურ XVI—XVII ს-ის მინიატურაზე (В. Стасов, Славянский и восточный орнамент, ПБ., 1887, табл. 148:4): კვარცხლბეკზე დგას ჯერ მაღალი და ვიწრო ჯვარი, რომელზედაც ზემოდან დადგმულია ტოლმკლავებიანი წითელი ჯვარი მწვანედ შეფერადებული კიდევით, ჩასმული მრგვალ ჩარჩოში. ჩარჩო ყვითელია, გარდიგარდმო ოღვილი მწვანე ირიბი ზოლებით და შემკული რვა წყვილ-წყვილად სიმეტრიულად განაწილებული მწვანე ქაცვებიანი წითელი ბოლქვებით, ისე რომ გრეხილი ხოირის შთაბეჭდილებას ახდენს. მთელი კომპოზიცია მოგვაგონებს თეკენების ქვემო ეკლესიის სტელის შემკულობას (იხ. ქვემ. ტაბ. VIII, სურ. 15).



უკანგორში აღმოჩნდა ერთი ქვის ფრაგმენტი, რომელიც ბოლნური მედალიონის მეტად საინტერესო და თავისებურ ვარიანტს იძლევა (ტაბ. III, სურ. 5) <sup>1</sup>.

ორნამენტის შემონახული ნაწილი საშუალებას გვაძლევს იგი მთლიანად აღვადგინოთ (ტაბ. III, სურ. 6) <sup>2</sup>.

ცერადკვეთით ამოღებული ჯვარი ჩასმულია გლუვ მრგვალ სალტეში. მკლავებს შორის „ფოთლებია“. ეს პატარა მედალიონი ჩაწერილია ოთხნაწილედ როზეტში, რომელიც ტეტრაკონქის გეგმას მოგვაგონებს. მედალიონი ისეა ჩაწერილი როზეტში, რომ ამ უკანასკნელის აფსიდები ერთმანეთს არ ემთხვევა და შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს იგი ზემოდან იყოს როზეტზე დადებული. აფსიდებში ჩაწერილია ნახევარჯვრები, „ფოთლებით“ მკლავებს შორის. ჯვრებიცა და აფსიდებიც თვალისთვის შევსებას მოითხოვს—თითქოს ოთხი პატარა, სიმეტრიულად დალაგებული მედალიონი ერთმა უფრო დიდმა შუაზე ზემოდან სანახევროდ დაჰფარაო. აფსიდებში შორისი უბეები ამოვსებულია პალმეტებით. მთელ ამ კომპოზიციას გარშემო უვლის პრტყელი და განიერი სალტე, რომელიც ერთ დიდ მთლიან მედალიონსა ჰქმნის.

შემდეგი სამი ფრაგმენტი მხოლოდ ფოტოგრაფიულად იქნა გადაღებული, ხოლო მათი აღწერა ვერ მოესწრო. სამივე სტელებს წარმოადგენდა. მათგან ორი, შესაძლებელია, საფლავის ძეგლი იყო.

ერთ პატარა ფრაგმენტზე შენახულია ვერტიკალურად განლაგებული რელიეფური ორნამენტის, ალბათ, ძირა ნაწილი: მართკუთხედში ჩასმულია სამყურა პალმეტი, მსგავსი იმისა, რომელიც როზეტიან ფრაგმენტზე (ტაბ. III, სურ. 5) აფსიდებში შორის უბეებს ავსებს, ოღონდ ნაკლებად გადაშლილი; კუთხეები ამოვსებულია ბურცული წიწვოვანი ორნამენტით („ფოთლებით“); ზემოდან ამ მართკუთხედზე მეორე, უფრო ვიწრო მართკუთხედი იდგა, ასევე შევსებული, რომლისაც მხოლოდ მცირე ნაწილიღაა შენახული. ეს მართკუთხედები ძალიან გვაგონებს თეკენების ქვემო ეკლესიის სტელაზე გამოსახული მედალიონის კვარცხლბეკს (იხ. ქვემ. ტაბ. VIII, სურ. 15 და 16), თუმცა იქ მართკუთხედები უფრო დაბალია და თვითეულში რამდენიმე პალმეტია ჩასმული; შესაძლებელია, უკანგორის ფრაგმენტზეც ამ მართკუთხედებზე დადგმული იყო ბოლნური მედალიონი.

მეორე, უფრო მოზრდილს, ოთხწახნაგა პრიზმისებურ ქვაზე სწორხაზოვან ჩარჩოში ვერტიკალური განლაგებით ჩასმული იყო მცენარეული ორნამენტი: ფოტოსურათზე კარგად განირჩევა მხოლოდ შუალა სახე, რომელიც სტილიზებული ლოტოსის ყვავილს წარმოადგენს (უფრო შროშანსა ჰგავს); მის ქვემოთ კიდევ რალაცა სახის ნაშთი ჩანს; დანარჩენი ჩამორეცხილია. ორივე ფრაგმენტის რელიეფი იმავე კარგი ტექნიკითაა დამუშავებული, როგორც ზემოთ აღწერილი სხვა V—VI საუკუნეების ძეგლებისა.

მესამე ქვა შესაძლებელია სწორედ ის ჯვარი იყოს, რომელიც თათვარაზს აღუმართავს <sup>3</sup>. ეს მეტად მძიმე, გრძელი ოთხკუთხი სტელა (სიგრძ. 2,50, სიგან.


<sup>1</sup> სამწუხაროდ, ამ ფრაგმენტის გაზომვა ვერ მოვასწარი, იგი არაა დიდი

<sup>2</sup> ნახაზი შესრულებულია მხატვრის მ. ხუციშვილის მიერ. ფრაგმენტის მიხედვით საფიქრებელია, რომ მთელი ქვის ორნამენტი მართლაც ამ აღდგენილი ნახაზით არ ამოღებულია. შესაძლებელია, მედალიონი ორნამენტულ კვარცხლბეკზე იდგა.

<sup>3</sup> ამ ქვის ძირა ნაწილი (სიგრძ. 0,385, სიგან. 0,36, სისქ. 0,315 მ.) მკვეთრ და უორნამენტოდაა დატოვებული. ეს ძირი ჩადგმული იყო კვარცხლბეკში. ძირის ნაწილში ამოღებულია

2. ლ. მუსხელიშვილი.

9 4/1 10482



0.35, სისქ. 0,31 მ.) ეკლესიის სამხრეთი შესავლის ახლოს გდია და სამად არის ვადატეხილი. სხვათრივ იგი კარგადაა დაცული, მხოლოდ აქა-იქ ანახეთქები აქვს. სამივე, ან ეგების ოთხივე პირი<sup>1</sup> ამ ქვისა შემკულია მთელ სიგრძეზე სხვადასხვა გამოქანდაკებული ორნამენტით. ერთპირზე ერთი-ერთმანეთის ზემოდან გამოსახულია პალმეტებიანი ბოლნური მედალიონები კვარცხლბეკებზე, ანალოგიური თეკენების ქვემო ეკლესიის სტელისა (იხ. ქვემ. ტაბ. VIII, სურ. 15 და 16). სრულებით ცხადია, რომ თუ ეს ქვა მაინც და მაინც თათვარაზის კვარცხლბეკზე არ იდგა, იგიც დაახლოვებით იმავე ხანისა უნდა იყოს.

მეტად საინტერესოა სამი კიდევ სხვა ბარელიეფიანი ქვა.

ერთი სვეტისთავის ფრაგმენტს უნდა წარმოადგენდეს<sup>2</sup>. იგი მტკიცე ლევა ქანისაა, გვერდებჩაზნეილი ოთხწახნაგა პრიზმისებური მოყვანილობის (ზომ.  $0,19 \times 0,105 \times 0,105$  მ.). თავსა და ძირზე მას ოთხივე მხრით ამოღებული აქვს ვიწრო და დაბალი ქანები, ისე რომ ორსავე ბოლოში დაბალი ოთხკუთხი შვერილები იქმნება. ძირა შვერილი ძალიან მქისედაა ქანებით გამოყოფილი, სიმალლით არა უმეტეს 2 სანტიმეტრისაა (ზოგ მხარეზე კიდევაც ნაკლებია) და მთელი უნდა იყოს. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ქვა ამ ნაწილით რაღაც ბუდეში უნდა მჯდარიყო და ნერჩსაც ეტყობა, რომ იგი რაღაც მტკიცე სავანზე, ალბათ ქვაზე დგომით გადახეხილ-გადაღესილა. თავის შვერილის პირები კი უკეთაა ჩამოჭრილი და სიმალლით 2,5 სმ-ს აღწევს, მაგრამ შვერილი თითქოს ჩამოტეხილი უნდა იყოს, თავდაპირველად იგი უფრო მაღალი უნდა ყოფილიყო. ამ მხარეზე, მაშასადამე, ქვას ყელი ჰქონია.

ბარელიეფებით შემკული იყო ქვის მხოლოდ სამი პირი.

წინა პირზე მეტად თხელი რელიეფით და მქისედ გამოსახულია ბორბალი ანუ თვალი, რომელიც ძალზე გადახეხილა. მისი დიამეტრი უდრის 0,08 მ-ს. განირჩევა ფერსო, ხშირი სოლები და ცენტრში მორგვი. ეს ის ორნამენტია, რომელსაც „მზის ნიშანს“ ეძახიან. მის ზემოთ 0,03 მ-ის სივანის აშიაა გავლებული, ამოვსებული უფრო ღრმად ამოღებული, მონაცვლეობით დაპირისპირებული სამკუთხედების უსასრულო მწკრივით, როგორც ბოლნური მედალიონების ჩარჩოებზე გვხვდება.

აქედან მარცხენა პირზე ისევ-ისე თხელი და მქისე რელიეფით გამოსახული ყოფილა რაღაც გეომეტრიული ფიგურა, რომლის ქვემო ნახევარი სრულებით ჩამოტეხილია. ფიგურა თითქოს ასე შეიძლება აღვადგინოთ: კონცენტრულად ორ წრეში ჩასმული იყო სამი რომბი (მათგან შიგნითა უფრო მომსხო ხაზებითაა გამოყვანილი), ხოლო ცენტრში მრგვალი (?) ღილი იჯდა. მთელი ფიგურის დიამეტრი უდრის 0,067 მ-ს. ზემოდან აქაც სამკუთხედებიანი აშია იყო გავლებული, რომლის მარცხენა ნახევარი მთლად ჩამოტეხილია.

ფოსო ღერძისათვის. ასეთივე ფოსო აქვს, როგორც ვნახეთ, თათვარაზის კვარცხლბეკის ბუდეს ფსკერში. მაგრამ სვეტის ძირი ოთხკუთხია და მისი სისქე თითქოს აღემატება კვარცხლბეკის მრგვლად ამოჭრილი ბუდის დიამეტრს, ისე რომ ნამდვილად არ ითქმის, ერთად ეკუთვნის ეს ორი ქვა თუ არა.

<sup>1</sup> დიდი სიმძიმის გამო ამ ქვის გადაბრუნება ვერ მოვახერხეთ. ფოტოსურათიც უვარგისი გამოვიდა, რადგან ქვა ჩრდილიან ადგილზე გდია (იხ. ჩემი ზემოხსენ. წერილი ენიმკი-ს მოამბის X ტომში, სურ. 6).

<sup>2</sup> ეს ქვა ჩამოტანილია თბილისში და ამ ქვამად 'მ. რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმში ინახება.

მარჯვენა პირზე კი მოთავსებულია ფარშევანგი (ტაბ. IV, სურ. 7). აქაც რელიეფი თხელია, ფიგურის დამუშავება მეტად მქისე. სიგრძით და სიმაღლით მთელი ფიგურა 0,09 მ-ისაა. ფარშევანგს ახასიათებს ქოჩორი, რომელიც აქ სამღეროიანია. სხვათრივ ძნელი მისახვედრი იქნებოდა, თუ რის გამოსახვა უნდოდა მხატვარს, მით უმეტეს რომ ტანი ძალიან მიღეულია, ფრთა და განსაკუთრებით კუდი ძალიან მოკლეა. პროპორციები სრულებით არაა დაცული: განსაკუთრებით დიდია თავი და ქოჩრის ბოლოები და ნამეტანი უმწოდ გრძელია ფეხები, რომლებიც ამასთანავე მეტის-მეტად წინაა მოთავსებული სხეულზე. ფრთები აღნიშნულია თხელი და წვრილი დიაგონალური ქდეებით. ქოჩრის თავები დაწერტილი იყო (წერტილი შენახულია კარგად მხოლოდ უმოკლესი ღეროს თავზე). დაწერტილია თვალიც და ბიბილოც მის ქვეშ. ბრჭყალები თითო ფეხზე სამ-სამია და ეტყობა, რომ ფრინველს დეხებიც ჰქონია. ფრთა აწეულია და მის ზემოთ კიდევ რაღაც გრძელი და ვიწრო ფიგურაა, რომელსაც ორი ბოლო აქვს და რომელიც ფრინველის კისერზეა მიბჯენილი და თითქოს თავისუფლად დაკიდებული ჰაერში.

როგორც აღვნიშნე, ყველა რელიეფები ამ ქვაზე მეტად მქისედაა შესრულებული და უფრო ნახაზსა ჰგავს ვიდრე ნამდვილ რელიეფს (ფარშევანგიც).

ფარშევანგის გამოსახულება უკვდავებისა და გაზაფხულის ძველი ქრისტიანული სიმბოლოა. კერძოდ ჩვენშიც იგი ძალიან ადრე გვხვდება ბოლნისში, სადაც იგი სვეტისთავზეა გამოხატული რელიეფით.<sup>1</sup> მაგრამ აქ იგი გაცილებით უფრო უკეთაა შესრულებული — რელიეფიც უფრო მაღალია, პროპორციებიც უკეთაა დაცული და დეტალებიც უფრო სუფთად და ხელოვნურადაა დამუშავებული. აქაც ფარშევანგებს სამღეროიანი ქოჩრები ამკობს.

გავრცელებული იყო ფარშევანგის გამოსახულება VIII—X საუკუნეების სპარსულ ვერცხლის ქურქელზეც,<sup>2</sup> მაგრამ აქაც ყველგან გამოსახულება გაცილებით უფრო უკეთ და სულ სხვა სტილითაა შესრულებული და უკანგორისას არ უდგება. მხოლოდ ერთი გამოსახულებაა, ზერელედ ამოფხაჭნილი ლენინგრადის ერმიტაჟში დაცული ერთი ვერცხლის თეფშის ფსკერზე<sup>3</sup>, რომელიც თავისი სიმქისითა და სამღეროიანი ქოჩრით უკანგორის გამოსახულებას მოგვაგონებს შორეულად.

უფრო მოგვიანო ხანაში, X—XIII საუკუნეებში, ფარშევანგის გამოსახულება ძალიან იყო გავრცელებული მინიატურულ მხატვრობაში<sup>4</sup>, მაგრამ აქაც ანალოგიებს ვერ ვპოულობთ.

გავრცელებული იყო ფარშევანგის გამოსახულება ქსოვილებზეც. ასე, მაგ., იგი გვხვდება უკვე VI ს-ის ბერძნულ აბრეშუმის ქსოვილზე<sup>5</sup>. შემდეგში,

<sup>1</sup> შდრ. გ. ჩუბინაშვილი, ქართ. ხელოვნ. ისტ., გვ. 42.

<sup>2</sup> იხ. Я. Смирнов, Восточное серебро, მაგ., табл. LXVI:111 და LXVII:116.

<sup>3</sup> Смирнов-ის დასახელ. ალბომი, ტაბ. LXI:98.

<sup>4</sup> იხ. Стасов-ის დასახელ. ალბომი, ტაბ. 134, სურ. 12 და 13 (კოფტური), ტაბ. 141, სურ. 24 და ტაბ. 142, სურ. 1 (სომხური), ტაბ. 53, ტაბ. 57, სურ. 1 და ტაბ. 60, სურ. 17 (რუსული).

<sup>5</sup> იხ. O. v. Falke, Kunstgeschichte der Seidenweberei, B. 1913, Bd. I, Abb. 43. აქ ფარშევანგები წყვილ-წყვილად არიან ქსოვილზე დასმული, უკან მიბრუნებული თავით; ქოჩრები სამღეროიანია, ნისკარტში თითოს პატარა რტო უჭირავს. სტილი, გამოსახულება და პოზა არაფრით არ ჰგავს უკანგორისას.

XI—XIII საუკუნეებში ხომ ეს გამოსახულება ხშირად გვევლინება, განსაკუთრებით, მავრიტანულ ესპანეთში<sup>1</sup>, სიცილიაში<sup>2</sup> და იტალიაში<sup>3</sup>. მაგრამ ვერსად ვერ ვპოვებთ თვითონ ფრინველის გამოსახულებისათვის ანალოგიას და მხოლოდ ერთი დეტალი აახლოვებს უკანგორის ფარშევანგს იმ გამოსახულებას, რომელიც ერთს XI—XII ს-ის სპარსულ ქსოვილზე გვხვდება<sup>4</sup>. აქ ერთი მეორის პირისპირ ფარშევანგების წყვილი დგას. მათ შორის ორნამენტული ხეა დადგმული. კომპოზიცია წმინდა ჰერალდიკური ხასიათისაა. ფრინველებს თავი აუწევიათ და ნისკარტი დაუღიათ, თითქოს ხესა ჰკორტნიანო. ორივეს ცალი ფეხი აწეული აქვს, სამღეროიანი თავდიდი ქოჩრები ჰაერში ფრიალებს. ეს გამოსახულება არაფრით არ ჰგავს უკანგორისას, გარდა ერთი დეტალისა: ეს არის შარფი, რომელიც ფრინველს თავისუფლად აქვს მოხვეული ყელზე და რომლის ბოლოები უკანაა გადადებული და ჰაერში ფრიალებს. როგორც აღვნიშნე, უკანგორის ფარშევანგსაც აწეულ ფრთას ზემოთ კისერზე რაღაც გრძელი და ვიწრო, ორბოლოიანი ფიგურა აქვს მიბჯენილი, რომელიც თითქოს ჰაერში თავისუფლად ჰკივია. ეს უცნაური ფიგურა, ვგონებ, ჰპოულობს თავის ახსნას ზემოხსენებული სპარსული ქსოვილის ფარშევანგის ყელსახვევში. უკანგორელ მოქანდაკეს სწორედ ასეთი ყელსახვევი უნდოდა გადმოეცა თავისი უმწეო უდრეკი ფიგურით, რომელიც მას ყელზე შემოებმულად არც კი გამოუხატავს. სხვანაირად ამ მოტივის გაგება ძნელია. თუ ასეა, მაშინ სხვა ანალოგიებსაც ადვილად მოვძებნით. საქმე ისაა, რომ ეს მოტივი ძველი სპარსულია, სახელდობრ, სასანური და სასანური სამეფო ტანისამოსიდანაა გადასული პირუტყვებზედაც, როგორც წმინდა ორნამენტი<sup>5</sup>. სპარსეთიდან იგი გავრცელდა დასავლეთისკენაც—აქ იგი გვხვდება უკვე VI ს-ის ბიზანტიურ ქსოვილებზე<sup>6</sup>, და აღმოსავლეთისკენაც, საცა მას ვხედავთ კედლის მხატვრობაზე ჩინეთის თურქისტანში<sup>7</sup>. უფრო გვიან, X—XI საუკუნეებში, ბიზანტიიდან ეს მოტივი დასავლეთ ევროპაშიც შევიდა<sup>8</sup>. თვით სპარსული მაგალითებიც ბლო-

<sup>1</sup> იქვე, ტ. I, სურ. 176 (XI ს.: ფარშევანგი ორთავიანია, დგას en face, კუდი გაშლილი აქვს), სურ. 178 (XI ს.: აქაც ფარშევანგები დგანან en face, მიბრუნებული თავით, გაშლილი კუდით).

<sup>2</sup> იქვე, ტ. I, სურ. 207 (XII ს.: ფარშევანგები დგანან ერთი-ერთმანეთის პირისპირ, ჰერალდიკურად; მათ შორის ორნამენტული ხე დგას; ორღეროიანი ქოჩრები ჰაერში ფრიალებს), სურ. 209 (XII ს.: აქაც ჰერალდიკური კომპოზიცია; ქოჩრები სამღეროიანი, დაწერტილი თავებით; კუდები გაშლილი; სულ სხვა სტილი).

<sup>3</sup> იქვე, ტ. I, სურ. 205 (XI—XII ს.: აქაც წყვილ-წყვილი ფრინველები, ხით მათ შორის, დაკიდებული ორღეროიანი ქოჩრებით, გაშლილი კუდებით; კომპოზიცია ძალიანა ჰგავს სიცილიურ ქსოვილისას, სურ. 207). ტ. II, სურ. 282 (XIII ს.: ისეთივე კომპოზიცია; სამღეროიანი ქოჩრები).

<sup>4</sup> იქვე, ტ. I, სურ. 155.

<sup>5</sup> Falk, დასახელ. ნაშრ., ტ. I, გვ. 39.

<sup>6</sup> იქვე, ტ. I, სურ. 48 და 49 (შარფიანი რაშები), სურ. 50 (შარფიანი ფიგურები).

<sup>7</sup> იქვე, სურ. 100 (შარფიანი იხვეები); შდრ. A. Ю. Якубовский Культура и Искусство Востока, Лнгр., 1937, стр. 25.

<sup>8</sup> იქვე, სურ. 137 (შარფიანი მტრედები?).

მად მოიპოვება, როგორც სასაწერო, ისე ადრეულ-ისლამური ხანისა<sup>1</sup>. განსაკუთრებით სწორედ ფრინველებს ამკობდნენ ასეთი შარფებით და ამ სახით გადაიღეს ეს მოტივი, კერძოდ, ბიზანტიაშიც<sup>2</sup>.

რაც შეეხება იმას რომ უკანგორის ფარშევანგს შარფი ყელზე შემოხვეული არა აქვს, ესეც შეიძლება მოქანდაკის გარკვეულ სურვილს გადმოგვცეჴდეს. თავდაპირველად ეს სამკაული მეფეთა თავსაბურავის შემადგენელი იყო და სასაწერო ჭურჭელზე იგი ქუდზეა ხოლმე მიმაგრებული თავისუფლად უკანიდან<sup>3</sup>. ფრინველებსაც ზოგჯერ შარფი ყელზე კი არა აქვთ მოხვეული, არამედ თავზე ქოჩრის ქვემოთ აქვთ თავისუფლად დამაგრებული<sup>4</sup>. შესაძლებელია ამის გამოხატვა ჰსურდა უკანგორელ მოქანდაკესაც, რომელსაც, მართალია, თავზე კი არა, ყელზე მიუჭრავს ეს სამკაული თავისი ფრინველისათვის. მაგრამ მაინც სწორედ ეს გარემოება შეიძლება გაჰოსახულების სიძველის მანიშნებელი იყოს.

ყველა შემოხსენებული პარალელები თავსდება VI—X საუკუნეების ფარგლებში. უკანასკნელად მოხსენებული გარემოება შარფის ყელზე შემოუხვევლობის შესახებ და შემოხსენებული სამკუთხედებიანი აშიები, რომლებიც ამ ქვის ორ დანარჩენ ბარელიეფს ამკობს და ბოლნური ჯვრების ჩარჩოების მოტივს იმეორებს, გვაფიქრებინებს, რომ ჩვენი ქვის თარიღი აღნიშნული პერიოდის უფრო დასაწყისთან უნდა დავდოთ ვიდრე დასასრულთან. დაბოლოს, თვით ქვაც, თუ კი იგი ნამდვილად სვეტიცთავს წარმოადგენს, თავისი მოყვანილობითა და სიმარტივით ქართული ხუროთმოძღვრების უძველეს ხანას გვაგულვებინებს.

ორი დანარჩენი ბარელიეფი, სამწუხაროდ, ძალიან დაზიანებული ფრაგმენტების სახითაა შენახული. ორივეზე ადამიანის ფიგურა იყო გამოსახული (ტაბ. IV, სურ. 8). ერთს (ზომ. 0,33×0,17×0,075 მ.) ალბათ, თუ მეტი არა, მთელი ნახევარი უნდა აკლდეს. აქ გამოსახული იყო მამაკაცი, როგორც ეტყობა, en face: ჩანს მისი მოგვებშემოსილი თუ მესტებ-საცვეთებიანი ფეხები და წამოსასხამის ქვემო ნაწილი, ხოლო მის ქვეშ კაბის ქობა მოჩანს<sup>5</sup>, რომელიც თხელი და წვრილი ირიბი ჭდეებითაა დასერილი, რაც, ალბათ, ორნამენტს გადმოგვცემს. ადამიანის ფიგურის მარჯვნივ, ალბათ, ჯვარის კვარცხლბეკი დგას, რომელიც აგრეთვე ჭდეებითაა დამუშავებული: შენახულია კვარცხლბეკის ძირა ნაწილი, რომელზედაც მოკლე ბუნი დგას და შემდეგ, შესაძლებელია, პალმეტები მოდიოდა, რომლებიც ჯვარს ქვემოდან ევლებოდნენ, როგორც ეს, მაგ., თეკენების სტელაზე გვაქვს<sup>6</sup>; მაინც და მაინც ნამდვილად არაფერი ითქმის, რადგან ბუნის შემოთ ორნამენტის მხოლოდ მცირე ნაშთიღაა დარჩენი-

<sup>1</sup> ხოსრო II-ის ნადირობის რელიეფზე ტაკიბოსტანში (ციტირ. Falk e-ს მიხედვით, ტ. I, გვ. 39, შენ. 4), ვერცხლის ჭურჭელზე (გამოცემული აქვს Смирнов-ს თავის ალბომში, სურ. 108, 109, 128, 134, 152. ციტირ. Falk e-ს მიხედვით, ტ. I, გვ. 97, შენ. 5), ქსოვილებზე (Falk e, ტ. I, სურ. 136) და სხვ.

<sup>2</sup> Falk e, დასახელ. ნაშრ., ტ. I, გვ. 98.

<sup>3</sup> იხ., მაგ., იქვე, სურ. 47.

<sup>4</sup> იხ. იქვე, გვ. 82, სურ. 101.

<sup>5</sup> აქ შეიძლება იკაბა და პერანგი გვეგულისხმა, და არა წამოსასხამი და კაბა, მაგრამ ასე უფროა საფიქრებელი მეორე ბარელიეფის ანალოგიით (იხ. ქვემ.).

<sup>6</sup> იხ. ქვემ. ტაბ. VIII, სურ. 15.

ლი. კიდევ უფრო მარჯვნივ, ფრაგმენტის კუთხეში, აგრეთვე რალაც გაურკვეველი ორნამენტის ნაშთია შენახული. აქეთა პირიც ქვას ჩამოტეხილი აქვს. კვარცხლბეკის ქვემოთ პორიზონტულად ერთსტრიქონიანი, ხოლო ადამიანის ფიგურის მარცხნივ ვერტიკალურად ორსტრიქონიანი მთავრული წარწერა იყო გამოქანდაკებული, რომელიც ისეა გადაარეცხილი, რომ აღარ იკითხება—ცალკეული ასოების გარჩევა შეიძლება მხოლოდ, ისიც სათუოდ: კვარცხლბეკის ქვეშ ორი თავშეკრული ასო („ბ“ და „ყ“?) და თითქოს „კ“, ფიგურის მარცხნივ ორი „ა“-ნი? ასოების პალეოგრაფიული ხასიათი თითქოს ბოლნისის უძველეს წარწერებს მოგვაგონებს.

მეორე ფრაგმენტზე (ზომ.  $0,21 \times 0,15 \times 0,13$  მ.) დაცულია მხოლოდ ერთი ფიგურა, რომელსაც თავი აკლია. აქ უნდა დაკარგული იყოს ქვის უდიდესი ნაწილი, ხოლო ნიშანდობლივ რამდენი, არა ჩანს. რელიეფი ჩასმული იყო სწორხაზოვან ჩარჩოში. ფიგურის ტანისამოსი აქ უკეთ განირჩევა, ვიდრე პირველ ფრაგმენტზე: ესეც მამაკაცია და მას აცვია მოგრძო სახელოიანი მოკლე წამოსასხამი, რომლის ქვეშაც კაბის ქობა მოჩანს<sup>1</sup>. კაბაც მოკლეა, ცოტაზე ჰფარავს მუხლებს, ისევე როგორც ეს პირველ ფიგურაზეა. წამოსასხამი წელში ვიწროა, მერმე კი ორმხრივ რკალივით ჩამოდის ქვევითკენ. კაბაც მის ქვეშ ასეთი მოყვანილობისა ჩანს და თან მისი კალთა ამოჭრილია რკალად ზევითკენ, რაც პირველ ფიგურასაც ეტყობა, თუმცა უფრო ნაკლებად. წამოსასხამის ერთი კიდე, სახელდობრ მარჯვენა, მეორეზეა გადაადებული. სახელო არაა მაინც და მაინც გრძელი, მაგრამ შიგ კაცს ხელი არა აქვს გაყრდილი. გამოსახულია მხოლოდ მარჯვენა სახელო, მარცხენა კი არა ჩანს. ფეხზე ამ ფიგურას აცვია საცვეთები და რბილი და კოხტა უქუსლო წულები. სახელდობრ, რელიეფს კარგად რომ დავაკვირდეთ, შევამჩნევთ, რომ კოჭებთან იგი პროფილირებულია: ეს უნდა მიგვითითებდეს იმაზე, რომ მოქანდაკეს მოგვების გადმოცემა კი არ ჰსურდა, არამედ წულებზე ჩამოცმული საცვეთებისა<sup>2</sup>.

ეს ფიგურაც, როგორც ჩანს, იდგა en face და მარცხენა ხელი მას ზევითკენ განზე გაწვდილი უნდა ჰქონოდა<sup>3</sup>.

ორივე ბარელიეფი ძალიან მქისედაა დამუშავებული, სქემატურად და, განსაკუთრებით პირველი, ყოველგვარი მოდელირების უიმისოდ, მაგრამ მეორე მაინც ბევრით სჯობია პირველს. მეორე ფრაგმენტზე ფიგურას საგანგებო მიწა აქვს შექმნილი ქვის გრუნტის ამოღების საშუალებით და იგი აქ გაცილებით უფრო თავისუფლად დგას, რაც მას განსაკუთრებით ფეხებზე ეტყობა, რომლებიც პერსპექტივაშია მოცემული, იმ დროს როდესაც პირველი ფიგურის ფეხები უმწეოდ პრტყლად არის შესრულებული. რელიეფის ზედაპირიც მეორე ფრაგმენტზე უფრო სუფთაა. ამასთან, თუმცა ორივე ბარელიეფი თხელია, მაინც

<sup>1</sup> დღიურში მიწერია, რომ ამ ფიგურის ქობაც, მსგავსად პირველი ფიგურისა, ირიბი კდევებით არის დასერილი. ფოტოსურათზე ეს აღარა ჩანს.

<sup>2</sup> პირველი ფიგურის ფეხსაცმელიც კოჭებთან პროფილირებულია, თუმცა უფრო უმწეოდ, უბრალო ხაზით. აქაც, მაშასადამე, მესტები და საცვეთები უფრო უნდა ვიგუჯვოთ, ვიდრე მოგვი.

<sup>3</sup> ეს საგუჯვებელია ამ ხელის ნაშთის ჩმიხედვით, რომელიც ქვის ზემო მარცხენა კუთხეში ჩანს.

მეორე ფიგურა უფრო მაღალი რელიეფითაა გამოყვანილი და ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს ის გარემოება, რომ იგი სიღრმეში ზის და ჩარჩოთია შემოვლებული.

პირველი ფრაგმენტის თარიღი ასე თუ ისე განსაზღვრულია მისი წარწერის ნაშთებით: დაახლოებით, იგი უნდა ეკუთვნოდეს უკანგორის უძველესი ნაშთების ხანას.

მეორე ფრაგმენტის ქრონოლოგიურად განსაზღვრა უფრო ძნელია, მაგრამ, მე მგონია, ძალიან არ შეეცდებით, თუ ამასაც იმავე ხანას მივაკუთვნებთ. მიახლოებითი თარიღის დასადგენად მნიშვნელობა აქვს აქ გამოსახული ფიგურის კოსტუმის სამ დეტალს.

ასეთივე, ან ამის მსგავსი ფესსაცმელი გვაქვს მცხეთის ჯვარის ერთ-ერთ ბარელიეფზე. სახელდობრ, დემეტრე ჯპატოსს აცვია სწორედ ასეთივე რბილი, წოპწოპა უქუსლო წულები და კოჭებთან ვიწრო, მუხლისკენ დაბრისებურად გაგანივრებული საცვეთები (ტაბ. V, სურ. 9). მართალია, აქ საცვეთები ფეხზე დამაგრებულია კიდევ ე. წ. საკოჭურებით ანუ პაჭანაგებით, მაგრამ ეს ხომ ყოველთვის საჭირო არ იყო.

ანალოგია დემეტრე ჯპატოსის გამოსახულებასთან იმით ძლიერდება, რომ მასაც წამოსასხამი აცვია, რომლის სახელოშიც მას ხელი არა აქვს გაყრილი. მართალია, სახელო აქ გაცილებით უფრო გრძელია ვიდრე უკანგორის ბარელიეფზე და თვით წამოსასხამიც ხალვათია, წელში არაა მოჭერილი როგორც უკანგორში, მაინც იქაც და აქაც ერთნაირი დანიშნულების და ერთნაირად ხმარებული ტანსაცმელი გვაქვს<sup>1</sup>.

თუ უკვე წამოსასხამი და ფესსაცმელი VI—VII საუკუნეზე მიგვითითებს, ჩვენი ბარელიეფის კაბის დეტალიც, სახელდობრ, ზევითკენ რკალად ამოჭრილი კალთა, ანალოგიას ჰპოულობს ამავე ხანის ერთ სომხურ ძეგლზე. ეს არის, ბალტრუსაიტისის განსაზღვრით, V—VI საუკუნეების სტელა, რომლის კვარცხლბეკზე გამოხატულია დანიელი ლომების ხნარცვში<sup>2</sup>. სტრიგოვსკის აზრით, ამ დანიელს სპარსული სამოსელი აცვია<sup>3</sup> და იგი თუმცა სხვაფრივ განსხვავდება უკანგორის ბარელიეფის ტანისამოსისაგან, მაგრამ ჰგავს მას იმით, რომ იგიც მოკლეა, წელში ვიწრო (დანიელს წელზე ქამარი აქვს შემორ-

<sup>1</sup> გრძელსახელოიანი ხალვათი წამოსასხამი ერთ დროს, უძველეს ქრისტიანულ ხანაში და ვიდრე X ს-მდე, ძალიან გავრცელებული ყოფილა ჩვენშიც და სომხეთშიც. იგი გვაქვს მცხეთის ჯვარის მეორე ბარელიეფზეც (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტ., ტ. II, გვ. 218 = Strzygowski, *Baukunst der Armenier*, Bd. I, S. 87, Abb. 73 = გ. ჩუბინაშვილი, ქართ. ხელოვნ. ისტ., გვ. 109, სურ. 80), ატენის ბარელიეფებზე (VII ს.; ჯავახიშვილი, გვ. 394), კუმურდოში (X ს.; Baltrusaitis, ტაბ. LXXXIII: 140 = *Матер. по Арх. Кавк.* XII, ტაბ. VII), ჯავახეთის ზეგანში (X—XI ს.; *Матер. по Арх. Кавк.* XII, გვ. 67, სურ. 40), თალანში (V—VI ს.; Baltrusaitis, ტაბ. LXXXI: 135), მრენში (VII ს.; Strzygowski, Bd. I, S. 430, Abb. 469 u. 470).

<sup>2</sup> იხ. J. Baltrusaitis, დასახელ. ნაშრ., ტაბ. LXX: 115 = J. Strzygowski, დასახელ. ნაშრ. ტ. I, გვ. 718, სურ. 682.

<sup>3</sup> Strzygowski, იქვე.

ტყეული), წელსქვემოთ რკალად ჩამოდის და განსაკუთრებით იმიო, რომ მის კაბასაც კალთა ზემოთკენ რკალად ამოჭრილი აქვს<sup>1</sup>.

ამ ბარელიეფების დანიშნულების შესახებ ძნელია რისიმე თქმა დანამდვილებით, რადგან დაზიანებულობის გამო მათი შინაარსი ნათელი არაა. ყოველ შემთხვევაში, ეს უნდა ყოფილიყო პატარა ლორწინები, მსგავსი დმანისის სიონის საკურთხეველის სამსრ. კედელში ჩადგმული ბარელიეფიანი ქვისა და შეიძლება მასავით ტაძრის კედელში იყო მოთავსებული.

დასასრულ, აღვნიშნავ კიდევ, რომ უკანგორის „ორკარიანი ეკლესიის“ ზსაფლაოზე არის ერთი საფლავის ქვა, რომელზედაც მდარე რელიეფით გამოსახულია გულხელდაკრეფილი კაბიანი ფიგურა მალალქუსლიანსა და კვინტებიან ჩექმებში. ეს ქვა XVII—XVIII ს-ის ნაშთი უნდა იყოს.

ამგვარად, უკანგორში ჩვენ გვაქვს მეტად საყურადღებო და მდიდარი კომპლექსი საქართველოს ისტორიის უძველესი ხანისა. მეორე მხრით, უკანასკნელად ხსენებული საფლავის ქვა გვიჩვენებს, რომ ეს ადგილი XVIII ს-შიც ჯერ კიდევ დასახლებული ყოფილა<sup>2</sup>.

## II. დმანისიდან კვეთამდე

ამ მარშრუტზე, გზატკეცილის გასწვრივ, პატარ-პატარა ნანგრევები მისდევს ერთი მეორეს, რომელთა ცალ-ცალკე გამოყოფა არ ღირს.

**აბულბუჯი.** აბულბუჯის მცირე ერთნაფიანი ეკლესიის ნანგრევი ბალიკების პირდაპირ მდებარეობს, მაშავრის მარცხენა ნაპირას, გზატკეცილის გა-

<sup>1</sup> უკანგორის ბარელიეფების დეტალები ძალიან გვაგონებს დმანისის სიონის საკურთხეველის სამსრეთ კედელში ჩაშენებული ქვის ბარელიეფის ზოგიერთ დეტალს (იხ. ჩემი „დმანისი“, გვ. 367—371 და სურ. 29). უკანგორის პირველი ფრაგმენტის კომპოზიციაც შორეულად დმანისისეული ქვის კომპოზიციას მიემსგავსება. ამისდა მიხედვით შეიძლება დმანისის ბარელიეფის ქრონოლოგიურად განსაზღვრა. ფიგურებს თავსაბურავი და განსაკუთრებით გრძელბოლოებიანი სარტყელი (რომელიც ჩვენში, რამდენადაც ვიცი, საკნაოდ გვიან შემოდს სპარსეთიდან) რომ სიფრთხილეს არ გვიკარანახებდეს. მდრ. აგრეთვე ენიმკი-ს მონამბე IX. გვ. 92, სურ. 60 (ბოლნისი).

<sup>2</sup> უკანგორის შესახებ ისტორიული ცნობები არ მოგვეპოვება. იგი, როგორც აღვნიშნე, დატანილია ვახუშტის რუკაზე. გარდა ამისა, 1738 წლის ორი საბუთიდან, რომლებიც გამოსცემული აქვს ე. თაყაიშვილს (საქ. სიძვ. II, გვ. 392 და 393), ვტყობილობთ, რომ აქ მიწები სქერიანთ თურქისტანიშვილებს, რომლებიც იძულებული ყოფილან მიეყიდათ ისინი ყაფლანიშვილებისათვის, ე. ი. ორბელიანებისათვის. უკანგორი იხსენიება 1721 წლ. ხალხის აღწერის დავთარშიც (გვ. 79, 80, 81, 83, 84).

ნაშთები უკანგორში იმაზე მეტია, რაც ზემოთ არის აწერილი. დროის უქონლობის გამო ბევრი საინტერესო ჩუქურთმიანი ქვა, განსაკუთრებით ის, რაც თვით ტაძრის კედლებშია ჩაშენებული, ფოტოგრაფიულადაც ვერ იქნა გადაღებული, ზოგი კი ფოტოგრაფიულად გადავიღეთ, მაგრამ ვერც გაუზომეთ და ვერც აწერეთ ადგილზე. აუცილებლად საჭიროა უკანგორში ხელმეორედ წასვლა არა მარტო ყველა ფოტოსურათების გადასაღებად და ნაშთების უფრო ნიშანდობლივი აღწერილობის შესასრულებლად, არამედ მათი უმნიშვნელოვანესი ნაწილის თბილისში ჩამოსატანად, რათა ეს ძვირფასი განძი მუზეუმში იქნას შემდგომი განადგურებისაგან დაცული. განსაკუთრებით საინტერესოა, თათვარაზის წარწერას გარდა, დიდი „ჯვარი“. შესაძლებელია აგრეთვე, რომ აღმოჩნდეს ის წარწერიანი ქვა, რომელიც მეორე ეკლესიის დანგრევის დროს დაკარგულა.



დაღმა<sup>1</sup>. ეკლესია ერთ ღროს (XVIII ს-ში?) რესტავრირებული ყოფილა: სახელდობრ, მისი ქვემო ნაწილი გარედან ძველი თლილი ფილაქნებითაა ნაგები, თაღებიც შიგნით თლილი ქვისაა, ხოლო შიდაპირი კედლებისა და გარედანაც მათი ზემო ნაწილი უბრალო ქვითაა ნაშენი. ეს აშკარად მერმინდელი წყობაა. კედლები გალესილი ყოფილა ბათქაშით. შენობის სახურავი ერთ ადგილას ჩანგრეულია, სხვაფრივ კი იგი ჯერ კარგადა დგას.

აღმოსავლეთის კედელში გარედან უადგილო ადგილას ჩასმულია ორი ჩუქურთმიანი წითელი ქვა (გამოსახულია ჯვარი, ფოთოლი). აქვე სარკმლის ძირის ქვად გამოყენებულია ძველი წარწერიანი ფილაქანი, ისე რომ წარწერის ზემო ნაწილი შუაზე ამოჭრილია. ხოლო მისი მარცხენა ნახევარი მეტად დაზიანებული და ნაწილობრივ სულაც ჩამოტეხილია. წარწერა მთავრულია, რვა-სტრიქონიანი. იგი თავიდანვე ძალიან დაუდევრად ყოფილა გაკეთებული: სტრიქონები უსწორმასწოროა, ასოების მოხაზულობა უხეშია, თანაც ისინი თხლად და ამოკოდვილი, რამაც მათ გადარეცხვას ხელი შეუწყო. ამიტომ წარწერის ამოკითხვა ვერ მოხერხდა, რაც სამწუხაროა, რადგან უყულო „დ“-ონის მიხედვით იგი ძველი უნდა იყოს. სხვა დამახასიათებელი ასოები წარწერას არ მოეპოვება. იკითხება მხოლოდ შემდეგი:

————— გზ<sup>2</sup> | ————— ღა | ————— ვე<sup>3</sup> |  
 ————— მეოხ[ე|ბითა] ————— წდცთჩმ<sup>4</sup> |  
 ————— -და-ოი<sup>5</sup>- | ღ - - - - ენ<sup>6</sup>ლ- | - და  
 სფო<sup>6</sup> -ან

დასავლეთის კედელში გარედან ჩასმულია მოლურჯო თირის ბოლნურ-მედალიონიანი ქვა: ჯვარი ჩასმულია სამკუთხედებიან ჩარჩოში. ჯვარი ისეთივეა, როგორც უკანგორისა, რომელსაც მე-4 სურათი გვიჩვენებს, ოღონდ იგი აქ ორკანტიანი არაა, უკანტოდაა ცერადკვეთით ჩაქრილი ქვაში. მედალიონის ქვემოთ ბერძნული მთავრულით სწერია:

ΑΩ

წარწერა ზერელედაა ნაფხაჭნი, მაგრამ შეიძლება ძველი იყოს (იხ. ქვემოთ სირიული მედალიონების შესახებ)<sup>7</sup>.

ეკლესიის შიგნით გდია კიდევ ერთი ბერძნული მთავრული ამოკოდვილი წარწერიანი ქვის ფრაგმენტი. მოვანერხე მხოლოდ შემდეგის გარჩევა:

<sup>1</sup> ძველი წყაროების ცნობები აბულბუჯის შესახებ იხ. ჩემს წერილში „ღმანისი“, გვ. 327. შენ. 1.

<sup>2</sup> ორივე ასოს წაკითხვა სათუოა.

<sup>3</sup> სათუოა „ე“.

<sup>4</sup> „თ“-ანს გარდა, ყველა დანარჩენი ასოს წაკითხვა სავკვოა.

<sup>5</sup> სათუოა „ი“.

<sup>6</sup> სათუოა „ო“.

<sup>7</sup> შდრ. აგრეთვე ჩემი „ბოლნისი“, გვ. 342, წარწერა № 12-ზე, სადა აგრეთვე თითქოს ბერძნული ნიშნები ჩანს, რომლებიც ეგებ X და Ω კი არაა, როგორც მეგონა, არამედ Α და Ω.

1. YAPAKOP<sup>1</sup>

2. — — ИК—Т<sup>2</sup>

სულ ორი სტრიქონია.

**ორსაყდრები.** აბულბუგის ცოტა უფრო ქვემოთ, გზიდან სამხრეთით, თითქმის კაზრეთის პირდაპირ, მაშავრის მარცხენა ნაპირას ორი პატარა ეკლესიის ნანგრევია, რომლებსაც „ორსაყდრებს“ ეძახიან. ერთი იქვე გზის პირასა დგას, მეორე ცოტა მის ზემოთ ფერდობზე. ეს უკანასკნელი, მცირე ერთნავიანი შენობა, საყურადღებოს არაფერს შეიცავს: იგი უწარწეროა და უორნამენტო. შეიძლება აღინიშნოს მხოლოდ ბათქაშით გაღესილი და კარგად შენახული, მაგრამ სრულიად სადა კანკელი შიგნით. ეკლესიის ახლოს მცირე სასაფლაოცაა.

გზისპირის ეკლესია აგრეთვე მცირე ერთნავიანი შენობაა, რომლის ზემო ნაწილს რესტავრაციის ნიშნები ეტყობა. ძირითადად იგი თლილი ქვითაა ნაშენი. ორფერდა სახურავი დაფენილია ლორფინით. წარწერა ამ შენობასაც არა აქვს, სამაგიეროდ მის კედლებში მრავალი მეტად საინტერესო ორნამენტური ქვებია ჩაშენებული. განსაკუთრებით ბევრია ასეთი ქვები ჩრდილო-კედელში: არის აქ სამი ხელაპყრობილი კაცის ბარკლიეფი, ჯვარი, ირიბი ქდეებით დასერილი შედალიონი ასეთსავე კვარცხლბეკზე, ყვავილოვანი სახეები და სხვ. <sup>3</sup> ცალკე აღვნიშნავ ორ ქვას, რომელთა ფოტოგადაღებები ხელთ შემრჩა. <sup>4</sup>

ერთი წარმოადგენს მოგრძო და ვიწრო ოთხწახნაგოვანი სტელის ფრაგმენტს, რომელსაც ზედმიწევნით ისეთივე ტალღოვანი ვაზის რტო ამკობს, როგორც ბოლნისის სიონის დასავლეთ ქედელში ჩადგმულს ცნობილ ორნამენტირებულ ქვას. <sup>5</sup>

ვაზის რტო ქართული და აგრეთვე სომხური უძველესი ორნამენტის საგანძურს ეკუთვნის და ერთ დროს ძალიან გავრცელებული იყო ჩვენში. <sup>6</sup> ეს

<sup>1</sup> პირველი ასოს წინ კიდევ რაღაც ნიშანია, რომელიც სომხურ მთავრულ **Ա**-სა ჰგავს; მესამე ადგილას **Р**-ს მაგივრად შეიძლება **И** იყოს; უკანასკნელი **Р** საეჭვოა, რადგან თავშეკრული არაა.

<sup>2</sup> უკანასკნელი ასო საეჭვოა, შეიძლება **И** იყოს, რადგან **Т**-სთვის თავი ძალიან მოკლე აქვს.

<sup>3</sup>) სხვათა შორის, ერთ ქვას, აღმოსავლეთის კედელში ჩასმულს გარედან, უსასრულო სახის ჩუქურთმა (*Muster ohne Ende*) ამკობს, წმინდა გეომეტრიული წრეებისაგან შემდგარი, მსგავსი იმისა, რომელიც ხშირად ამკობს სვეტისთავებსა და ხარისხებს ბოლნისში (შდრ. გ. ჩუბინაშვილის ქართ. ხელოვნების ისტ., გვ. 42 და გვ. 45, სურ. 29).

<sup>4</sup>) ამ ეკლესიის ჩუქურთმიანი ქვები იმდენად საყურადღებოა, რომ ღირს სპეციალურ შესწავლად ადგილზე. სამწუხაროდ, იქ ყოფნისას ზოგი ორნამენტი ფოტოგრაფიულად ვერ გადავიღეთ, ზოგის გადანაღებიც უვარგისი გამოდგა.

<sup>5</sup>) იხ. გ. ჩუბინაშვილის ქართ. ხელოვნ. ისტ., გვ. 214, სურ. 168.

<sup>6</sup>) ვაზი და მტევანი აგრეთვე ძველი ქრისტიანული სიმბოლოებია: პირველი ითვლებოდა თვით ქრისტესი და ეკლესიის, ხოლო მეორე—ქრისტესი და მარტვილთა სისხლის სიმბოლოდ (იხ. *А. С. Уваров, Христианская символика, ч. I, М., 1908, стр. 172 и 174*);<sup>7</sup> ძველ სპარსულ ტურქულზეც ვაზის რტო ხშირადა გვხვდება (იხ., მაგ., *Я. Смирнов, Восточное серебро, табл. LI:86, LXVI:111 და სხვ.*).

მოტივი, რამდენადაც ვიცი, VII ს-ს არ ვაღმოსცდება <sup>1</sup>. მოგვიანო ხანაში გვხვდება შევეულად ამართული და სტილიზებული ფოთლებით დაგვირგვინებული ვაზის ხე, რომლის მოკლე, მარჯვნივ და მარცხნივ განშტოებული ლერწები პალმეტიზირებულ ფოთლებსა და მტევნებს ატარებენ. ასეთი რელიეფი გვაქვს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის დასავლეთ ფასადზე <sup>2</sup> და ანანურის ტაძარზე. <sup>3</sup> ყურძნის მტევანიც ხშირად არის გამოყენებული ქართულ მერმინდელ ჩუქურთმაში, ასე, მაგ., ბაგრატის ტაძრის სვეტისთავზე ქუთაისში (XI ს.) <sup>4</sup>, ნიკორწმინდის ტაძარზე (XI ს.) <sup>5</sup>, სვეტიცხოვლის ერთ ჩუქურთმიან ქვაზე <sup>6</sup>, სამთავისში (XI ს.) <sup>7</sup>, თბილისის მეტეხის ტაძარზე (XIII ს.) <sup>8</sup>, მაგრამ ვაზის რტო აქ უკვე აღარა გვაქვს, არამედ მტევანი ჩართულია სულ სხვა, ჩვეულებრივად წმინდა გეომეტრიულ სახეთა შორის და გამოყენებულია უბეებისა და კუნჭულეების შესავსებად. ამ მერმინდელი ხანისათვის დამახასიათებელია, სხვათა შორის, ფოთლების სულ სხვა ყაიდაზე შესრულება.

ძველი ვაზის რტოც აბსტრაქტულად, გეომეტრიულადაა დამუშავებული, მხატვარი არავითარ ყურადღებას არ აქცევს მცენარის ნატურალურ სახეს, ანგარიშს უწევს მხოლოდ წმინდა ორნამენტულ კანონებს და მხოლოდ იმის ცდაშია, რომ მოცემული არე შეავსოს და სიმეტრია დაიცვას. იგი ცხადლივ მაზე უკვე ბევრად უფრო ადრე შემუშავებულ ფორმებს ჰბაძავს.

ორსაყდრების რტოც ასეთ ხასიათს ატარებს, მაგრამ სტილიზაცია აქ უკიდურესობამდეა მიყვანილი და თანაც იმდენად თავისებურია, რომ ვარდა ზედმიწევნით ისეთივე პოლნური ნიმუშისა, რომელიც ზემოთ უკვე მოვიხსენიე, ქართულსა და სომხურ ორნამენტიკაში მას სხვა პარალელი ვერ მოვუძებნე.

ბარელიეფი შესრულებულია პრეტულად და ფაქიზად, ნაქარგსა ჰგავს. ორნამენტი მოთავსებულია ვიწრო სწორხაზოვან ჩარჩოში, რომელიც ქვის ნაპირებს მიჰყვება. რტო ტალღოვანია. უბეები შევსებულია მონაცვლეობით ერთი-

1) იხ. Матер. по Археол. Кавказа, вып. XII, табл. XIX: 35 (ბანა, VII ს.), ვ. ჩუბინაშვილის დ. ნ., გვ. 106, სურ. 76 და 77 (მცხეთის ჯვარი, VII ს.), Baltrusaitis, დ. ნ., ტაბ. I.XXII=გ. ჩუბინაშვილი და ნ. სევეროვი, ქართ. არქიტექტურის გზები, თბ., 1936, გვ. 31 (მარტვილი, VII ს.); ბოლნისშიც იგი ხშირია.

სომხეთისათვის იხ. J. Strzykowski, Baukunst der Armenier, Bd. I, S. 406, Abb. 432 (გარნისი, V—VI ს.) S. 45, Abb. 39 (მასტარა, VII ს.), S. 114, Abb. 113, S. 115, Abb. 115 (ზვართნოცი, VII ს.), აქ ნაგვიანვეა გვხვდება ვაზის ტალღოვანი, რტო. მაგ., თალინის ტაძარზე (იქვე, გვ. 173, სურ. 202), რომელსაც პროფ. ვ. ჩუბინაშვილი X ს-ის მეორე ნახევრით ათარიღებს (იხ. მისი Georgische Baukunst, Bd. II: Zioni, Tifl. 1934, S. 85), მაგრამ ორნამენტის ყაიდა უკვე სულ აბნანირია.

2) იხ. ვ. ჩუბინაშვილის და ნ. სევეროვის დ. ნ., გვ. 105. ეს სახე შეიძლება XI ს-ზე ბევრით უფრო გვიანდელიც იყოს (XV ს.?).

3) იხ. Матер. по Археол. Кавказа, вып. VII, табл. VIII (სურათი ძალიან პატარაა და ვაზის ხეები ძლივსაა განირჩევა კედელზე, ჯვარის ორსავ მზარეს).

4) ჩუბინაშვილი-სევეროვი, დ. ნ., გვ. 101.

5) Baltrusaitis, დ. ნ., ტაბ. XXVI.

6) ინახება მეტეხის ხელოვნების მუზეუმში.

7) Baltrusaitis, ტაბ. XLV.

8) იქვე, ტაბ. XCIV: 168.

ერთმანეთის საწინააღმდეგოდ მიმართული მტევნებითა და ფოთლებით. <sup>1</sup> რად-  
განაც უბეები საკმაოდ დიდია, მტევნებიც და, განსაკუთრებით, ფოთლები სრუ-  
ლებით არაბუნებრივადაა წაგრძელებული სივრცის შესავსებად. ორივე მკაცრი  
სიმეტრიის კანონების მიხედვითაა დამუშავებული. მტევნებს ძირზე არაბუნებ-  
რივი კანტი გაუდის. ისევ-ისე სივრცის შესავსებად, მტევნებსა და ფოთლებს  
შორის ზემოდან და ქვემოდან რტოზე დამაგრებული სპირალური კულულებია  
ჩართული, რომლებიც ერთი მეორის საწინააღმდეგო მიმართულებითაა დახვეუ-  
ლი. სრულებით უჩვეულოდაა სტილიზებული ორკანტიანი ფოთოლი, რომლის  
ქვემო ნაწილი ცერადკვეთითაა ამოღებული, წვერო კი დაშტრიხულია თხელი  
წიწვოვანი ქდეებით.

ასეთსავე გეომეტრიულ ხასიათს ატარებს მეორე ქვის ორნამენტი, რომე-  
ლიც აგრეთვე სწორხაზოვან ჩარჩოში ჩასმულს პალმეტებიან ორმაგ მშვილდა  
კოზმიდს წარმოადგენს (ტაბ. V1, სურ. 10). საინტერესოა, რომ ამ სახის ზუსტი  
გამეორება ისევ-ისე ბოლნისში აღმოჩნდა ერთ განათხარ ქვაზე <sup>2</sup>.

ეს ორნამენტი შეიძლება მიეკუთვნოს ე. წ. „უსასრულო სახეების“ კატე-  
გორიას <sup>3</sup>.

თუ პირველი ქვა ქრონოლოგიურად განსაზღვრულია უკვე თავისი ორნა-  
მენტის მოტივის მიხედვით (ვაზის რტო), მეორეს განსაზღვრავს მისი ორნამენ-  
ტის სტილი, რომელიც პირველისთვისაც დამახასიათებელია. ეს არის ორნამენ-  
ტის „ძირითადი ელემენტის—ფოთლის, ყვავილის და სხვ.—სრულიად განცალ-  
კევებულად დაყენება, როგორც თავისთავად დამთავრებული მომენტისა, რითაც  
იქმნება ნაწარმოების დიდი ცხოველყოფილობის ილუზია. მხოლოდ თვითონ  
ამ თვითთავადი ერთეულების მწკრივად, სრულიად თანაბრად, რიტმულად ასხ-  
მის ფაქტი ჰქმნის ორნამენტს“ <sup>4</sup>. ასეთი იყო ქართული ჩუქურთმა უძველეს ხა-

<sup>1</sup> შემონახულ ფრაგმენტზე სულ ორი მტევანია და მხოლოდ ერთი ფოთოლი, მაგრამ  
ცხადია, რომ ორნამენტი ასევე გრძელდებოდა.

<sup>2</sup> ბოლნისისეული ქვა თბილისშია ჩამოტანილი და ინახება შ. რუსთაველისა და მისი  
ეპოქის მუზეუმში. ამ ორი ქვის ქანიც კი ერთია (წითელი თირი). ზომები განსხვავდება: ორ-  
საყდრების ქვის ზომები არის 0,65×0,24 მ., ხოლო თვით ორნამენტული ოლის განი=0,14  
მ-ს; ბოლნისის ქვის სიგრძე=0,56 მ., სიგანე=0,135 მ., ხოლო ორნამენტ. ოლის განი=0,115 მ.

<sup>3</sup> ი. ს ტ რ ი გ ვ ს კ ი ს ტერმინოლოგიით: „Muster ohne Ende“, ა. რ ი გ ლ ი თ: „Unen-  
dlicher Rapport“ (A. Riegl, Sulfragen, B. 1893, S. 207 ff; შდრ. აგრეთვე გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი,  
ქართ. ხელოვნ. ისტ., გვ. 42). კ. მ ი ა ტ ე ვ ს „უსასრულო სახეების“ ქვეშ ესმის „ის წმინდა ორ-  
ნამენტული. ერთი ან რამდენიმე მოტივისაგან შემდგარი კომპოზიციები.., რომლებიც, გადაბ-  
მულია თუ გათიშული, მაინც ყოველთვის ისეა განლაგებული, რომ მოცემულ სიპრტყეს მთლი-  
ანად ავსებს. ასეთი კომპოზიციის მოტივები... ყოველთვის აბსტრაქტულადაა დამუშავებული, სა-  
ხელდობრ ისე რომ, შემკული არის კიდური ხაზიდან თუ კუთხიდან მოყოლებით, სიმეტრიუ-  
ლად შეიძლება მათი დაყოფა ორ ან ოთხ ნაწილად. ასე დაყოფილი მოტივები ყოველთვის აღ-  
ვილად შეიძლება შეივსოს მხილველის წარმოდგენაში და ამგვარად კომპოზიცია ღებულობს  
უსასრულო ორნამენტირებული არის ხასიათს, რომელსაც არც ცენტრი აქვს და არც საზღვ-  
რები“. ამასთან, მ ი ა ტ ე ვ ი ასეთი პრინციპით შევსებულს ჰორიზონტულ კოზმიდებსაც, რო-  
მლებიც ჩარჩოს როლს თამაშობენ, ჩემის აზრით, საფუძვლით სამართლიანად მიაჩნდას უსას-  
რულო კომპოზიციებს (იხ. K. Miatev, Die Keramik von Preslav, Sofia 1936, S. 76). ორსაყ-  
დრების ორნამენტიც ასეთი კოზმიდის მსგავსია.

<sup>4</sup> გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართ. ხელოვნ. ისტ., გვ. 165.

ნაში. შემდეგ კი შოდის ჩვენი ცნობილი წნული ან, უკეთ, ხლართული სახეები, რომლებიც თავისი არაბესკული მანერით ისე მკვეთრად განსხვავდებიან ძველი ხანის „კლასიკური“ სტილის, ხაზოვანი ხასიათის<sup>1</sup> ორნამენტისაგან, რომ აღამიანს ყოველთვის შეუმცდარად შეუძლიან გადასწყვიტოს, XI ს-ზე აღრინდელია ესა თუ ის ძეგლი თუ არა<sup>2</sup>.

ამგვარად, ორსაყდრების ორივე აღწერილი ბარელიეფი VI—VII საუკუნეებით შეგვიძლია განვსაზღვროთ.

კიანეთი<sup>3</sup>. ორსაყდრები რუს. გენ შტაბის 5-ვერსიან რუკაზე თითქოს ნაჩვენებია, როგორც ეკლესიის ნანგრევი, კაზრეთის პირდაპირ. აქედან კიანეთამდე 5 კილომეტრია. მაგრამ ვიდრე კიანეთში ჩავიდოდეთ, ორსაყდრებიდან 1 კილომეტრის მანძილზე კიდევ ორი პატარა ნანგრევია გზიდან მარცხნივ. მათგან პირველს „დაქცეულ საყდარს“ ეძახიან, იგი სულ მცირე პერანგ-ახლილი შენობაა, რომელიც საგულისხმოს არაფერს შეიცავს, მეორე კი ე. წ. სვეტიცხოვლის ტაძარია, რომელიც მშვენივრად თლილი მოყვითანო ქვით ნაგებს ერთნავე პატარა შენობას წარმოადგენს, რომელსაც სახურავი სრულებით ჩაქცეული აქვს. მაგრამ სამხრეთიდან ლამაზი წნულჩუქურთმიანი შესავალი შემოუნახავს. გარშემო ფართო სასაულაოა. „დაქცეული საყდარიცა“ და „სვეტიცხოველიც“ რუს. გენ. შტაბის რუკაზე აღნიშნულები არიან ორსაყდრებსა და კიანეთს შორის.

სვეტიცხოვლის ეკლესიის აღმოსავლეთი კედლის ახლოს გარეთ ერთი საფლავის ქვის ფრაგმენტი გვია, რომელსაც მხედრული წარწერა ჰქონია. ფრაგმენტზე იკითხება:

„მოიხსენე უფალო | მონა შენი“...

ტაძრის შიგნითაც, შესავლის ახლოს, კედლის ძირას საფლავის ქვა დევს მხედრული ამოკოდვილი წარწერით:

1. ქ: მოიხსენე: უფალო: | მონა: შენი: ხბუ

2. ა: სასუფეველსა: შენსა: ამინ: ქს: ტმე

ქორონიკონი უდრის 1658 წ.

<sup>1</sup> ტერმინები „კლასიკური“ და „ხაზოვანი“ ნახმარია აქ H. W ö l f f l i n-ის გაგებით, „ბაროკოსა“ და „ცხოველსახულთან“ დაპირისპირებით (იხ. H. W ö l f f l i n, Kunstgeschichtliche Grundbegriffe, Münch. 1921).

<sup>2</sup> წნული ჩვენში ადრე შემოდის, უკვე VII ს-ში (მცხეთის ჯვარში, წრომში—Baltusaitis, Pl. I : 2. მ. მარტვილში—ჩუბინაშვილი. დ. ნ. ტაბ. IV). მაგრამ ეს სწორედ წნულია და არა ხლართული. წრომში და მცხეთის ჯვარში წნული გოდრულია. სრულებით მარტივი, ხალხა მარტვილის მოდილიონებზე უკვე უფრო რთული სახეები გვაქვს. როგორც პროფ. გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს (იქვე. გვ. 165), ჩანასახი მერმინდელი ქართული ორნამენტისა უკვე ამ უძველეს ხანაშივე მოგვეპოვება. და მაინც X—XI ს-ში ცვლილებები ხდება, რომლებიც ძირითად ხასიათს ატარებენ. ეს პროცესი ზოგადი ხასიათისაა (შდრ. Г. Н. Чубинашвили и Н. И. Северов, Пути грузинской архитектуры, Т. 1936. გვ. 71—83 და განსაკუთრებით გვ. 96 და 131—132).

<sup>3</sup> კიანეთი შეტანილია 1721 წლ. ხალხ. აღწ. დავთარში (გვ. 23, 60, 62); არის ერთი კიანეთისეული საბუთი 1725 წლისა (იხ. Д. Пурцеладзе, Грузинские церковные гуджари, Т., 1881, стр. 12); იგი დატანილია ვახუშტის რუკაზეც. სხვა ცნობები კიანეთის შესახებ ჩვენს საისტორიო წყაროებში არ შემწვდრია.

<sup>4</sup> შეიძლება წავიკითხოთ აგრეთვე „ხბუა“. მაგრამ ასეთი სახელი ძნელი წარმოსადგენია.

<sup>5</sup> ეს სამი ასო ცოტა უცნაური მონოგრაფიაა დაწერილი.

თვითონ კი ან ეთ ში საინტერესო ნაშთებია როგორც გზატკეცილის პირას. ისე სოფელში, რომელიც გზიდან ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს  $1/2$  კილომეტრის მანძილზე და სომხებითაა დასახლებული.

გზის პირას დგას პატარა ერთნაფიანი შენობა, ორიენტირებული სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, რომელიც გარედან მოგრძო ოთხკუთხედს წარმოადგენს, სიგრძით 7,90 მ., ხოლო სიგანით სამხრეთ-დასავლეთით 4,58 მ., ჩრდილო-აღმოსავლეთით კი 4,50 მ. (ტაბ. VI, სურ. 11)<sup>1</sup>. თვალისთვის ეს განსხვავება სიგანეში შესამჩნევი არაა. შენობის სახურავი მთლად ჩანგრეულია. კედლები, რომლებიც შენახულია ლავგარდანიტურთ 5,00 მ-ის სიმაღლეზე და რომელთა სისქე 0,75 მ-ს შეადგენს, შემოსილია კარგი თლილი ქვებით, რომელთაგან ზოგიერთი საკმაოდ დიდი ზომისაა (1,25 × 0,70 მ. და მისთ.) პერანგის წყობა თარაზულია, მაგრამ, როგორც ეს ქართულ საშუალო საუკუნეებში იყო მიღებული, თარაზულობა ანუ ზოლ-ზოლობა აქა-იქ დარღვეულია ქანებამოღებული ქვების ჩაკერებით, რაც, სხვადასხვა ზომისა და პროპორციების, ხოლო ზოგან ფერთაც განსხვავებული ფილაქნების მოხმარებასთან ერთად, ცხოველსახულს, თვალისთვის სასიამოვნო შთაბეჭდილებას ჰქმნის. ლავგარდანი სადა ფიტონს წარმოადგენს. სარკმელი ორია—ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. შესავალიც ეკლესიას სამხრეთ-აღმოსავლეთიდანა აქვს (სიგანით 0,88, სიმაღლით 1,35 მ.). შიგნით ეკლესიის მოგრძო ოთხკუთხედი, სიგრძით 4,50 და სიგანით 3,10 მ., ცოტა არ იყოს მრუდი ხაზით გარდღობილი ორ ნახევრად იყო გაყოფილი 0,20 მ-ით კედლებიდან გამოშვებული და 0,45 მ-ის სიგანის მქონე პილასტრებზე დაყრდნობილი სართავი თალით. როგორც ამას კამარის შენახული ძირა ნაწილი გვიჩვენებს, იგიც და თალიც ნახევარფარგლოვანი უნდა ყოფილიყო. პილასტრებს ხარისხები არა აქვს, მათი სვეტისთავებიც სადაა. ოთხკუთხედს ჩრდილო-აღმოსავლეთით ამთავრებს აფსიდის ოღნავ ნალისებური მომრგვალება, რომლის სიგანე 2,65 მ-ს და სიღრმე 1,95 მ-ს შეადგენს. აფსიდის კედლებში პატარა წალოებია: ჩრდილო-დასავლეთის კედელში კუთხოვანი (სიგან. 0,37 მ.), სამხრეთ-აღმოსავლეთის კედელში კი მრგვალი (სიგან. 0,40 მ.). სხვა არავითარი შემკულობა შიგნით ტაძარს არა აქვს, გარედან კი მრავალ ადგილას არის ჩაშენებული ჩუქურთმიანი და ჯვრიანი ქვები. მათგან განსაკუთრებით საინტერესოა ერთი, ჩრდილო-კუთხეში მოთავსებული, რომელზედაც გამოსახულია ბოლნური ჯვრიანი მედალიონი. ამ ქვას მთავრული ამოკოდვილი 4-სტრიქონიანი წარწერაცა აქვს, მაგრამ ეხლა ქვა ისეა ჩადგმული კედელში, რომ წარწერა ვერტიკალურად არის დაყენებული. ამგვარად, აქ ტაძრის შეკეთების უდავო ნიშანი გვაქვს. წარწერა ძალზე დაზიანებულია (გადარეცხილია და ზოგან ჩამოტეხილიც) და, სამწუხაროდ, აღარ იკითხება. მხოლოდ რამდენიმე ასოს გარჩევა მოვახერხე:

1. \_\_\_\_\_
2. \_\_\_\_\_ ა - \_\_\_\_\_ [სა]ოცველად - - - -
3. - თ - - - და<sup>2</sup> ვინ - - - - [შე]ოცვალა მოგიკსენი -
4. - [ლ]ნ და<sup>3</sup> ა - - - - იოვ - - - - ღწიაზიზსტყგნ<sup>4</sup>

1 ნახაზები შესრულებულია არქიტექტორის ც. გაბაშვილის მიერ.  
 2 „ღ“ სათუთა.  
 3 „ა“ სათუთა.  
 4 აქ სათუთა „ღ“, „წ“ (შეიძლება „ქ“ იყოს), „ნ“.

წარწერა ძველი ჩანს, ეგებ XI—XII საუკუნისა იყოს, მაგრამ, რა თქმა უნდა, იგი ამ ჯვრიან ქვაზე შედარებით გვიანაა გაკეთებული. მედალიონი ჩვეულებისამებრ კარგადაა გამოყვანილი რელიეფით, თუმცა იგი ძალზე გადარეცხილია, წარწერა კი საკმაოდ დაუდევრადაა შესრულებული, უსწორმასწორო ასოებითა და სტრიქონებით.

ჯვარი ორკანტიანია, უბეები თითქოს არ უნდა ჰქონდეს ამოვსებული „ფოთლებით“, ჩარჩო საინტერესო ვარიანტს იძლევა: იგი სამკუთხედებით კი არაა შემკული, არამედ დასერილია ხშირი პარალელური ჭდეებით და ამით მოგვაგონებს ოროზმანის მედალიონს<sup>1</sup>.

აღმოსავლეთი კედლის ძირში ჩადგმულ ქვაზე კი ნათხაქნია მთავრულით:

1. ქე შე მქელ
2. ბხტ<sup>2</sup>

გარდა ამისა, ტაძრის შიგნით ნანგრევთა შორის აღმოჩენილი იყო პატარა ფრაგმენტი მთავრული წარწერის ნაწყვეტით, რომელზედაც „კ“ შეკრული ეწერა<sup>3</sup>.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ კიანეთში რაღაც უძველესი ხანის ძველი უნდა ყოფილიყო და რომ აწინდელ ეკლესიას ოდესღაც შეკეთებაც განუცდია. რომ იგი თვითონ უძველესი ხანის შენობა არაა, ეს ცხადია როგორც მისი გეგმის<sup>4</sup>, ისე კედლების წყობისა (გარეგანი გაფორმებისა) და წნულჩუქურთმიანი და მოგვიანო ფორმის ჯვრებით შემკული ქვების მიხედვით. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ლავგარდანიც. ასეთი სადა ფიტონის მაგვარი ლავგარდანი X—XII საუკუნეების ძეგლებზე გვხვდება<sup>5</sup>. ზემოაღნიშნული წარწერაც ჯვრიან ქვაზე პალეოგრაფიულად თითქოს ამ ხანაზე მიგვითითებს. მე უფრო XII—XIII საუკუნეებით განვსაზღვრავდი ამ პატარა ტაძრის აგების ხანას.

თვით სოფელ კიანეთშიც არის ერთი ძველი ერთნავიანი პატარა შენობა, ნაგები მოყვითალო ქანის თლილი ქვით, გამტანისი წყობით (უბერანგოდ). ეკლესიის სამხრეთ კედელში რამდენიმე ორნამენტიანი ქვაა ჩაშენებული, რომელ-

<sup>1</sup> იხ. ქვემ. ტაბ. XV. სურ. 29.

<sup>2</sup> ეს სამივე ასო შებრუნებულად სწერია. „ბხტ“ = „ბახტა“?

<sup>3</sup> ეს ქვა ჩამოტანილია თბილისში და საქ. მუზეუმში ინახება.

<sup>4</sup> ასეთივე გეგმითაა აგებული გუდარების „შალვას ეკლესია“ (XIII ს. ?), რომელიც თავისი ზომებითაც უახლოვდება კიანეთის ტაძარს (ოდონდ „შალვას ეკლესიაში“ თალი დაყრდნობილია თარხნებზე და არა ნახევარსვეტებზე). და აბელიის ტაძარი, რომელიც, მართალია, თითქმის ორჯერ უფრო დიდია კიანეთისაზე (გუდარებისა და აბელიის ეკლესიების გეგმები ინახება საქ. მუზეუმის ისტორიულ განყ-ში. აბელია XIII ს-ით თარიღდება; შდრ. ე. თაყაიშვილის Археологич. Экскурсии, разыск. и зам., Изв. Кавк. Отд. Моск. Археол. Общ., вып. I, Т., 1904, стр. 15—19 и 30). შდრ. აგრეთვე 1152 წლით დათარიღებული საორბისის ტაძრის გეგმა (იხ. გ. ჩუბინაშვილის „Саорбисская церковь“, Христианский Восток, т. IV, табл. I, рис. 2).

<sup>5</sup> ასე, ე. წ. ქიაგმის-ალთის ეკლესიაზე ტაოში (Материалы по Археологии Кавказа, вып. XII, стр. 86, рис. 58), რომელსაც ე. თაყაიშვილი X ს-ით ათარიღებს (იქვე, გვ. 88) და ჯავახეთის წყართსთავის მონასტერზე (იქვე, ტაბ. IX: 17, 18), რომელიც XI—XII ს-ით თარიღდება (იქვე, გვ. 51). ასეთივე ლავგარდანი აქვს გუდარების სასახლესაც, რომელიც აგრეთვე XII ს-ში უნდა იყოს აშენებული (გეგმები და ფოტოგადანაღები ინახება საქ. მუზეუმის ისტორიულ განყ-ში).

თავან საინტერესოა ბაცი მომწვანო ქანის ქვა (სარკმლის ჩარჩოს ნაწილი?) ლამაზი წნული ჩუქურთმით. ეს ქვა ცხადად სხვაგნით არის აქ მოტანილი. შენობას ორი სომხური წარწერაცა აქვს: ერთი, რომლის წაკითხვა ვერ მოვასწარი, აღმოსავლეთის კედელზეა მოთავსებული გარედან, მეორე კი სამხრეთის კედელზეა, შესავლიდან მარცხნივ. აქ ფილაქნის შუაგულზე მქისე რელიეფით გამოსახულია მოგვიანო ხანაში ძალიან გავრცელებული სომხური სამზოლიანი, კიდევებზე წყვილ-წყვილი „ფოთლებით“ შემკული ორი ჯვარი, რომელთა შორის ბორბლის მსგავსი როზეტია მოთავსებული. ჯვრების მარჯვნივ და მარცხნივ უშნო და ზოგჯერ ძნელად გასარკვევი მთავრული ასოებით ამოკოდვილია:

მარჯვნივ (9 სტრიქონი):

*ՏՐ ԱՆ | ՅՍ ԳՍ | ՈՂՐՄ(ԵԱ) 1 | ՏՐ  
ՍՍՐԳ|ԻՍ Ա|ԻԱԲԵԲԷ|Յ Ի ՀՈԳՈՅՆ.*

მარცხნივ (6 სტრიქონი):

*ԶԿԵ | ԳՐԻԳՐ Է|ՐԷՅ |ԾԱ|ՌԱՅ 2*

ქართულად: „უფალო ღმერთო, იესო ქრისტე, შეიწყალე ბატონი სარგის დეკანოზი სულისა მიერ. — 965. გრიგოლ ხუცესი მონაჲ“.

სომხური წელთაღრიცხვის 965 წ. უდრის ჩვენს 1516 წ.

ეკლესიის დასავლეთი კედლის ძირას გარედან, სამხრ.-დასავლეთი კუთხის ახლოს, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ორიენტირებული საფლავია. პრტყელ ოთხკუთხ საფლავის ქვაზე (ზომ. 1,63 X 0,53 მ.) დაბალი რელიეფით გამოქანდაკებულია უღვაშიანი და თითქოს წვერგაპარსული შუახნის მამაკაცი (ტაბ. VII, სურ. 12). თავზე მას გვირგვინი ახურავს<sup>3</sup>; აცვია წელში ვიწრო და ქამარშემორტყმული, ტოტებგანიერი, მკერდზე ჩაფრასტებიანი ტანისამოსი და მაღალქუსლიანი ჩექმები. ხელში მას სამძალიანი მრგვალმუცლიანი საკრავი (ჩონგური თუ ფანდური) უჭირავს, რომელზედაც უკრავს. მის გვერდით, მარცხნივ, მოხრილი, ვადიანი ხმალია, რომელზედაც მრგვალი ფარი დევს; ფარს ამკობს კვეთილი ბრიალა („მზის ნიშანი“). მარჯვნივ მრგვალთავიანი და აგრეთვე კვეთილი სახეებით შემკული გურზი დევს. ფეხთით რალაც ხელსაწყოთა გარნიტურია ოთხკუთხ ჩარჩოში ჩასმული (ეგებ სარტყელ-ყაწიმის ვერცხლის ნაწილები იყოს); უფრო ქვემოთ (ფოტოსურათზე აღარა ჩანს) გამოქანდაკებულია ლითონის (ვერცხლის) სურა, მაღალყელიანი და მრგვალმუცლიანი უყურო ლითონის ჭურჭელი, ყანწი და ტაშტ-წურწუმა.

მთელ სურათს გარშემო უვლის განიერი და სადა, მხოლოდ თავისკენ პროფილირებული აშია.

ბარელიეფი თავისთავად ძალიან პრიმიტიულია, ფიგურა მხოლოდ კონტურებშია გამოყვანილი, პროპორციათა დაუცველად, მაგრამ მაინც ნამუშევარი სუფთაა, ცუდ შთაბეჭდილებას არ ახდენს. გაცილებით უფრო მდარეა ის ბარელიეფები, რომელთა მოყვანა შეიძლება საანალოგიოდ და რომელთა სა-

<sup>1</sup> ამ სიტყვის უკანასკნელი მარცვალი (*ԻԱ*) ნამდვილად სულ არ სწერია, მე ჩავურთე.

<sup>2</sup> ამ წარწერის წაკითხვასა და თარგმანში თავაზიანად დამეხმარა დოც. ილ. აბულაძე, რისთვისაც მას დიდად ვმადლობ.

<sup>3</sup> ფოტოსურათზე მთლიანად არ გამოვიდა.



შუალებით ჩვენი საფლავის ქვა XVI ს-ით განისაზღვრება. ეს არის ორი სომხური ბარელიეფი, მოთავსებული აგრეთვე საფლავის ქვებზე, რომელთაგან ერთი დათარიღებულია 1501 წლით, და რომლებიც ვ. სისოევს უნახავს 1908 წელს შარურო-დარალაგიოზის ოლქში, სოფლ. კოდუხ-ვანქსა და ჯანისში<sup>1</sup>. ორივეს გამოსახულება ძალიან განსხვავდება კიანეთისეულისაგან, მაგრამ დედააზრი აქაც იგივეა: გამოსახულია მოლხენილი მიცვალებული (კოდუხ-ვანქის ქვაზე ცენტრში, ჯანისის ქვაზე მარცხნივ), რომელსაც ხელში საკრავი უჭირავს და, ალბათ, დაჰმღერის, ხოლო გარშემო მისთვის სააქაოს უძვირფასესი საგნები ახვევია—შეკაზმული ცხენი, ღვინის ჭურჭელი (ცხადია, ღვინით სავსე), იარაღი და მისთ.

ამასთან, ზოგიერთი დეტალი საგულისხმო პარალელებს გვაძლევს: კოდუხ-ვანქის ქვაზე მიცვალებულს აგრეთვე განიერტოტებიანი შარვალი აცვია<sup>2</sup> და მისგან მარცხნივ ზემოთკენ იმ ბრიალა ნიშანს ვხედავთ, რომლითაც კიანეთისეულ ბარელიეფზე ფარია აღბეჭდილი და რომელიც იქ შეიძლება მართლაც მზის სიმბოლო იყოს<sup>3</sup>. ჯანისის ქვაზე კი მიცვალებულს, რომელიც სულ სხვა (სპარსულ) ტანისამოსშია წარმოდგენილი, მარჯვნივ ისეთივე მოხრილი და ვადიანი ხმალი უდევს, როგორიც კიანეთის ბარელიეფზე გვაქვს.

1501 წლით დათარიღებულია კოდუხ-ვანქის ქვა. ამისდამიხედვით მე შესაძლებლად მიმაჩნია კიანეთის ბარელიეფიც XVI ს-ის დასაწყისით განვსაზღვრო, მით უმეტეს, რომ ეკლესიის წარწერაც ამ ხანაზე მიგვითითებს.

ფეხით კიანეთის საფლავის ქვას ოთხკუთხი ქვა უდგას, (ზომ. 0,95×0,47×0,12 მ.), ლამაზი რელიეფით გამოქანდაკებული და გარშემო ჩუქურთმით შემკული ჯვარით. ნახელავი კარგია<sup>4</sup>.

**დავით—საგარეჯო.** ეს ნანგრევი მდებარეობს მაშავერის მარჯვენა ნაპირას, ტყით მოცულ მთის ფერდობზე, სოფ. კიანეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლ. 3 კილომეტრის მანძილზე<sup>5</sup>.

<sup>1</sup> იხ. Матер. по Археол. Кавк., вып. XIII, стр. 96, рис. 38 და стр. 97, рис. 40.

<sup>2</sup> ისე ტანისამოსი სხვანაირია, თუმცა მასაც წელზე ქამარი აკრავს. მიცვალებული იქ თითქოს ფეხმორთხმული ზის. შეიძლება ორსავე შემთხვევაში არა შარვალი, არამედ განიერკალთებიანი კაბა გვქონდეს.

<sup>3</sup> სისოევს სურათზე კარგად არა ჩანს, მაგრამ აქაც საკრავი თითქოს სამძალიანია.

<sup>4</sup> მცირე შენიშვნა კიანეთის შესახებ მოუთავსებია თავის მოგზაურობაში ს. ჯალალ-ანცსაც. კიანეთის სოფლის ეკლესიას იგი წმ. გრიგოლისადგასახელებს. გზის პირის ტაძარი მას, ეტყობა, არ უნახავს, ან არ ჩაუთვლია ღირსად აღნიშვნისა (იხ. *У. А. Сисоев, Заметки о древностях Грузии*, Тбилиси, 1888, გვ. 91—92). ამ წიგნზე მიმითითა პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა.

<sup>5</sup> ვახუშტი ბატონიშვილს „დავითი“ აქვს აღნიშნული თავის რუკაზე კაზრეთის ხევში, სოფ. კაზრეთის ქვემოთ. მაგრამ ვახუშტს კაზრეთის ხევად აქვს მიღებული ის პატარა ხევი, რომელიც მაშავერს ქვეშის ქვემოთ ერთვის და ნამდვილ კაზრეთის ხევს, რომელიც ქვეშის ზემოთ ერთვის მაშავერს, ის არ უჩვენებს. კიანეთი ამ ორ ხევს შორის მდებარეობს მაშავერზე. ამგვარად, კაზრეთი და ისპიანი ვახუშტთან თავის ადგილას არაა, „დავითი“ კი დაახლოვებით სწორედ იქაა ნაჩვენები. სადაც „დავით-საგარეჯოს“ ნანგრევი მდებარეობს, ისე რომ შეიძლება მართლაც ამ უკანასკნელს ჰგულისხმობდეს.

როგორც ჩანს, აქ მონასტერი ყოფილა, რადგან, ორ ეკლესიას გარდა, აქ რამდენიმე ქვის შენობის საძირკვლებიც მოიპოვება <sup>1</sup>.

მთავარი ტაძარი საშუალო ზომის ერთნაგიან შენობას წარმოადგენდა, რომლისაგან მხოლოდ ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის კედლებიღაა დაცული. დანარჩენი თითქმის ძირამდე დანგრეულია. შენობას ერთსაფეხურიანი ხარისხი ჰქონია. იგი შემოსილი იყო საუცხოვოდ თლილი ბაცი მომწვანო ქანის ფილაქნებით, ხოლო დახურული იყო ჩინებულად ნახელავი ლორფინებით. შესავალი მხოლოდ სამხრეთიდან ჩანს. ტაძარი მდიდრულად იყო შემკული ბარელიეფებითა და ჩუქურთმით. ბარელიეფები აღმოსავლეთის კედელზეა შენახული გარედან: ჯვრები, არწივები, კალატოხები თავისი იარაღით. ჩუქურთმით მორთული იყო შესავალი, რომლის ახლოს ნანგრევებში სხვა ჩუქურთმიანი ქვებიც ჰყრია.

მეორე, სულ მცირე ეკლესია, რომელიც მთავარი ტაძრის სამხრ.-დასავლეთითა დგას, მხოლოდ გარედანაა შემოსილი იმავე ქანის თლილი ქვებით. იგი უფრო გვიან უნდა იყოს ნაგები, რისთვისაც, ეტყობა, ძველი ტაძრის ნანგრევი ქვა გამოუყენებიათ.

მთავარი ტაძარი XIII—XIV ს-ის შენობის შთაბეჭდილებას ახდენს <sup>2</sup>.

ქვეში<sup>3</sup>. კიანეთიდან ქვეშამდე ორიოდ კილომეტრია. ლუქსემბურგიდან იგი დაშორებულია 8 კილომეტრით.

ეს საკმაოდ დიდი ციხე გზის პირას მდებარეობს (მაშავრის მარჯვენა ნაპირას), მაღალს, ობლად ამართულ კლდეზე, ოთხივ მხრით თითქმის სრულეებით მიუვალა და გარედან საუცხოვო ლამაზ სურათს წარმოადგენს (ტაბ. VII, სურ. 13). მართალია, შიგნით შთაბეჭდილება ფუჭდება, რაც ხშირად ახასიათებს ქართულ ციხე-სიმაგრეებს.

შესვლა ციხეში მხოლოდ აღმოსავლეთიდან შეიძლება, პიტალო კლდეში გაჭრილი მოკლე გვირაბით. შესავლის ზემოთ კლდეში გამოჭრილია მოგრძო ოთხკუთხი ბუდე, რომელშიც, ეტყობა, წარწერიანი ფილაქანი უნდა ყო-

<sup>1</sup> დავით-საგარეჯოში მისავალ გზაზე, მონასტრიდან ასიოდ ნაბიჯის დაშორებით (კიანეთისკენ), თიხის მრლით გამოყვანილი წყაროა. ადგილობრივები ირწმუნებიან, რომ აქედან წყალსადენია წაღებული დაახლ. 2 კილომეტრის მანძილზე სამხრ.-დასავლეთით მდებარე ღორისთავის ნასახლარში (ღორისთავის შესახ. ცნობები იხ. ჩემს „დმანისში“, გვ. 328, შენ. 3).

<sup>2</sup> მე კიანეთიდან ავედი დავით-საგარეჯოში. იგი უკეთესი მისავალია კაზრეთიდან. დავით-საგარეჯო გავლით საჩქაროდ ვინახულე, ისე რომ ფოტოსურათების გადაღებაც ვერ მოხერხდა. საჭიროა ამ ტაძრის გაზომვაც, მით უმეტეს, რომ იგი საცაა სულ ერთიანად დაინგრევა. ნანგრევი, ხროვად მდებარე ქვის გაჩხრეკამ შეიძლება წარწერაც აღმოაჩინოს.

<sup>3</sup> XVIII ს-მდე ქვეშის ციხის შესახებ ცნობა არა გვაქვს, თუმცა „ქვეშის კალა“ უკვე XI ს-ში იხსენიება (ნ. ზ. ჭიჭინაძის გამოც. ქართლის ცა. გვ. 332); დრტილას 1307 წლის წარწერაში მოხსენებულია ლიპარიტ ქვეშელი (იხ. Сборн. Матер. для Опис. Местн. и Племя Кавк., вып. XIII, стр. 130 და Mélanges Asiatiques, tirés du Bull. Hist.-Philol. de l' Acad. Imp. des Sc. de St.-Pét., t. II, p. 343); შეიძლება იგივე ლიპარიტ ქვეშელი იხსენიება იერუსალიმის ჯვარის მონასტრის აღაპებშიც (იხ. ნ. მარისკაშვილი. გვ. XXVII, № 29); 1486 წლის ქვეშ გვაქვს ცნობა „ქვეშის კვეის“ შესახებ (იხ. ჭიჭინაძის გამოც. ქცა. გვ. 704). XVIII ს-ში კი ქვეში, რომელიც ორბელიანთა ხელში იყო, ძალიან მაგარ ციხედ ითვლებოდა და არა ერთხელ იხსენიება სამშვილდის გვერდით (იხ. ნ. ჭიჭინაძის გამოც. პაპუნა ორბელიანის ისტორია, გვ. 77, 127, 195, 238). მდებარეობა ამ ციხისა ისეთია, რომ მას არ შეიძლება წინათაც დიდი როლი არ ეთამაშნა, ისე რომ ძველი წყაროების დუმილი შემთხვევითი მოვლენა უნდა იყოს.

ფილიყო მოთავსებული. მართლაც, ადგილობრივი ამბობენ—ციხეს წარწერა ჰქონდა, რომელშიც ორბელიანი იხსენიებოდაო.

ციხის კედლები, რომელთა სისქე საშუალოდ 1,15 მ-ს აღწევს, შემოსილია გვერდებჩამოტეხილი ქვით ქვითკირზე, ხოლო შიგნით ამ პერანგში ჩასხმულია ქვორ-დულაბი. პერანგის ქვებს კარგი თარაზული წყობა აქვს. შიგნით კედლებს ზოგან დაბალი ხარისხი მიჰყვება. აქა იქ შერეულია აგურის წყობაც. ზოგან ხის კოჭების ნაშთები ჩანს. ბევრია სათოფურები. საზოგადოდ ეტყობა, რომ ციხეს არა ერთგზისი შეკეთება განუცდია და არა მგონია, რომ აქ უძველესი ხანიდან იყოს რაიმე გადარჩენილი, გარდა შესანიშნავი, 1,50 მ-ის სიგანის კიბისა, რომელიც ნაწილობრივ ამოჭრილია შიგ პიტალო კლდეში, ნაწილობრივ კი თლილი ქვითაა ნაგები, და რომელიც, შესავალი გვირაბის ახლოს, ციხის მეორე სართულში აღის (ტაბ. VIII, სურ. 14).

სხვა საინტერესო ციხეში არა მოიპოვება რა. საცხოვრებელი სახლები ძალიან მდარედაა ნაგები ქვით. კლდეში ორ ადგილას ამოჭრილია ღრმა ორმო ქვევრის მოყვანილობისა. არის სულ პატარა ეკლესია, ნაშენი თლილი ქვით, რომელსაც ჩრდილო-კედელზე სასიამოვნო წნული ჩუქურთმა ამკობს.

ქვევით სოფელში, რომელიც სომხებითა და ქართველებითაა დასახლებული, მცირე ერთნავიანი სომხური ეკლესია დგას, ნაგები ნაწილობრივ თლილი ქვით, რომელშიც აღსანიშნავია მხოლოდ შიგნით თაღზე გამოქანდაკებული სტილიზებული ყურძნის მტევნების რელიეფი. გარშემო სასაფლაოა მოგვიანო ხანის საფლავის ქვებით.

ს. ჯალალიანცს უნახავს ქვეში სომხური წარწერები, რომელთაგან ერთი დათარიღებული ყოფილა ჩვ. წელთაღრიცხვის 1439 წლით<sup>1</sup>.

### III. ტნუსის თეკენები<sup>2</sup>

მაშავრის კანიონი დმანისიდან სოფ. ტნუსამდე, ეხლა სრულებით უკაცური, ძველად მჭიდროდ დასახლებული ყოფილა<sup>3</sup>. მარცხენა სანაპიროზე, დმანისის ნაქალაქარიდან 0,50 კილომეტრის დაშორებით ზემოთკენ, კანიონის შუასიმაღლეზე, ერთნავიანი მცირე ეკლესია დგას, ნაშენი მქისედ დამუშავებული საშუალო ზომისა და პატარა კვადრებით ქვითკირზე. ქვის ქანი ლეგა და ფოროვანი, დმანისისათვის ჩვეულებრივი ბაზალტია. შენობის კედლის წყობაში განირჩევა მეტ-ნაკლებად სწორი ფენებით წყობილი პირები და მათ შორის ჩასხმული ქვორ-დულაბი (ბეტონი). სახურავი ჩავარდნილია. კარი ეკლესიას ორი

<sup>1</sup> იბ. მისი დასახ. შრ., გვ. 91. როგორც პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა გადმომცა, რომელსაც ქვეშის სომხური წარწერები გადმოღებული აქვს, ჯალალიანცს თარიღი სწორად არ ამოუკითხავს; ეს წარწერა ნამდვილად XVII ს-ისაა.

ქვეშა და ლუქსემბურგს შორის, გზიდან ჩრდილოეთით, რაღაც საინტერესო, თლილი ქვით, ნაგები ტაძრის ნანგრევი დგას, რომლის ნახვა ვერ მოვახერხებ.

<sup>2</sup> თეკენები სომხური სახელია. 1721 წლ. ხალხის აღწერის დავთარში (გვ. 182,356) ეს სახელი უფრო სწორადაა დაცული: „თეკენამ“. როგორც პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა გადმომცა, ასეთი სახელწოდების ეკლესია ყოფილა ძველად თბილისშიც. „თეკენამ“ სომხურად ჰნიშნავს: „რათა ეცხონდე“.

<sup>3</sup> შდრ. ჩემი „დმანისი“, გვ. 328; შენ. I.



უფრო დაბლა კი ერთნავიანი, თლილი ქვის პერანგიანი პატარა ეკლესიის ნანგრევი დგას, რომლის გარშემო სასაფლაოც არის. მაშაერის მარჯვენა ნაპირას კი, 1 კილომეტრით უფრო ქვემოთ, მრავალი ნასახლარია, სასაფლაოები და მთელი რიგი ეკლესიებისა. აი ამ ადგილს ეძახიან ეხლა ტნუსის თეკენებს. დმანისიდან აქ მომავალ გზაზე ბლომად ჰყრია კვამლოვანი ობსიდიანის ნამსხვრევები. მე-5 კილომეტრზე ძველი საწისქვილე არხი დაგზვდებათ, მდინარიდან გამოყვანილი; აქვე რამდენიმე ერთბორბლიანი წისქვილის ორმო ჩანს. ხოლო მე-6 კილომეტრზე, მაღალ კლდოვან ნაპირზე დგას ნანგრევი, რომელსაც მე თეკენების ქვემო ეკლესიას ვუწოდებ, რადგან მის ზემოთ სამხრეთ-დასავლეთისაკენ, რამდენიმე ასეული მეტრის დაშორებით, მეორე ტაძარი დგას, რომელსაც „შველის ეკლესიას“ ეძახიან. ეს უკანასკნელი მოშორებულია მაშაერის ნაპირს, უფრო მაღალ კლდეზეა ამართული და დანარჩენ შენობებს ზემოდან დასცქერის. აქედან 1,5 კილომეტრის მანძილზე, ისევ მაღალ კლდეზე ამართული ერთნავიანი ეკლესიის ნანგრევი ჩანს, რომელიც სწორედ ტნუსის პირდაპირ მოდის და მე არ მინახავს.

თეკენების ქვემო ეკლესიას გალავანი ჰქონია, რომლის კარის ნაშთები ჯერ კიდევ შედარებით კარგადაა დაცული. გალავნის შიგნით, ტაძარს გარდა, სხვა მრავალი ქვის შენობის ნაშთი ჩანს. თვითონ ტაძარი ერთნავიანი საშუალო ზომის შენობაა, ნაგები დმანისის სიონის ტიპზე. სახურავი ჩავარდნილია. შიგნით კედლები გალესილი და ფრესკებით შემკული ყოფილა. ჩრდილოეთიდან მიშენებულია ეკვტერი, რომლის ჩრდილო-კედლის წალოში არის კარგად შესრულებული პატარა ბარელიეფი<sup>1</sup>. წარწერა ტაძარს არა აქვს. მხოლოდ დასავლეთის შესავლის მარჯვნივ და მარცხნივ გარედან ნაფხაქნია მთავრულით რამდენიმე ასო: მარჯვნივ „დ“<sup>2</sup>, ხოლო მარცხნივ „დე“ (უკანასკნელი ორი ასო შეწიალებულია „დ“-ონში) და ქვემოდან კიდევ არის მიწერილი ერთი „ვ.“ ამ შესავლის ბალავარი და ზღურბლი სადაა, ხოლო ამყოლები, რომლებიც რამდენიმე სხვადასხვა ზომის ქვისაგან შედგება, გარედან შემკულია ნახევარპალმეტებიანი ტალღოვანი რტოის რელიეფით. ნახელავი კარგია, ლამაზი. რტო ხან სამხოლიანია, ხან ორხოლიანი. პალმეტები, რომლებიც მონაცვლეობით მარჯვნივ და მარცხნივ ასხია რტოს, ყველა გადმოზნეკილია ერთი, რტოის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით. პალმეტები ხუთფურცლიანია: ძირა ფურცელი მრგვალია და ბურღით დაწერტილი<sup>3</sup>, ხოლო დანარჩენი ფურცლები ზოგი ცერადკვეთითაა ამოღებული, ზოგს კი შუაზე დატოვებული აქვს ვიწრო და მახვილი, ან წვეთისებურად მომრგვალებული გული. კუნჭულები პალ-

<sup>1</sup> სამწუხაროდ, ფოტოსურათზე ეს ბარელიეფი ძალიან გაურკვეველად გამოვიდა. რამდენადაც მახსოვს. თხელი რელიეფით გამოსახულია მაღალი კაცის ფიგურა, რომელსაც გრძელი ნაკეციანი კაბა აცვია. მის ქვემოთ მოდის ორი ნახევარლილვაკი და შემდეგ კიდევ ერთი უღვაშიანი ფიგურის პრეტყლად გამოყვანილი სახეა. დანარჩენს ჰფარავს ბათქაში. ბარელიეფი ჩასმულია ნახევარლილვაკებისაგან შემდგარ სწორხაზოვან ჩარჩოში. ნახელავი კარგია, განსაკუთრებით ხელოვნურადაა მოდელირებული ზემო ფიგურის კაბის კალთები. ქვა აშკარად მოგვიანებითაა ჩასმული თახჩაში და თავდაპირველად აქ არ ეკუთვნოდა. ბარელიეფი ძველი უნდა იყოს (XII—XIII ს.).

<sup>2</sup> ასეთ ფურცელს I. Strzykowski „Kreislappen“-ს, ე. ი. წრფეფურცელს ეძახის (იხ. მისი Altai—Iran und Völkerwanderung, S. 27).

მეტებსა და რტოს შორის შევსებულია ან მთლიანი სამკუთხედით ან ღრუ სამკუთხედითა და მასში შეწიალებული პატარა რელიეფური სამკუთხედით თუ წერტილით. ეს რელიეფი, დეტალებში უმნიშვნელო სხვაობას თუ მხედველობაში არ მივიღებთ, სრულებით ისეთივეა, როგორც ახტალის ტაძრის ერთ-ერთი პილასტრის ხარისხზე გვხვდება<sup>1</sup>.

ასეთივე რტოით შემკული ქვა გამოუყენებიათ აფსიდის სარკმლის ზედანად, რისთვისაც ეს ქვა მრგვლად ამოუჭრიათ და ორნამენტიც ოდნავ დაუზიანებიათ. რა თქმა უნდა, ეს უკვე ტაძრის შერძინდელი შეკეთების დროს მომხდარა.

ჩრდილო-ეკვტერის აღმოსავლეთი სარკმლის თავის ქვადაც გამოყენებულია ძველი სტელის ფრაგმენტი, რომლის ორნამენტი ბარბაროსულადაა დაზიანებული მთელი ერთი დიდი ნაკვეთის ამოჭრით (ტაბ. VIII, სურ. 15). თითქმის მთელი ქვემო ნახევარი ამ ქვას აკლია. მაგრამ ნაშთების მიხედვით შესაძლებელი ხდება სრული ორნამენტის აღდგენა (ტაბ. VIII, სურ. 16)<sup>2</sup>. ქვემო ნაწილის ორნამენტის შემონახული ნაშთები — მედალიონი, ნაწილი მისი ბუნისა და პალმეტების წვეროები — გვაფიქრებინებს, რომ იგი იმეორებდა ზემო ნაწილის სახეს, რომ ქვემოთაც კვარცხლბეკზე და ვიწრო ბუნზე დადგმული პალმეტებიანი მედალიონი იყო გამოსახული<sup>3</sup>. ეს ვერტიკალურად განლაგებული ჯვრიანი მედალიონების კომპოზიცია ჩვენ უკვე შეგვხვდა უკანგორის დიდ სტელაზე და ბუნებრივია დავასკვნათ, რომ თეკენების ქვაც ისეთსავე „ჯვარის“ ფრაგმენტს წარმოადგენს<sup>4</sup>. ზედ გამოსახული მედალიონები ბოლნურია. ჯვრების მკლავებში ორისი არე, ჩვეულებისამებრ, ამოვსებულია „ფოთლებით“. ქვედა ჯვრის ჩარჩო სამკუთხედებია, ზედა ჯვრისა კი შევსებულია ისეთივე მოქნილი პარალელური ქდეებით, როგორც ოროზმანის ჯვარის ჩარჩო (იხ. ქვემ. ტაბ. XV, სურ. 29). ზედა მედალიონი შალალს, ვიწრო და პრტყელ ბუნზე დგას, რომლის გული მთელ სიგრძეზე თავთხელად ამოღებულია და დასერილია ირიბი პარალელური ქდეებით. ბუნის ღეროდან, ძირზე ცოტა უფრო ზემოთ, გამოდის ორი ნახევარპალმეტი, რომლებიც ფრთებივით იშლება ბუნის მარჯვნივ და მარცხნივ და მედალიონს ქვემოდან ევლება. პალმეტები ხუთფურცლიანია, რომელთაგან ძირა ფურცელი მრგვლად ამოღებულ წრფურცელს წარმოადგენს („Kreislap-pen“), დანარჩენები კი ცერადკვეთითაა ამოღებული<sup>5</sup>.

აქ გვაქვს, მაშასადამე, ე. წ. პალმეტებიანი ანუ „აყვავებული“ ჯვარი, რომელიც შერმეც ძალიან გავრცელებული იყო როგორც ჩვენში, ისე სომხეთშიც<sup>6</sup>.

<sup>1</sup> Baltrusaitis, დ. ნ., ტაბ. XLIII: 68 (ხარისხის ზემოდან აშიაზე).

<sup>2</sup> ნახატი შესრულებულია მხატვ. მ. ხუციშვილის მიერ.

<sup>3</sup> ქვემო ნაწილის აღდგენილი სახე ჩვენს სურათზე ზუსტად იმეორებს ზემო ნაწილის დეტალებს. რა თქმა უნდა, ეს მაინც და მაინც ასე არ იქნებოდა: როგორც ქვედა ჯვარის ჩარჩო საკუთარ ვარიანტს გვიჩვენებს, ისე ეგებ კვარცხლბეკიც და მისი შევსებაც ქვემო ნაწილში თავისებურად იყო ვარირებული. მაგრამ საერთოდ კომპოზიცია ერთი და იგივე უნდა ყოფილიყო.

<sup>4</sup> შესაძლებელია, უკანგორის ქვასავით, ამის დანარჩენი პირებიც ორნამენტირებული იყოს. კარგი იქნებოდა ამ ქვის გამოღება და თბილისში ჩამოტანა. სამწუხაროდ, იგი ვერც გავზომე, რადგან ნამეტანი მაღლაა შეშენებული.

<sup>5</sup> მთლიანადაა შენახული მხოლოდ მარჯვენა პალმეტი (იხ. ტაბ. VIII, სურ. 15).

<sup>6</sup> გავიხსენოთ, მაგ., მცხეთის ჯვრის ძღვეამოსილების ჯვარი (Baltrusaitis, Pl. LXXVI: 125) და სომხური ხაჩკარები (იქვე, ტაბ. XIV: 24, XXIV: 40, 41 და მრ. სხვ.). შდრ. აგრეთვე Mater. по Археолог. Кавк. VII, табл. XII (ეხვევი). მეტად საინტერესოა, რომ ეს მოტივი ჩვენში ასე ადრე გვხვდება.

მედალიონი ბუნითა და პალმეტებით დადგმულია სამსაფეხურიან კვარცხლბეკზე, რომელიც სამსართულიან გოდოლს მოგვაგონებს. თვითეული სართული კვარცხლბეკისა წარმოადგენს მოგრძო ოთხკუთხედს, რომელიც შევსებულია სამფურცელა პალმეტების მწკრივით. ძირა ოთხკუთხედში სამი პალმეტია, შუა და ზედა ოთხკუთხედებში კი ორ-ორი<sup>1</sup>. ამ პალმეტების ფურცლებიც ცერად-კვეთითაა ამოღებული. პალმეტებშიორისი უბეები და ოთხკუთხედის კუნჭულები ამოვსებულია ისეთივე „ფოთლებით“, რომლებიც ჯვრების მკლავებს შორისაა მოთავსებული.

მთლიანად ეს თავისებური კომპოზიცია თავის პირდაპირ ანალოგიას ჰპოულობს მხოლოდ უკანგორის ქვებს შორის (მღრ. ენიმკი-ს. მოამბე IX, გვ. 92, სურ. 59).

მიუხედავად იმისა, რომ ქვა ძალზე დაშავებულია, კარგი ძველი ტექნიკა მშვენიერ წთაბეჭდილებას ახდენს.

ბოლნისისა და უკანგორის პარალელები ათარილებენ ამ ფრაგმენტს V ს-ის მეორე ნახევრით და VI ს-ის დამდეგით.

თეკენების მეორე, ე. წ. „შველის ეკლესია“ ლამაზ პატარა ერთნაგიან შენობას წარმოადგენს, გარედან საუკეთესოდ თლილი სოსანი ფერის ქვით შემოსილს, შიგნით კი უწინ, ალბათ, ბათქაშით გალესილს, რადგან აქ პერანგი მას არ უჩანს<sup>2</sup>. ეს ტაძარი სომხურია. შიგნით, ჩრდილო-კედლის წალოში, ჩადგმულია, როგორც ეს სომხურ ეკლესიებში იყო ხოლმე მიღებული, ქვის ემბაზი, რომელზედაც სომხური მთავრულით ამოკოდვილია:

### *ს-ქ-ს მ-ბ-ს*

ე. ი. „წელსა 1137-სა“ სომხური წელთაღრიცხვით, ანუ ჩვენებურად 1688 წ.

გარედან ტაძრის კედლები შემკულია ბარელიეფებით. აღმოსავლეთის ფასადზე ერთ ფილაქანზე, სარკმლიდან მარჯვნივ, გამოსახულია მტაცებელი ფრინველი (ალბათ, არწივი), რომელსაც ბრჭყალებში თითქოს დუმიანი ცხვარი უჭირავს. მეორე ქვაზე, სარკმლიდან მარცხნით, რომბია, ხოლო ფილაქნის კუთხეები ოთხი ლომის ფიგურითაა შევსებული. არის აქ კიდევ სხვა რელიეფებიც.

სამხრეთის ფასადზე, ლავგარდანის ქვეშ, სამხრეთ-დასავლეთი კუთხის ახლოს, გამოსახულია ამხედრებული და შუბოსანი წმინდა გიორგი, რომლის ცხენი ფეხებით ვეშაპსა სთრგუნავს; შუბით გიორგი მას დაღებულ პირში სცემს, (ტაბ. IX, სურ. 17). მხედრის მარცხნითა და მარჯვნივ თავისუფალი არე შევსებულია სომხური მთავრული წარწერით:

### *მ-ბ-ი-ბ*

<sup>1</sup> ზედა ოთხკუთხედის მარცხენა ნახევარი ჩამოჭრილია, მაგრამ ძირი პალმეტისა მაინც ჩანს (იხ. ტაბ. VIII, სურ. 15).

<sup>2</sup> ვინაიდან თავის დროზე ეს ძველი რიგიანად არ ამიწერია, ჩანაზომებიც არა მაქვს და ფოტოგადანაღებიც უკმარია, უსრულ აღწერილობას ისევ აუწერლობა ვარჩიე. ძველი თავისთავად საინტერესოა და ღირსია შემდგომი შესწავლისა.

ე. ი.: „წმინდა გიორგი“. პირველი ორი ასო მარცხნითაა ამოკოდვილი, მეორე ორი კი მარჯვნივ (სურათზე დაფარულია ტოტებით).

ამ ქვის ქვეშ მეორე ქვაზე ორი მტაცებელი ოთხფეხი დგას ერთი მეორის ზემოდან. ესენი, ალბათ, ლომებს უნდა წარმოადგენდნენ. ერთი, რომელიც ქვემოდანაა, თავით მარჯვნივთაა მიმართული, მეორე კი მის ზემოთ—მარცხნივ იცქირება. ორივეს ბოლობოლქვოვანი კუდები აშვერილი, შუაზე მარყუჟულად დახვეული და თავებისკენ გადმოგდებული აქვს<sup>1</sup>.

ეს ბარელიეფები ყველა ძალიან მდარე ნახელავია. ყველა გაკეთებულია თითქმის სრულებით პრტყლად და ყველას აშკარად ეტყობა მხატვრის ზრუნვა მოცემული სივრცის შევსებისათვის. პროპორციები არსად დაცული არაა. არწივს აღმოსავლეთის ფასადზე უშველებელი განიერი კუდი აქვს, იმიტომ რომ სხვანაირად დიდი არე ქვისა ცარიელი დარჩებოდა. მისი ფრთები დანიშნულია თხელი პარალელური შტრიხებით. რომბის გარშემო დასაგებულ ლომებს ოდნავი მოდელირება ამჩნევიათ, მაგრამ საზოგადოდ ისინი საშინელ შთაბეჭდილებას ახდენენ: ზოგიერთი უფრო ძროხასა ჰგავს; განსაკუთრებით საზარელია მათი უზომოდ გრძელი კუდები—ესეც ცარიელი ადგილების შესავსებად. ვერც სამხრეთი ფასადის ლომებს იცნობდა ადამიანი, ფეხებზე რომ მათ ბრჭყალები არა ჰქონდეთ. მათი თავები უფრო ცხენისასა ჰგავს, ვიდრე ლომისას. წმინდა გიორგი ხომ, რომელიც ნამეტან გრძელსა (ესეც ფილაქნის შესავსებად!) და თავისთან შედარებით ვეებერთელა ცხენზე ზის და ტანითა და თავით en face არის გამოსახული, სრულებით უმწეო ფიგურას წარმოადგენს: მისი ქვედატანი სრულებით არაა დანიშნული, ისე რომ იგი კენტავრივითაა შეზრდილი თავის ცხენთან. მართალია, ოდნავი მოდელირება ამის ზედატანსა და მკლავებსაც ეტყობა<sup>2</sup>.

ამ ბარელიეფებში სასიამოვნოდ გამოიჩინება სამხრეთი ფასადის მესამე ბარელიეფი (ტაბ. X, სურ. 18), რომელიც მოთავსებულია აგრეთვე ლავგარდნის ქვეშ, კედლის შუაადგილას. იქ გამოსახულია ხარი ირემი, რომელიც მისდევს ფურს<sup>3</sup>.

უკვე წმინდა ფორმალური მომენტები განასხვავებს ამ ბარელიეფს. იმ დროს როდესაც დანარჩენი ბარელიეფები ქვაზე ზემოდან პრტყლად დაკრული (დატყაპული) და ჰაერში ჩამოკიდებული, სრულიად აბსტრაქტულად აღქმული გამოსახულების შთაბეჭდილებას ახდენს, აქ, პირიქით, ნახატი ორგანულად შეზრდილია თავის მიწასთან, გამოსახულება კონკრეტიზირებულია, შეკრული და დამთავრებული, და ეს მიღწეულია იმით, რომ ბარელიეფი ჩასმულია ჩარჩოში. მოგრძო ოთხკუთხი ქვის გული ამოღებულია რამდენიმე სანტიმეტრის სიღრმეზე ისე, რომ ნაპირებზე დატოვებულია სადა ვიწრო ქიმი. ერთის მხრით, ამის

<sup>1</sup> მსგავსად შეკვანძული და თავისკენ გადმოშვერილი აქვს კუდი გრიფონს სანაინის ერთ ბარელიეფზე (Baïtrusaitis, დ. ნ., გვ. 44, სურ. 69). შდრ. აგრეთვე Mater. по Археол. Кавк. XIII, табл. XXIX (გრიფონი ე. წ. სელიმის ქარვასლის შესავლის მარცხნივ).

<sup>2</sup> წვრილმანებზე, როგორც არის, მაგ., ლომების ბრჭყალებისა და ცხენის ფაფრის გადმოცემა პარალელური შტრიხებით და მისთ.. შეჩერება არ ღირს.

<sup>3</sup> უეჭველია, ამ ბარელიეფმა მისცა სახელი ეკლესიასაც, მაგრამ, რა თქმა უნდა, ირემი შევლს კი არ მისდევს, არამედ თავისავე ფურს. შევლისთვის ეს გამოსახულება ნამეტანი დიდია.



გამო რელიეფი უფრო მაღალი ჩანს. უფრო მკაფიოა, ხოლო მეორე მხრით, ამით შექმნილია საკუთარი სივრცე, რომელშიც მოქმედება სწარმოებს; ფიგურებს ფეხქვეშ ნიადაგი აქვს მიცემული, რომლის როლს ჩარჩოს ქვედა თამასა ასრულებს და შიგ სურათში შეტანილია ჰაერი, რაც მას დიდ ცხოველმყოფელობას ანიჭებს. ამავე დროს წარმოდგენილი სცენა სავსებით რეალურ ხასიათს ატარებს და დამუშავებულიც რეალისტურადაა. სურათი შინაარსიანია. ჩვენ წინ დადგმულია ბუნების ცხოვრების ნაჭერი. პირველ ყოვლისა, თვალში გეცემათ მოძრაობა, რომელსაც დანარჩენი ბარელიეფები სრულებით მოკლებულნი არიან და რომელიც აქ გამოხატულია ძალიან ოსტატურად: არა მარტო პრიმიტიული ხერხით, როგორც არის წინა ფეხების ზემოთ აშვერა, არამედ მთელი ტანის დაძაბულობითა და სახის გამომეტყველებით. დანარჩენი ბარელიეფები მხილველს გულგრილად სტოვებს, ეს პანო კი აღძრავს ჩვენში გრძნობების და აზრების მთელ მწკრივს. უნებლიედ გვინდა მოცემული სცენა წარმოსახვით შევახსოვოთ, მისი ჩარჩო გადავლახოთ.

დამახასიათებელია, რომ მხატვარს სივრცისა არ ეშინიან. ის ზრუნვა ცარიელი ადგილების შევსებისათვის, რომელიც დანარჩენ ნახატებში ასე აშკარად გამოსჭვივის, ამ ნახატს სრულებით არ ეტყობა. სურათი ჰაერიანია სავსე და არსად ზედმეტი ნაკვთი ჩართული არაა. პროპორციები საერთოდ კარგადაა დაცული და მათი დარღვევა ზოგჯერ შეიძლება მხატვრის გარკვეული განზრახვით იყოს გამოწვეული. ხარიჩრის ტანი ნორმალურზე ცოტა უფრო გრძელია და მასთან შედარებით ფეხები ცოტათი მოკლე მოვიდა, რაც წინა ფეხებს უფრო ეტყობა, სახეც ნამეტანი წაგრძელებულია და თითქოს კუდიც უფრო მოკლე უნდა ყოფილიყო, რქებს დამახასიათებელი ბუდე აკლია, ქედი ნამეტანი შორსაა წაღებული კისრიდან, თითქმის შუაზურგზეა მოქცეული კუზივით. მაგრამ მაინც გაზიდული, ფერდებში შეწეული ტანი, გრძელი და ღონიერი კისერი, ფეხები და განსაკუთრებით მახვილი, ვიწრო კოხტა ჩლიქები, რქების უიმისოდაც, საკმაოდ ახასიათებენ კავკასიურ ირემს (*Cervus elaphus*). თუმცა საერთოდ მხატვარმა კარგად მოახერხა თავისი ფიგურების დალაგება მოცემულ არეზე, მაგრამ ფურის წინაფეხები უშნოდ არის დამოკლებული იმის გამო, რომ მას აქ ფილაქანი არ ეყო. გარდა ამისა, მარცხენა ფეხი უმწეოდაა მიდგმული კისერზე, რომლის წინა ნაწილი ნამეტანი წვრილია და წაგრძელებული. სახეც ფურს გრძელი აქვს, გავა ნამეტანი გამოშვერილია. მაგრამ საერთო შთაბეჭდილება აქაც კარგია: ფური ასეთი უნდა იყოს — ნაზი და სუსტი.

რელიეფი აქაც საერთოდ პრეტყლადაა მოცემული, პერსპექტივა დაცული არაა, რაც განსაკუთრებით ეტყობა ხარის რქებს და ფურის წინა ფეხებს. მაგრამ ფიგურების ზოგიერთი ნაწილები მაინც ოდნავ მოდელირებულია: ასე, გავა, უკანა ფეხები. უნდა აღინიშნოს, რომ ბარელიეფი დროთა განმავლობაში საკმაოდ დაზიანებულია, ქვის ზედაპირი ალაგ-ალაგ ახეთქილია, ისე რომ ბევრი დეტალი დღეს უკვე აღარა ჩანს. ფიგურების ზედაპირი გლუვადაა დატოვებული, მხოლოდ ხარის კუდს ეტყობა თითქოს თხელი შტრიხებით დამუშავება.

ყველაზედ უფრო საინტერესოა ის გამომეტყველება, რომლის მიცემაც შესძლო მხატვარმა თავისი ფიგურებისათვის. ხარი ირემი უკვე მოეწია ფურს. მისი წინა ფეხები საკმაოდ უმწეოდაა აშვერილი ჰაერში, მაგრამ მისი სახტო-

მად გამხადებული გავა, წაგრძელებული ტანი, გაძაბული კისერი, აწეული თავი, უკან გადაგდებული რქებითა და დაცქვეტილი ყურებით, და განსაკუთრებით წინ გამოშვერილი სახე, განივრად ახელილი თვალითა და ოდნავ დაღებული პირით, საუცხოვოდ გადმოგვეცემენ ძლიერ ვნებას. ხოლო ფურის მოქნილად მოხრილი ტანი, მოღერებული კისერი, აგრეთვე დაცქვეტილი ყურები და თითქოს ოდნავ გაკვირვებული თვალის გამომეტყველება, კრთომითა და სინაზით არის სავსე.

აღსანიშნავია, სხვათა შორის, როგორც საგულისხმო დეტალი ისიც, რომ ირმების თვალეები პატარა მრგვალ ფერსოში გაკეთებულს უსწოროდ მრგვალ ფოსოს კი არ წარმოადგენს, როგორც ამას ლომებზე ვხედავთ და არც ისე უმსგავსად ჰიპერტროფირებულია, როგორც წმინდა გიორგის თვალეები, არამედ პატარა ოვალით ამოღებულია ოვალურს, უკან გაგანივრებულსა და წვეტით დაბოლოვებულ რელიეფში. ყველა სხვა დეტალების უფრო მუყაითი, უფრო ხელოვნური დამუშავებაც მკვეთრად განასხვავებს ამ ნახატს ამ ეკლესიის დანარჩენ ბარელიეფებში.

ზემონათქვამიდან, ჩემის აზრით, სრულებით უდავოდ გამომდინარეობს, რომ ირმების ბარელიეფი სხვა ხელოვანის მიერ არის შესრულებული და დანარჩენ ბარელიეფებთან საერთო არა აქვს რა. იმ ფილაქნის ქანი, რომელზედაც მოთავსებულია ირმების ბარელიეფი, არ განსხვავდება ეკლესიის საპირე ქვების ქანში და პანოც კედელში კარგად. ბუნებრივად არის მორგებული, თორემ უფრო დაბეჯითებით შეიძლებოდა გვევარაუდნა, რომ ეს ქვა თავდაპირველად ამ შენობას არ ამკობდა, არამედ სხვა, უფრო ძველი ძეგლიდან წამოუღლიათ აქ, მეორედ გამოსაყენებლად. არა მგონია, რომ თვითონ შენობა („შველის ეკლესია“) ისე ძველი იყოს, როგორც ეს ბარელიეფი ჩანს. საქმე ისაა, რომ ეს უკანასკნელი ზედმიწევნით იმეორებს იმ კომპოზიციას, რომელიც კარგადაა ცნობილი ოშკიდან (ტაბ. X, სურ. 19) და რომელიც, ამ ტაძართან ერთად, X ს-ით თარიღდება. მსგავსება ისეთი განმაცვიფრებელია, რომ შემთხვევითი ის არ შეიძლება იყოს. ორში ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება მხოლოდ: ან ორსავე კომპოზიციას ერთი და იგივე სათავე აქვს, საზიარო ორიგინალი, რომლისგანაც თვითეული მათგანი დამოუკიდებლად იქნა გადმოღებული, ან კიდევ, რაც თითქოს უფრო დასაშვებია, ერთი მათგანი ორიგინალს წარმოადგენს, ხოლო მეორე მისი შიბაძვაა. თუ ასეა, მაშინ ორიგინალს უფრო თეკენების ბარელიეფი ჰგავს.

მსგავსება ამ ორ კომპოზიციას შორის ისე შორს მიდის, რომ თითქმის ყველა დეტალებზე ვრცელდება: მაგ., ოშკის ბარელიეფზეც მხატვარს თითქოს ფილაქანი აღარ ეყო ფურის წინაფეხების სრულად გამოსასახავად და ისინი უშნოდ დაუმოკლებია; ამასთან, მარცხენა ფეხი მას სწორედ ისევე უმწეოდ მიუბამს პირუტყვის კისერზე, როგორც ამას თეკენების ბარელიეფზე ვხედავთ; ხარის რქების შტოთა რაოდენობაც კი ორსავე ბარელიეფზე ერთი და იგივეა, სახელდობრ, მარჯვენა რქაზე იქაც ორმხრივ სამ-სამი შტოა განაწილებული სიმეტრიულად, ხოლო რქის წვერო ორკაპაა (მარცხენა რქა ორსავე ბარელიეფზე დაზიანებულია და მისი დეტალები კარგად აღარ განირჩევა, მაგრამ ნაშთის მიხედვით საფიქრებელია, რომ ისიც სრულებით ერთნაირი იყო). ოშკის სურათი

ისეთსავე ჩარჩოშია ჩასმული. ორივე პირუტყვის პოზები ზუსტად არის განმეორებული. თვითონ ფილაქნების პროპორციები კი განსხვავდება. ოშკის მხატვარს შედარებით უფრო მოკლე და განიერი ფილაქანი აქვია<sup>1</sup>. ამის გამო მისი ფიგურებიც უფრო მოკლეა. გარდა ამისა, მას ეტყობა ის ტენდენცია, რომელიც თეკენების ბარელიეფზე ჩვენ ვერ შევნიშნეთ: სახელდობრ, ტენდენცია მოცემული არის რაც შეიძლება უფრო სრულად შევსებისა. თუ თეკენების ფიგურების სიმაღლესთან შედარებით გადაჭარბებული სიგრძე (განსაკუთრებით ხარირმისა) შეიძლება ავხსნათ მხატვრის მისწრაფებით მეტი დინამიკა მიეცა თავისი გამოსახულებისათვის, ოშკის ფიგურები აშკარად ამჟღავნებენ მხატვრის შიშს ცარიელი სივრცის წინაშე: შედარებით განიერი ფილაქნის ზედაპირის შესავსებად მას მოუხდა ფიგურების ამაღლება. თუ ამით ხარირემმა, მხატვრისა და უნებურად, ცოტათი მოიგო (მისი უკანა ტანი ისე არანორმალურად დამჯდარი აღარ არის, როგორც თეკენების ბარელიეფზე და მისი სიგრძე-სიმაღლის პროპორციები უფრო უახლოვდება ბუნებრივს), სამაგიეროდ მეტის-მეტად დაუშნოვდა ფური, რომლის უკანა ფეხები და ყელი სრულებით არაბუნებრივად გრძელი გამოვიდა. თეკენების ბარელიეფი ჰაერიითაა სავსე, ოშკის ბარელიეფს კი სივრცე აკლია<sup>2</sup>. საზოგადოდ, ერთი შეხედვითაც ეტყობა, რომ თეკენების მხატვარი თავისუფლად ჰქმნის, ის ჰფლობს თავის მასალას, ოშკელი კი შეზღუდულია როგორც თავისი ორიგინალით, ისე მასალითაც. თუმცა ზოგიერთი დეტალი ოშკში სჯობია (ასე, როგორც უკვე აღვნიშნე, ხარირმის საერთო პროპორციები, ქედის უფრო ახლო დასმა კისერთან, რაც აგრეთვე მხატვარს უნებლიედ გამოუვიდა ფიგურის დამოკლებასთან დაკავშირებით, შეიძლება, კუდის უქონლობაც, რომელიც თეკენების ბარელიეფზე უსიამოვნოდ გრძელია. ხოლო ხარირემს ნამდვილად ძალიან მოკლე აქვს და პროფილში შეიძლება სულ არ გამოჩენილიყო), მაგრამ საზოგადოდ შესრულების მხრით თეკენების პანო გაცილებით უფრო მაღლა დგას. ხარს ოშკში ტანი ისეთი გაზიდული და კოხტა არა აქვს, მისი წინაფეხები მჭისედაა დამუშავებული, კისერი, აგრეთვე სიმაღლის მოსაგებად, ნამეტანი გრძელია და თან უფორმო, ფურის კისერიც უშნოა, სრულებით უფორმო, პირი ნამეტანი ბლაგვია, უკანა ფეხების დადგმა უმწეოა. უმთავრესი კი ისაა, რომ ოშკის გამოსახულებას აკლია ის მეტყველება, ის დინამიკა, რომელიც ასე ახასიათებს თეკენების ბარელიეფს. ოშკის ფიგურები მძიმეა და მოუხეშავი, თეკენებისა კი, პირიქით. გვაკვირვებს თავისი სიმსუბუქითა და მოქნილობით.

ამგვარად, მე მგონია, რომ თუ რომელსამე ამ ორ გამოსახულებათა შორის ორიგინალობა შეიძლება მიეკუთვნოს, ეს ისევ თეკენების ბარელიეფია. მით უფრო საკვირველია, რომ ეს უკანასკნელი სრულებით განცალკევებითა დგას „შველის ეკლესიის“ დანარჩენ ბარელიეფთა შორის, იმ დროს როდესაც ოშკის გამოსახულება ბუნებრივად შედის იმავე ტაძრის დანარჩენ ცნობილ ბარელიეფ-

<sup>1</sup> ფილაქნის ზომა მულაჯის მიხედვით, რომელიც მეტნის ხელოვნებათა მუზეუმში ინახება, არის  $0,785 \times 0,335$  მ.

<sup>2</sup> რელიეფიც აქ უფრო თხელი ჩანს, მიწა სულ 2—3 მილიმეტრის სიღრმითაა ამოღებული.

თა კომპლექსში, რომლებთან ერთად ის თითქოს ერთისა და იმავე სტილის დაღს ატარებს<sup>1</sup>.

„შველის ეკლესიის“ სხვა შემკულობიდან მოვიხსენიებ კიდევ ძალზე სტილიზებული პალმეტებიან ბორდიურს, რომელიც დასავლეთ შესავალს ამშვენებს გარედან (ტაბ. IX, სურ. 20). ეს მოგვიანო არაბესკული დაუპროფილირებელი პალმეტები, შუბის ანუ ისრის პირის სახისა, რომელთა წვერო ნავისებური თაღის მსგავსადაა მოყვანილი, ღერო კი შეკვანძული ჩანს, ჩემის აზრით, XV—XVI ს-ს გვაგულვებინებს.<sup>2</sup> შეიძლება ამავე ხანის მანიშნებელი იყოს ნავისებური თაღით გადახურული და ასეთივე ჩარჩოთი შემკული სარკმელიც აღმოსავლეთი ფასადისა<sup>3</sup>, თუმცა ეს არაბულ-ერანული ფორმა სომხეთში გაცილებით უფრო ადრეც იჩენს თავს (არა ერთ ძეგლზე, მაგ., ანისში).

ამგვარად, „შველის ეკლესია“ სხვადასხვა ხანის ელემენტებს გვიჩვენებს. მთავარი კი ისაა, რომ ეს ძეგლი საკმაოდ შესწავლილი არაა და ამიტომ მისი დათარიღებაც ჯერ-ჯერობით ნაადრევი იქნებოდა.

დასასრულ, აღვნიშნავ კიდევ ექვსსვეტიან პატარა სამრეკლოს, რომელიც ტაძრის აღმოსავლეთითა დგას, სულ სხვა სტილზე, გაცილებით უფრო მდარედაა ნაგები და ქართული მხედრული წარწერიან ქვას შეიცავს. წარწერა სადა-გლადაა ნაჯღაბნი და არ იკითხება. იგი XVII ან XVIII ს-ისა უნდა იყოს.

#### IV. ბოსლგების სამეზბა

სოფ. ბოსლგები დმანისის ნაქალაქარიდან ხუთიოდე კილომეტრის მანძილზე მდებარეობს ჩრდილო-დასავლეთით, ბოსლგების წყალზე, რომელიც მარცხნიდან ერთვის მაშავერს<sup>4</sup>. აქედან ერთი კილომეტრია სამეზამდე, რომელიც ბოსლგების წყლის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. ეს მშვენიერი პატარა ტაძარი თითქმის სრულებით დანგრეულია და გაძარცვული (პერანგახდილი). თლილი ქვები გარშემო სოფლელებს დაუტაცნიათ. გადმოცემით, ტაძარს წარწერაც ჰქონია. ესლა ადგილ-ადგილაა დაცული საპირე ქვა და აქა-იქ შენახულია ჩუქურთმაც. არსებითად შენობის მხოლოდ ორი კედელია დგას—სამხრეთისა და აღმოსავლეთის (ტაბ. XI, სურ. 21). ორივე შენახულია 7—8 მეტრის სიმაღლეზე, მაგრამ არც ერთს არ დაუცავს ლავგარდანი. ჩრდილო-კედლისა აფსიდის ნაწილია

<sup>1</sup> შდრ. Baltrusaitis, ტაბ. LXVI:106, ტაბ. LXXIII:120, 121 და აგრეთვე ტაბ. LIV:83, LXIII:98, LXXI:118, LXXV:123, რომლებიც შეცდომით ხაზულსეულადაა აღნიშნული და ნამდვილად ოშკისეულია.

ორმებიანი კომპოზიციის პარალელები შეიძლება ძველ (ჩვ. წელთაღრ. პირველი საუკუნეების) გემებზე აღმოჩნდეს. პატივემულმა ირ. სონღულაშვილმა, მეტეხის ხელოვნ. მუზეუმის მცირე ხელოვნების განყ-ბის გამგემ, მაჩვენა ერთი ლაპისლაზურის გემა, ნაპოვნი ქართლის ახალ-ქალაქში (წითელ-ქალაქში), რომელზედაც გამოსახულია ორი გაჭენებული და ერთმანეთთან მოზღვრავე ხარი ირემი.

<sup>2</sup> შორეულად მსგავსი საზე, თურქულ XVII ს-ის კერამიკაზე (შორენკეცებზე) ფერადით გამოყვანილი, იხ. Alex. Raymond-თან, Alttürkische Keramik, Münch. 1922, Taf. 25.

<sup>3</sup> შდრ. გავეთის ტაძრის S-ფასადის სარკმლის მსგავსი ჩარჩო, MAK XII, табл. IV:7.

<sup>4</sup> ბოსლგები დატანილია ვახუშტის რუკაზე, მაგრამ ნამეტანი შორაა წაღებული დმანისიდან ჩრდილო-დასავლეთით. სხვა ცნობები ამ სოფლის შესახებ იხ. ჩემს წერილში „დმანისი“, გვ. 324, შენ. 2.

დაცული 6—7 მეტრის სიმაღლეზე, დანარჩენი კი ეხლა მხოლოდ ორიოდ მეტრის სიმაღლეს აღწევს. ასეა ჩამონგრეული დასავლეთის კედელიც. გადახურვა სრულებით აღარაა, გარდა აფსიდის კონქის მცირე ნაწილისა. ასეთსავე მდგომარეობაშია ჩრდილოეთის ეკვტერიც, რომელსაც კედლები მხოლოდ 1,00—2,50 მეტრის სიმაღლეზე შერჩა.

ტაძრის გარშემო ძველი გალავნის ნაშთები ჩანს, რომელსაც შესავალი სამხრეთიდან ჰქონია. ხოლო ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით, გალავნის ფარგლებში, ერთი ქვის შენობის (საცხოვრებელი სახლის?) ნანგრევი დგას.

ტაძარი წარმოადგენდა აღმოსავლეთისაკენ ორიენტირებულს ერთნაგიან საშუალო ზომის შენობას, რომლის გარეგანი ოთხკუთხედის სიგრძე 11,20 მ-ს, ხოლო სიგანე 6,00 მ-ს უდრიდა (ტაბ. XII, სურ. 22). შენობა ორსაფეხურიან ხარისხზე იდგა. ხარისხის ქვედა საფეხური სწორკუთხოვანი იყო, ზედა კი მომრგვალებული<sup>1</sup>. 0,35 მ-ის სისქის კედლები შემოსილი იყო, როგორც გარეთ ისე შიგნით, მშვენივრად თლილი ბაცი მომწვანო რბილი ქანის კვადრებით<sup>2</sup>. ასეთივე ქვითაა შემოსილი დმანისის სიონის დასავლეთი კარიბჭე<sup>3</sup>. სარკმელი ხუთი ჩანს: სამი აფსიდაში, ორიც სამხრეთის კედელში<sup>4</sup>. შესავალი მხოლოდ ერთია, სამხრეთიდან. მისი განი 1,30 მ-ს უდრის, ხოლო სიმაღლე გამოურკვეველი რჩება, რადგან ეხლა იგი ჩამონგრეულია 3,20 მ-ის სიმაღლეზე.

აღმოსავლეთის ფასადში ჩაშენებულია ლამაზი კუთხოვანი თახჩები (ტაბ. XIII, სურ. 23), სიგანით 1,00 მ., სიღრმით 0,30 მ., რომლებსაც ამკობდა ოთხმაგი გლუვი სვეტები მოჩუქურთმებული კაპიტელებით და ზედ დაყრდნობილი ნახევარფარგლოვანი, ორმაგი, ფესტონებით შემკული დეკორაციული გლუვი თაღებით. ამ თახჩებში გამოდიოდა აფსიდის განის სარკმლები. თახჩების ქვემო ნაწილი სრულებით ჩამონგრეულია. მათი სიმაღლე, კედლის ხარისხიდან თაღის თავამდე, 5,90 მ-ს უდრის.

ეს მოტივი შემოდის ჩვენში VII ს-ში, მისი ფართოდ გავრცელებისა და დეკორაციულად განვითარების ხანა X ს-ში იწყება<sup>5</sup> და, რამდენადაც ჩანს, XIII—XIV ს-ს იგი არ უნდა გადმოსცდებოდეს. ჩვენი თახჩები თავისი გეგმითა და მორთულობით პარალელებს კპოულობენ მოგვიანო ხანის ძეგლთა შორის, რომელთაგან ზოგიერთი, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ნიშანდობლივ დათარიღებულად ვერ ჩაითვლება. ასეთივე გეგმაში სამკუთხოვანი და შიგნით დეკორაციულად დაუნაწევრებელი თახჩები გვხვდება ყინცვისის (XIII ს.)<sup>6</sup>, ფიტარეთისა (XIII—XIV ს.)<sup>7</sup> და წულრულაშენის (XIII—XIV ს.)<sup>8</sup> ტაძრებზე და აგრეთვე

<sup>1</sup> ასეა სამხრეთიდან, სავა ხარისხი. შესავლის ახლოს, შედარებით კარგადაა დაცული. აღმოსავლეთიდან მხოლოდ ერთსაფეხურიანი ხარისხი ჩანს, რომელიც სწორკუთხოვანია. ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან ხარისხი აღარაა, ან მიწითაა დაფარული.

<sup>2</sup> დაცულია მცირე რაოდენობით გარეთ მხოლოდ სამხრეთიდან (შესავლის მარჯვნივ) და აღმოსავლეთიდან (თახჩებში), ხოლო შიგნით ჩრდილოეთის კედელზე, აფსიდაში და ეკვტერის კართან.

<sup>3</sup> იხ. ჩემი „დმანისი“, გვ. 371.

<sup>4</sup> შეიძლება დასავლეთიდანაც ყოფილიყოს ერთი სარკმელი.

<sup>5</sup> იხ. გ. ჩუბინაშვილის Georgische Baukunst, II, S. 38.

<sup>6</sup> ე. თაყაიშვილის გამოც. ქართ. ხუროთმოძღვრ. აღბ., ტაბ. 48.

<sup>7</sup> იქვე. ტაბ. 47; ყინცვისში და ფიტარეთში სარკმლები არაა გაკრილი თახჩებში.

<sup>8</sup> იქვე. ტაბ. 45.

დმანისის სიონის დასავლეთ კარიბჭეზე (XIII ს.)<sup>1</sup>. ხოლო სამების თახჩების მორთულობა (სვეტები, სვეტისთავეები, ფესტონებიანი თალები) სხვაზე უფრო ისევ-ისევ დმანისის კარიბჭის თახჩებს გვაგონებს<sup>2</sup>.

შიგნით ტაძრის ოთხკუთხედს, რომლის სიგრძე 6,85 მ-ს, ხოლო სიგანე 4,30 მ-ს შეადგენს, აღმოსავლეთიდან აფსიდის ოდნავ ნალისებურად მოხრილი და საკმაოდ უსწორმასწორო მომრგვალება ამთავრებს, რომლის განი 3,95 მ-ს, ხოლო სიღრმე 2,30 მ-ს უდრის. შიდა ოთხკუთხედი ორ ხორშად იყო გაყოფილი შუათალით, რომელიც პილასტრებს ეყრდნობოდა. დაცულია მხოლოდ სამხრეთი პილასტრის ძირა ქვა, რომელიც 0,20 მ-ზეა გამოშვერილი კედლიდან და 0,50 მ-ის სიგანისაა, და ზემო ნაწილი პილასტრისა (4 ქვა), სადა ღაროვანი სვეტისთავეითურთ. ხარისხი პილასტრს არ ჰქონია. ჩრდილოეთის კედელს პილასტრი არ დაუცავს, მაგრამ იგი აქ უთუოდ მონგრეულია. სადა ღაროვანი სვეტისთავე აქვს აფსიდის შემონახულ სამხრეთის ქანსაც. აფსიდის ჩრდილო და სამხრეთ კედლებში თითო წალოა, სწორკუთხოვანი, განით 0,40 (N) და 0,35 მ. (S), სიღრმით 0,30 (N) და 0,25 მ. (S).

ჩრდილოეთიდან ტაძარს ეკვტერი ჰქონია, რომელიც გარედან აგრეთვე მოგრძო ოთხკუთხედს წარმოადგენს, სიგრძით 5,75 მ., სიგანით 3,15 მ.. ეკვტერს ორი კარი აქვს: ერთი, ტაძრის ჩრდილო-კედელში, 1,00 მ-ის სიგანისაა, მეორე, დასავლეთიდან, 0,40 მ-ის სიგანის. სარკმელი მხოლოდ ერთია, აფსიდაში. ეკვტერის შიდა ოთხკუთხედი, სიგრძით 3,00 მ., სიგანით 2,50 მ., აღმოსავლეთიდან ისეთივე მოყვანილობის მომრგვალებით მთავრდება, როგორც ტაძარსა აქვს. ეკვტერის აფსიდის განი უდრის 2,20 მ-ს, ხოლო სიღრმე — 1,45 მ-ს. კედლების სისქე 0,65 მ-ს არ აღემატება.

შიგნით ტაძრის კედლები მოგვიანებით გაულესიათ ბათქაშით<sup>3</sup> და მოუხატიათ ფრესკებით. მხატვრობის ნაშთები ალაგ-ალაგლა ჩანს (უმთავრესად აფსიდაში), მაგრამ ამ ნაშთების მიხედვითაც ცხადია, რომ იგი კარგი გემოვნებით ყოფილა შესრულებული (განსაკუთრებით საინტერესოა გეომეტრიული და სტილიზებული მცენარეული სახეები). სხვა მორთულობა ტაძარს შიგნით არა აქვს. გარედან კი იგი, როგორცა ჩანს, მდიდრულად ყოფილა მორთული ჩუქურთმით, რომლის მცირეოდენი ნაშთები შენახულია აღმოსავლეთისა და სამხრეთის ფასადებზე.

<sup>1</sup> იქვე, ტაბ. 36; აქ ზოგი თახჩა კუთხოვანია, ზოგი მრგვალი.

<sup>2</sup> იხ. ჩემი „დმანისი“, გვ. 372, სურ. 30, გვ. 373, სურ. 31 და აგრეთვე გვ. 358, სურ. 43. მართალია, დმანისის თახჩებს მხოლოდ ორმაგი სვეტები აქვს და არა სვეტების კონები, როგორც სამებაში. სამწუხაროდ, არც სამებაში და არც დმანისში არც ერთ თახჩას ფესტონები სალად არ შემოუნახავს. ისე რომ მათი მოყვანილობის შესახებ სრული წარმოდგენა არა გვაქვს. ერთი დეტალი შეიძლება აღინიშნოს: სამებაში თახჩების ფესტონები სწორედ ისევეა ხშირი და ნაზი შტრიხებით დასერილი, როგორც დმანისის ზოგიერთი თახჩის ფესტონები (ასე, ჩემი „დმანისის“ მე-43 სურათზე წარმოდგენილი თახჩისა) — შტრიხები ფესტონების ძირებიდან გამოდის, მარაოსავით იშლება და მისდევს რკალებს. ასევეა დაშტრიხული თახჩების ფესტონები გუდარეხის მთავარი ტაძრისა, რომელიც აშენებულია რუსუდან დედოფლის მიერ XIII ს-ის პირველ ნახევარში (იხ. ე. თაყაიშვილის არქეოლოგ. მოგზაურ., Изв. Кавк. Отд. Моск. Археол. Общ., I, 31—32).

<sup>3</sup> მოგვიანებით იმიტომ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში კედლებს შიგნიდან თლილი ქვით. არ შემოსავდნენ.

1) აღმოსავლეთის ფასადი. აქ შემოუნახავს ჩუქურთმა ჩრდილო-თახჩის მარჯვენა სვეტსა (ზემო ნაწილის ორი სარტყელი) და მის კაპიტელს; აფსიდის შუასარკმლის ამყოლისაგან მხოლოდ ერთი ჩუქურთმიანი ქვაღაა დაცული (მარცხენა მხარეზე, შუანაწილისა); სამხრეთი თახჩის ორსავ სვეტზე დაცულია ზემო ნაწილის სარტყლების და კაპიტელების შემკულობა.

2) სამხრეთის ფასადი. აქ შენახულია უდიდესი ნაწილი აღმოსავლეთი სარკმლის ამყოლისა, რომელსაც მხოლოდ თავი, მარჯვენა სვეტების წყვილი და კაპიტელი, და გულის მარჯვენა ზემო ნახევარი აკლია. მთლიანად ამყოლი შედგებოდა, როგორც ეს ჩვეულებრივია ქართული სარკმლების მორთულობისათვის, სწორკუთხოვან, ზემოდან თაღით გადახურულ ჩარჩოში ჩასმული მოჩუქურთმებული გულისაგან. ჩარჩოს შეადგენდა მრგვალი სვეტების ორი წყვილი თავისი ხარისხებითა და სვეტისთავებით, რომლებზედაც იდგა, ალბათ, ნახევარფარგლოვანი თაღი. აღსანიშნავია ჩარჩოს ერთი დეტალი: სახელდობრ, მისი ძირის თამასა ისეთსავე წყვილედ სვეტს წარმოადგენს, როგორიც მას გვერდებზე აქვს. ასეთი უცნაური, ბალტრუშაიტისის არ იყოს, ატექტონიკური გამოყენება სვეტისა, თუნდაც დეკორაციულად, მხოლოდ შედარებით მოგვიანო ძეგლებზე გვხვდება, მაგ., ფიტარეთში, (XIII—XIV ს.)<sup>1</sup>, წულრულაშენში (XIII—XIV ს.)<sup>2</sup>, თბილისის მეტეხის ტაძარზე (XIII ს.)<sup>3</sup>. გვაქვს ასეთი ამყოლის ძირი ველათშიც (XII ს.)<sup>4</sup>. ამყოლის ჩარჩოს დეტალებიც ყველა, გარდა ბურთულებისა, მოჩუქურთმებულია.

სამხრეთის ფასადზე ჩუქურთმა შემონახული აქვს კარის ამყოლის მარჯვენა დეკორაციულ სვეტსაც, რომელიც, როგორც ყველა დეკორაციული სვეტები ამ შენობისა, წყვილედ იტანისა, ზევით და ქვევით სარტყლებს შუა ჩასმული წყვილი ბურთულებისა, ხარისხისა და სვეტისთავისაგან შედგებოდა. სვეტისთავი ეხლა დაკარგულია. აქაც ყველა დეტალები მორთულია ჩუქურთმით, გარდა ბურთულებისა.

არსად სხვაგან ჩუქურთმიანი ნაშთები დაცული არაა.

სამების ჩუქურთმა წმინდა გეომეტრიულია და უმთავრესად წნული ანუ, უკეთ, ხლართული სახეებისაგან შედგება, რომლებშიც ჩართულია გეომეტრიული პალმეტები. მისი მოტივები ფართოდ არის გავრცელებული საქართველოში XI—XIII საუკუნეებში. ორ და სამხონრიანი, ე. წ. გოდრული წნული ხომ ძალიან ადრე შემოდის ჩვენში<sup>5</sup> და მერმეც ყოველთვის ხმარებაში იყო. ზონარი მუდამ სამხოლიანია. ასეთი წნულებით და აგრეთვე ფხური რელიეფით შემკულია სამებაში სვეტების ორნამენტული სარტყლები.

ხოლო სამხრეთი თახჩის მარცხენა სვეტზე ერთი სარტყელი ისეთსავე ნახევარპალმეტებიან ტალღოვან რტოს წარმოადგენს, როგორიც, მაგ., ახტალა-

<sup>1</sup> Baltrusaitis, Pl. XXVII: 45.

<sup>2</sup> იქვე, ტაბ. XXVIII: 46; სურათზე ძირა თამასა, სამწლხაროდ, დაფარულია ხით.

<sup>3</sup> იქვე, ტაბ. XCIV: 168.

<sup>4</sup> იქვე, ტაბ. XIII: 22.

<sup>5</sup> ასე, მაგ., ასეთი წნული გვაქვს უკვე მცხეთის ჯვრის ერთი კოშკიდის ფრავმენტზე (Baltrusaitis, Pl. I: 2).

ში გვხვდება<sup>1</sup> და რომელიც თეკენების ქვემო ეკლესიის კარის ამყოლზე მოთავსებული რტოისავან იმით განსხვავდება, რომ ყველა პალმეტები ერთი მიმართულებით კი არაა მოხრილი, არამედ მხოლოდ ქვედა პალმეტები მიჰყვება ერთსა და იმავე მიმართულებას, ზედა პალმეტები კი მონაცვლეობით ზოგი მარჯვნივთაა მოხრილი, ზოგი მარცხნივ. ამასთან, სამების პალმეტები სამ და ოთხფურცლიანია, თეკენებისა და ახტალისა კი ყველა ხუთფურცლიანია. აფსიდის შუასარკმლის ამყოლის ნაშთზე ჩანს ისეთივე ძირზე წრეფურცლებიანი, გადაჯაჭვულ წრეებში ჩასმული სრული პალმეტების კოზმიდი, როგორც ახტალის ტაძრის სარკმელზე გვაქვს (XI—XII ს.)<sup>2</sup>. სამხრეთი თახჩის მარჯვენა სვეტის კაპიტელი შემკულია კვადრატული მედალიონით, რომელშიც ჩაწერილია და რომელთანაც გადახლართულია ორი ლათინური S-ის მსგავსი ორნამენტი: S-ები ერთი-ერთმანეთის პირისპირ დგანან, ქვემო ნაწილით გადაჯაჭვულნი არიან, ბოლოები ნახევარპალმეტებითა აქვთ დამშვენებული, ხოლო ეზო მათ შორის შეესებულია სრული პალმეტით, რომელიც მათი თავებიდან იზრდება. აქაც ზონარი სამხოლიანია. ასეთი S-იანი მედალიონები გვაქვს, მაგ., ნიკორწმინდის ტაძრის ერთ-ერთ სვეტისთავსა და სვეტის ხარისხზე (XI საუკ.).<sup>3</sup> მართალია, მოტივი აქ ოდნავ სხვანაირადაა ვარირებული და პალმეტებიც სხვანაირი მოყვანილობისაა.

თავისებური წნული გვაქვს იმავე თახჩის მეორე სვეტის კაპიტელზე (ტაბ. XIII, სურ. 24).<sup>4</sup> მედალიონი აქ მრგვალია, ოღონდ ქვის კუთხეებში მარყუქებს იკეთებს. ეს იმისათვის, რომ კვადრატული ქვის არე შეივსოს და კუნჭულები ცარიელი არ დარჩეს. ამ მარყუქებიან წრეში კონცენტრულად ჩაწერილია მეორე პატარა წრე. ამ ორ წრეს შორის სიმეტრიულად განაწილებული შვიდი მ-იანი გადახლართულია ორსავე წრესთან, რის გამოც უსასრულო ბორბლისებური ფიგურა იქმნება. ცენტრში ეზო მრგვალია, რვიანებს შორის კი გულის მოყვანილობისაა<sup>5</sup>.

ორი სხვა მედალიონი ე. წ. უსასრულო მარყუქებს შეიცავს. ერთზე, რომელიც მოთავსებულია კარის ამყოლის სვეტის ხარისხზე, ოთხყურა მარყუქში ორი კონცენტრული წრეა გაყრილი (ტაბ. XIII, სურ. 25)<sup>6</sup>. ეს მოტივი, სხვადასხვა ვარიაციებით, ძალიან გავრცელებული იყო საქართველოშიც და სომხეთშიც X—XIII საუკუნეებში. ასე, იგი გვხვდება ტბეთში (X ს.)<sup>7</sup>, ბეღიაში (X—XI ს.)<sup>8</sup>,

<sup>1</sup> Baltrusaitis, Pl. XXXI:49.

<sup>2</sup> იქვე. ტაბ. XL1:65.

<sup>3</sup> იქვე, ტაბ. XL:62 და 64.

<sup>4</sup> ნახატი შესრულებულია მხატვ. მ. ხუციშვილის მიერ.

<sup>5</sup> ამ ფიგურას შორეულად მოგვაგონებს მარტვილის ტაძრის ერთ-ერთი მოდილიონის სახე (იხ. გ. ჩუბინაშვილის ქართ. ხელოვნ. ისტ., ტაბ. IV).

<sup>6</sup> ზემოთ წარმოდგენილ სურათზე ორნამენტის ეზოების მოყვანილობა ვერაა სავსებით სწორად გადმოცემული.

<sup>7</sup> ნახატი შესრულებულია მხატვ. მ. ხუციშვილის მიერ.

<sup>8</sup> Матер. по Арх. Кавк., III, табл. XLVII: აქ გარეგანი წრე გადახლართულია კიდევ კვადრატთან.

<sup>9</sup> იქვე, ტაბ. XVI: აქ მარყუქში გაყრილია ერთი წრე.



ჯავახეთის ზეგანში (X—XI ს.)<sup>1</sup>, ერთაწმინდაში (XI—XII ს.)<sup>2</sup> და სხვ.; სომხეთში: ანისში (X—XI ს.)<sup>3</sup>, აშალუში (XIII ს.)<sup>4</sup>, ხაჩქარებზე ძალიან ხშირად<sup>5</sup> და სხვ. იხმარებოდა ეს სახე მინიატურულ მხატვრობაშიც<sup>6</sup>.

მეორე მედალიონი ამკობს ჩრდილო-თახჩის სვეტისთავს. აქ უსასრულო მარყუეი ჩაწერილია კვადრატსა და შიგ შეწიალებულ რომბში და სამივე ფიგურა უსასრულოდ არის ერთმანეთთან გადახლართული (ტაბ. XIII, სურ. 26)<sup>7</sup>. ამის მსგავსი სახე გვაქვს აგარის კანკელზე (აქარა, XIII—XIV ს.)<sup>8</sup>, ახპატის ხაჩქარზე<sup>9</sup> და სხვ.

სამხრეთი კედლის სარკმლის ამყოლის ჩარჩოს ერთ ხარისხზე მედალიონი წარმოადგენს პატარა წრიდან დიაგონალურად ოთხი მიმართულებით განშტოებული წნულებისაგან გამოყოფილ მართკუთხედს, რომელიც კუთხეებში გადახლართულია მაზე დადებულ კვადრატთან; ეს უკანასკნელი თავისი მხრით იქმნება წრეში ჩაქსოვილი ჯვარის კიდურებზე ვადაშლილი პალმეტების წვეროებისაგან. აქ ერთი სახე ისე უწყვეტლივ გადადის მეორეში, რომ მათი გარჩევა ძალიან ძნელია. ამავე ამყოლის ჩარჩოს მეორე ხარისხის კვადრატული მედალიონი უბრალო წნულებს შეიცავს. ყველგან ამ სიმეტრიულად აწყობილი და თავჩაკეტილი ფიგურების ზონარი სამხოლიანიია.

აღსანიშნავია კიდევ ერთი სახე, რომელიც გრძელი და ვიწრო, ჩვეულებრივად ვერტიკალური ან თაღოვანი კონსტრუქციების შესამკობად ხშირად იხმარებოდა ჩვენში XI—XIII საუკუნეებში. ამ მოტივს შეიძლება „წვეთების მწკრივი“ ვუწოდოთ. ეს სახე სამებაში მოხმარებულია კარის ამყოლის წყვილგადი სვეტის ტანის შესამკობად (ტაბ. XIV, სურ. 27). იგივე სახე ამკობდა, როგორც ნაშთიდან ჩანს, სამხრეთი კედლის სარკმლის ამყოლის ჩარჩოს სვეტებისა და აფსიდის შუასარკმლის ამყოლის ჩარჩოს სვეტების ტანსაც. „წვეთები“ ვერტიკალურადაა განლაგებული და ორკანტიანია, თითქოს ორი „წვეთი“ ერთი მეორეში იყოს შეწიალებული. სამებაში ისინი თავთხელადაა ამოღებული ქვაში

<sup>1</sup> Матер. по Арх. Кавк., XII, стр. 68. рис. 43: აქ მარყუეში გაყრილია წრე და შიგ შეწიალებული კვადრატი.

<sup>2</sup> Baltrusaitis, Pl. IV: 7: აქ უსასრულო მწკრივია შექმნილი გადაჯაჭვული მარყუეებისა და შიგ გაყრილი და აგრეთვე გადაჯაჭვული წრეებისაგან.

<sup>3</sup> Strzygowski, Baukunst der Armenier, Bd. II, S. 317, Abb. 355: აქ მარყუეი კომბინირებულია წრესა და შიგ შეწიალებულ რომბთან.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 533, სურ. 573: აქ კომბინირებულია მარყუეი და ერთი წრე.

<sup>5</sup> იქვე, ტ. I, გვ. 257, სურ. 288; Baltrusaitis, Pl. XVIII: 29: აქ ისეთივე უსასრულო მწკრივია შექმნილი, როგორც ერთაწმინდის ზემოსხენებულ ორნამენტზე. აღნიშნავ კიდევ, რომ თავისებური სახე გვაქვს თალინის ჯვარის კვარცხლბეკზე (Strzygowski, დ. ნ., ტ. II, გვ. 716, სურ. 678), საცა რომბია გაყრილი ოთხყურა მარყუეში, რომლის ყურები მახვილი კი არაა ჩვეულებისამებრ, არამედ მომრგვალებულია. ეს ქვა X ს-ზე უფრო ძველი ჩანს. ხაჩქარებზე გვხვდება აგრეთვე მრავალყურა მარყუეები.

<sup>6</sup> იხ., მაგ., Стасов, Славянский и восточный орнамент, табл. 150: 25 (XI—XII ს-ის ქართული მინიატურა).

<sup>7</sup> ნახატი შესრულებულია მხატვ. მ. ხუციშვილის მიერ.

<sup>8</sup> Мат. по Арх. Кавк., IV, табл. XV: აქ კვადრატისა და რომბის ეზოები შევსებულია კიდევ ხლართული სახეებით.

<sup>9</sup> Baltrusaitis, Pl. XXV: 43: მარყუეი ჩაწერილია კვადრატსა და ორ რომბში.

და თვითეული გამოყოფილია სვეტზე ვარდიგარდმო და დაქანებით გატარებულ  
ლი წვრილი ორმაგი ზოლებით. ეს ორნამენტი ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს,  
თითქოს ფარდის შემკულობის ერთ-ერთი დეტალი გადაეტანოსთ ქვაზე. ეს მო-  
ტივი თითქმის იმავე სახით გვხვდება ნიკორწმინდაში (XI ს.) <sup>1</sup>, ერთაწმინდა-  
ში (XI—XII ს.) <sup>2</sup> და დმანისში (XIII ს.) <sup>3</sup>.

დასასრულ, აღვნიშნავ კიდევ, რომ სამებაში აღმოჩნდა ფრაგმენტი ჯვა-  
რის ტიპის გუმბათოვანი ეკლესიის ქვის მოდელისა. ქვა ლევა მომწვანო ქანისაა.  
მოდელს ჩამოტეხილი აქვს გუმბათი და ძირა ნაწილი. სიმაღლე მისი ეხლა  
0,40 მ-ს არ აღემატება, ხოლო ფრონტონებშორისი სიგრძე-სიგანე თითქმის  
ერთნაირია (0,37 და 0,36 მ.). ქვა კარგადაა ნათალი, მაგრამ საკმაოდ მქისედაა  
გამოყვანილი სარკმლები, თახჩები, ჯვარი და ფრონტონების სადა წნული ჩუ-  
ქურთმა <sup>4</sup>.

როგორც მოვიხსენიე, „წვეთების მწკრივი“ სამებაში თავისებულადაა ამო-  
ღებული ქვაზე. ყველა დანარჩენი ჩუქურთმა კი საკმაოდ მაღალია, რელიეფის  
კიდები ღრმად და შვეულადაა ჩაჭრილი ქვაში <sup>5</sup>, ისე რომ შექმნილია მუქად  
დაჩრდილული გრუნტი, რომელზედაც ორნამენტის ნათელი ხაზები უფრო მკა-  
ფიოდ იხატება. <sup>6</sup> ტექნიკურის თვალსაზრისით ჩუქურთმა უზადოდაა შესრულე-  
ბული—წნული ყველგან მკაფიოა, ხაზები მკვეთრი, ზედაპირი სუფთა. მას არ  
შეიძლება სილამაზე წაფართვათ, მაგრამ ცხოველსახულობა და სიტურფე მას  
აკლია, იგი სიმშრალის შთაბეჭდილებას სტოვებს <sup>7</sup>. ამ მხრით სამების ორნამენ-  
ტიკა ახლო ენათესავება ქართული მოგვიანო ბაროკოს ძეგლების შემკულობის

<sup>1</sup> Baltrusaitis, Pl. XXII: 37: აქ „წვეთები“ უფრო ღრმადაა ამოღებული ცერად-  
კვეთით.

<sup>2</sup> იქვე. ტაბ. VII: 14: აქ კანტები უფრო რელიეფურია და „წვეთების“ შუაგულში წი-  
ბურია დატოვებული.

<sup>3</sup> სიონის დასავლეთი კარიბჭის დასავლეთი ფასადის ჯვარის ქიმებზე; აქაც „წვეთების“  
შუაგულში წიბურებია დატოვებული. იმ დროს როდესაც სამებაში „წვეთების“ შუაგული ჩა-  
ჭრილია. ორნამენტი ამკობს ჯვარის ყველა ქიმებს. როგორც ვერტიკალურს ისე ჰორიზონ-  
ტულსაც (იხ. ჩემი „დმანისი“. გვ. 384, სურ. 42. საცა, სამწუხაროდ, ორნამენტი ძლივსაა გა-  
ნირჩევა).

არ შეიძლება უარვყოთ ამ მოტივის მსგავსება და ალბათ ნათესაობაც იმასთან, რომელ-  
საც სტრიგოვსკი ბოთლისებურს უწოდებს („Flaschenartiges Motiv“, იხ. მისი Al-  
tai-Iran und Völkerwanderung, S. 97. Abb. 92—სამარა, S. 219, Abb. 183—ანისი). მართლაც,  
სამარისეულ მაგალითზე მას გარკვევით ბოთლისებური, მრგვალძირიანი, მაღალ და ვიწრო-  
ყელიანი შუშის მოყვანილობა აქვს. თანაც ამ მოტივის ვერტიკალური განლაგებაც აქ ჩვენსას  
გვაგონებს. სამარისეულ ბათქაშის კედელზე იგი რელიეფურია. ანისისეული მაგალითი კი  
ქვაზე სწორედ ისეთსავე ჩაჭრილ ორნამენტს გვიჩვენებს, როგორიც სამებაში გვაქვს: მისი მო-  
ყვანილობა უფრო წვეთისებურია, ვიდრე ბოთლისებური.

<sup>4</sup> ეს ფრაგმენტი ჩამოტანილია თბილისში და ამ ქამად შ. რუსთაველისა და მისი ეპო-  
ქის მუზეუმში ინახება.

<sup>5</sup> გარდა პალმეტების ფურცლების გულებისა, რომლებიც, ჩვეულებისამებრ, ცერადკვეთი-  
თაა ამოღებული.

<sup>6</sup> ყველა ამ თვისებებით სამების ორნამენტი, მართალია, ძალიან დაშორებულია, მაგ.,  
იკორთის ტაძრის ჩუქურთმის სიმშვენივრეს.

<sup>7</sup> სწორედ ესაა ამ ჩუქურთმის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი, მაგ., იკორთის ჩუქურ-  
თმაში.

სტალს (თბილისის მეტეხი და სხვ.)<sup>1</sup>. მრავალი საერთო ნაკვთი აკავშირებს ამ ტაძარს დმანისის სიონის დასავლეთ კარიბჭესთან და, მე მგონი, ჩვენ არ შევცდებით, თუ მასაც XIII ს-ის პირველი ნახევრის ძეგლად მივიჩნევთ.

## V. სამება — ბაშქიჩეთი

სამებიდან 1 კილომეტრით უფრო ზევით ბოსლების წყალზევე მდებარეობს თათრებით დასახლებული კაკლიანი. აქ მცირე უსახური ეკლესია დგას, რომელიც გომურადაა ქცეული. კაკლიანს ოთხიოდე კილომეტრითაა დაშორებული, სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, ყიზილ-ქილისა, რომლის ჩრდილოეთით ვახუშტის რუკაზე დატანილი და რუს. გენ. შტაბის რუკაზეც აღნიშნული სოფ. ტანძის ნანგრევი მდებარეობს. ყიზილ-ქილისაშიც თათრები ცხოვრობენ. აქ ყოფილა ერთნავიანი საშუალო ზომის ეკლესია, შემოსილი თლილი ლევა ქვის კვადრებით. ეხლა მხოლოდ ჩრდილო-კედელია დგას ამ შენობისა. დანარჩენი ძირამდე დანგრეულია. ტაძრის ჩრდილოეთით, დაახლ. 30 ნაბიჯის მანძილზე, მიწაში ვერტიკალურად ჩასმულია დიდი, კარგად გათლილი ფილაქანი, რომლის ერთ მხარეზე ლამაზი ჩუქურთმის მცირე ნაწილი ჩანს. დანარჩენი, სამწუხაროდ, მიწაში იკარგება.

კიდევ სამხრეთ-დასავლეთით, სულ 2,5 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს შინდლარა<sup>2</sup>. აქაც მოსახლეობა თურქულია. სოფლის თავზე ერთნავიანი მცირე ეკლესია დგას, კარგად ნაგები თლილი ქვით და კარგადაც დაცული, რომლის გარშემო პატარა სასაფლაოცაა. ტაძრის სამხრეთ კედელში ჩასმულია ერთი ჩუქურთმიანი ქვა. სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, დაახლ. 0,5 კილომეტრის მანძილზე, კიდევ არის პატარა ერთნავიანი ტაძარი, აგრეთვე თლილი ქვით ნაგები უპერანგოდ. აქ გალავნის ნაშთებიცა ჩანს.

შინდლარას 3,5 კილომეტრითაა დაშორებული სამხრეთ-დასავლეთისაკენ მაშავრის მარცხენა ნაპირას მდებარე ბაშქიჩეთი, რომელიც დუხობორებითაა დასახლებული. როგორც ჩანს. აქ ოდესღაც დიდი სამოსახლო უნდა ყოფილიყო. თვით აწინდელ სოფელში დგას ძველი ერთნავიანი ეკლესიის ნანგრევი, რომელიც საინტერესოა თავისი უჩვეულო, ნახევარფარგლოვან მოხაზულობის სარკმლებით, ხოლო სოფლის განაპირას. სამხრეთ-დასავლეთით, დიდ მინდორზე კიდევ ერთი ეკლესიის ნანგრევია, ძველი სასაფლაო და მრავალი ძველი შენობის მწყკრივებად ჩარიგებული ქვის საძირკვლები. ადგილობრივებს ახსოვთ,

<sup>1</sup> დეკორის ანსამბლიც. რამდენადაც ეს აღმოსავლეთი ფასადის ნაშთების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, ქართული გვიანი ბაროკოს ხასიათს ატარებს.

<sup>2</sup> ვახუშტის რუკაზე ორი შინდლარაა ნაჩვენებ: ერთი ტანძის სამხრეთ-დასავლეთით. მეორე კი პირველი შინდლარიდან პირდაპირი მიმართულებით დასავლეთისაკენ. პირველი უნდა იყოს ის სოფელი, რომელიც მე დამითვალავრებია. გენ. შტაბის 5-ვერსიან რუკაზეც აღნიშნულია მეორე შინდლარა. ოღონდ იგი აქ მაშავრის ნაპირას მდებარეობს. ბაშქიჩეთს ზემოთ.

შინდლარა იხსენიება 1706 წლის ერთ სიგელში (საქ. სიძვ. II, გვ. 361). მაგრამ ძნელი გადასაწყვეტია თუ რომელი შინდლარა იგულისხმება. 1721 წლ. ხალხ. აღწ. დავთარში „ორივე შინდლარის“ მოსახლეობა ერთადაა აღრიცხული. (გვ. 205, 297).

სხვათა შორის, თუ ბაშქიჩეთის მდებარეობას პირველ შინდლარასა და ყალამშიას მიმართ შევადარებთ ტამალიას მდებარეობას ვახუშტის რუკაზე, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ბაშქიჩეთი დაახლოვებით ამ უკანასკნელი სოფლის ადგილასაა გაშენებული.

რომ მაშავერზე, რომელიც ამ ადგილას ღრმა კანიონით მიმდინარეობს, გვირაბიც ჩადიოდა, რომლის შესავალი მათ თვითონ ამოუქოლიათ. ამგვარად, შესაძლებელია აქ ერთ ღროს მცირე ქალაქი და ციხე ყოფილიყოს.

ისე როგორც დმანისის და ტნუსის პირდაპირ, აქაც მაშავერის ნაპირების მალალსა და ციცაბო კლდეებში მრავალი გამოქვაბულია, რომელთაგან ზოგს ადამიანის ხელიც ეტყობა. ერთი გამოქვაბულის დათვალიერება უფრო ახლოს მომიხდა. ვიწრო და დაბალ ხვრელებში მხოლოდ ცოცხვით შეიძლებოდა ვასვლა. რამდენიმე მოსახვევის შემდეგ მიწის ქვეშ აღმოჩნდა პატარა საყოფელი ოთახივით, რომელშიც კლდეში ხელოვნურად გამოკვეთილია წყარო. ერთ ადგილას ხვრელი ღრმად მიდიოდა მიწაში, მაგრამ შესავალი ჩანგრეული იყო და შიგარ შეისვლებოდა.

## VI. ჰამამლუ <sup>1</sup>

ჰამამლუში ორი გზით შეიძლება ასვლა დმანისიდან: ერთი აპყვება მდ. ყარა-სუს ანუ ჰამამლუს წყალს, რომელიც დმანისიდან 5 კილომეტრით უფრო ზემოთ მარცხნიდან ერთვის ლოქ-ჯანდარის წყალს ანუ ვახუშტის ფინეზაურს და რომლის შუაწელს ზემოთ, შესართავიდან დაახლ. 8 კილომეტრის მანძილზე, თვით სოფ. ჰამამლუ მდებარეობს; ხოლო მეორე მიდის ლოქ-ჯანდარის წყლის (ფინეზაურის) ხევით, ყარა-სუს შესართავიდან 2 კილომეტრის შემდეგ გადაუხვევს სამხრეთ-დასავლეთისკენ მულანლუს წყლის ხევში, რომელიც მარცხნიდან ერთვის ლოქ-ჯანდარის წყალს, აპყვება მას დაახლ. 5 კილომეტრის მანძილზე ვიდრე ყაშხათალამდე და აქედან გადაუხვევს ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ჰამამლუსაკენ, რომელიც დაშორებულია ყაშხათალას აგრეთვე ხუთიოდე კილომეტრით <sup>2</sup>.

ყარა-სუს შესართავის ახლოს რამდენიმე პატარა ძეგლია. შესართავს ცოტა ქვემოთ, ლოქ-ჯანდარის წყლის მარჯვენა ნაპირას უჩვენებენ ძველი ფინეზა-

<sup>1</sup> ეს თავი დაიბეჭდა აკადემიკოსი ივ. ჯაფარიშვილისადმი მიძღვნილს საქ. სახ. მუზეუმის მოამბეში № X-B, 1940 წ., გვ. 23—47, შემდეგი სათაურით: „თორელთა გენეალოგიის გარკვევის ცდა ჰამამლუს XII ს-ის წარწერებთან დაკავშირებით“. აქ იბეჭდება მცირეოდენი შევსება-შესწორებით.

<sup>2</sup> ჩემს „დმანისში“ შეცდომა შემპარვია: მე იქ ყარა-სუ ანუ ჰამამლუს წყალი მაქვს მიჩნეული ძველ ფინეზაურად (იხ. გვ. 320 და 325). ნამდვილად ვახუშტის ფინეზაური აწინდელ ლოქ-ჯანდარის წყალს უდრის. თავის „გეოგრაფიაში“ ვახუშტი პირდაპირ ამბობს: „ფინეზაურის კევი არს მომდინარე ლოქის მთიდან“ (ჯანაშვილი, გამოც. გვ. 49) და რუკაზეც ჯანდარს დაახლ. ფინეზაურის შუაწელზე უჩვენებს. ეს სწორედ აწინდელი ლოქ-ჯანდარის წყალია, რომელიც ლოქის მთიდან და ჯანდარზე ჩამოდის. ვახუშტი აწინდელი ყარა-სუ რუკაზე დატანილი აქვს უსახელოდ, მაგრამ წარწერა: „მდ. ფინეზაური“, ლოქის მთისკენ კი არ წაუღია, როგორც უნდა ყოფილიყო მისივე განმარტების მიხედვით, არამედ დასავლეთით, ისე რომ ფინეზაურის ზემოწელი თითქოს აწინდელი მულანლუს წყალი გამოდის (ასეა, ყოველ შემთხვევაში, ბროსეს მიერ გამოცემულ რუკაზე; მართალია, მულანლუს წყალი ვახუშტის რუკაზე მეტის-მეტად დაშორებულია ყარა-სუს შესართავს). დაახლოვებით იმ ადგილას, საცა ეხლა ჰამამლუ მდებარეობს, ვახუშტი უჩვენებს თა გუთს.

ურის ნასახლარს. <sup>1</sup> ყარა-სუს მარჯვენა ნაპირას ტყიან ფერდობზე მდებარეობს წინაისტორიული სასაფლაო, რომელიც ამ შედიოდე წლის წინათ შემთხვევით აღმოჩნდა ახალი გზის გაჭრისას. <sup>2</sup> ყარა სუს მარცხენა ნაპირას, შესართავიდან 1 კილომეტრის მანძილზე, მაღალ კლდოვან ფერდობზე, თათრებით დასახლებული სოფ. საჯარლუ მდებარეობს, რომლის განაპირას ერთნავიანი მცირე ტაძრის ნახგრევი დგას, რომელსაც გარშემო ფართო სასაფლაო აკრავს. ტაძარი თლილი ქვითაა ნაგები, მაგრამ წარწერა ან ორნამენტი არ მოეპოვება. საფლავის ქვები, უხეშ გამოსახულებათა მიხედვით <sup>3</sup>, XVI—XVII საუკუნეებისა უნდა იყოს. ერთ ქვას წარწერა აქვს, თითქოს სომხური.

ცოტა უფრო ზემოთ, საფარლუსა და მამიშლუს შორის <sup>4</sup>, ყარა-სუს მარჯვენა ნაპირას ტყეში, ერთი მეორის ზემოთ ორი ერთნავიანი პატარა შენობა დგას. ერთსაც და მეორესაც სასაფლაოები აკრავს. ამ ადგილს თათრები „ჯომუშ-ბათანს“ <sup>5</sup> ეძახიან. ქვემო ეკლესია საინტერესოა იმით, რომ მას სახურავის ლორწინები შემოუნახავს. ზემო ეკლესია კი თავისთავად მნიშვნელოვანს არაფერს წარმოადგენს, მაგრამ აქ საინტერესოა სასაფლაოს ბარელიეფებიანი ქვები. ერთ საფლავის ქვას სომხური წარწერა აქვს, რომლის თარიღი „ჩან-1656 წელს უღრის“ <sup>6</sup>.

ლოქ-ჯანდრისა და შემდეგ მულანლუს ხეობით მიმავალი გზა უღრან ფოთლოვან ტყეშია გაჭრილი. აქ სიძველეები, ვიდრე ყაშხათალამდე, რამდენადაც ცნობების შეკრება შემეძლო, არ მოიპოვება. ყაშხათალაში ამ 50-ოდე წლის წინათ თურქეთიდან გადმოსახლებული ბერძნები ცხოვრობენ. აქედან 1,00—1,50 კილომეტრის მანძილზე ჩრდილო-აღმოსავლეთით, მულანლუს წყლის მარცხნით, მაღალ მთის ფერდობზე ტყეში დგას კზილ-ქილისას, <sup>7</sup> ანუ, როგორც ბერძნები ამბობენ, „ლუზულ-ქილისას“ ნანგრევი. ეს ძველი გავლით საჩქაროდ დავათვალიერე. იგი საინტერესო ნაშთებს შეიცავს. აქ, როგორც ჩანს, მონასტერი ყოფილა. აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან შენახულია ძველი ქვის გალანის კარგად ნაგები დულაბიანი კედელი. გალანის ფარგლებში, ეკლესიას გარდა, სხვა შენობების ნაშთებიც ჩანს. ერთი ქვის შენობის კედელი მთლიანად არის დაცული. შესაძლებელია, ესეც ეკლესია იყო. აქვე წყაროცაა, რომელიც გადახურულია ქვის საჩეხით. ეკლესია ერთნავიანი პატარა შენობაა, შემოსილი წითელი თირის პერანგით. სახურავი დაფენილი იყო ლორწინით, რომელიც, ნაწილობრივ, დღემდე თავის ადგილასაა დაცული. შესავა-

<sup>1</sup> მოკლე ცნობა ამ ნასახლარის შესახებ იხ. ჩემს „ღმანისში“, გვ. 323. შენ. 4.

<sup>2</sup> გზამ კარგა ბლომად გააფუჭა საფლავები, მაგრამ სასაფლაოს უდიდესი ნაწილი ჯერ ისევ შელუხლებულია. საფლავების ინვენტარი საქ. მუზეუმის არქეოლოგიურ განყოფილებაში ინახება. მცირე მასშტაბის ვათხრები ნაწარმოები აქვს გ. ნიორაძეს (იხ. Г. К. Ниорадзе, Материалы „Степнянского завода“, Пробл. ист. доконт. общ., изд. ГАИМК, 1934, № 3). 1936 წელს მეც მომიხდა იქ რამდენიმე ქვაყუთის გახსნა. რომლებიც ყველა ცარიელი აღმოჩნდა.

<sup>3</sup> ერთი გამოსახულება გულხელდაკრეფილ კაცს წარმოადგენს.

<sup>4</sup> მამიშლუ დაშორებულია საფარლუს სულ სამიოდე კილომეტრით.

<sup>5</sup> თათრულად, ასე მოიხრეს, „კამეჩის საფლობს“ ჰნიშნავსო.

<sup>6</sup> სამწუხაროდ, ყარა-სუს ხეობაში ისე გვიან მომიხდა წასვლა, რომ „ჯომუშ-ბათანში“ უკვე დაგვიბნელდა. ამის გამო ვერც ფოტოსურათები გადავიღეთ და ვერც წარწერების წაკითხვა მოვასწარი. მეორედ იქითკენ ასვლა უკვე ვეღარ მოვახერხე. საფლავის ქვები უთუოდ შენახვლის ღირსია. ერთი, მახსოვს, უნაგირიან ვერძს წარმოადგენს.

<sup>7</sup> თურქულად „ქალწულის ეკლესიას ჰნიშნავს.

ლი ეკლესიას მხოლოდ ერთი აქვს, სამხრეთიდან. შიგნით, შესავლიდან აღმოსავლეთით, სამხრეთი კედლის ქვაზე გამოქანდაკებულია სომხური მთავრული წარწერა, რომელიც, დაზიანებულობის გამო, კარგად აღარ იკითხება. სულ ორი სტრიქონი უნდა იყოს. მის ქვემოთ, იმავე ქვაზე, მეორე ორსტრიქონიანი, მაგრამ უკვე ამოკოდვილი წარწერა ყოფილა (სომხური?), რომელიც თითქმის სრულებით გადარეცხილია. აფსიდის ორივე ქანი და მათი თარხნები შემკულია ბარელიეფებით (ჩანს ჯიხვები, წრეებში ჩასმული ტოლმკლავებიანი ჯვრები, მცენარეული სახეები, მათ შორის, ყურძნის მტევნები). ჩრდილო-კედელში ჩასმულია ორ წრეში ჩაწერილი ტოლმკლავებიანი ჯვრიანი ქვა.

გარეთ, აღმოსავლეთის კედელში, სარკმლის ზემოდან 4 ბარელიეფიანი ფრაგმენტია ჩაშენებული: აქ გამოსახულია ჯვარი, სტილიზებული მცენარეული ორნამენტი, ყურძნის მტევანი, გრიფონები. ეს ქვები ნაგვიანვეადაა ამ ადგილას ჩასმული, უსწორმასწოროდ. დასავლეთის კედელში, სარკმლის ზემოთ, ჩაშენებულია მაღალი რელიეფით გამოქანდაკებული ჯვრიანი სწორკუთხოვანი ქვა.

ყაშხათალიდან ჰამამლუში მისასვლელად დიდ პანტის კორომზე უნდა გაიაროთ. პანტიანის განაპირას, ჰამამლუდან დაახლ. 1 კილომეტრის მანძილზე აღმოსავლეთისაკენ, ყარა-სუს მარჯვნივ, მცირე სამოსახლოს ნაშთებია, რომელსაც რამდენიმე ათეული ნაბიჯითაა დასავლეთისაკენ დაშორებული გალავნით შემორტყმული ეკლესია და მცირე სასაფლაო.

სამოსახლოში შენახულია რამდენიმე სახლის ქვის საძირკველი. კედლები უდულაბოდ ყოფილა ნაგები. საინტერესოა ერთი მოზრდილი სწორკუთხოვანი ნაგებობა, რომელიც ბაკსა ჰგავს<sup>1</sup>: უშველებელი პრტყელი კლდეები ჩასმულია ღრმად მიწაში ფარღალა მწკრივად; სამხრეთიდან ამ ნაგებობას თითქოს კარი ჰქონია—აქ ორი განსაკუთრებით დიდი სწორკუთხოვანი ქვა დაახლ. 2,00 მეტრითაა ერთი მეორეს დაშორებული; მათგან ერთის ზომებია 2,15 × 1,10 × 0,80 მ., მეორისა—1,80 × 1,05 × 0,60 მ.

ეკლესიის გალავანიც ამ „ბაკის“ მსგავსადაა ნაგები, თუმცა უფრო მცირე ზომის კლდეებით, ისე რომ სამოსახლო წარმოშობით, ნაწილობრივ მაინც, უთუოდ ეკლესიასთან არის დაკავშირებული.

სასაფლაოზე საინტერესოა ჩუქურთმიანი და ბარელიეფებიანი საფლავის ქვები მოიპოვება. უმეტესობას სომხური წარწერები აქვს. ასეთი ქვა სულ ოთხი დავთვალე. ერთზე ცალ მხარეზე გამოსახულია მშვილდ-კაპარქოსანი, მეორე მხარეზე კი ორი სიმეტრიულად მდგარი შეკაზმული ცხენი, რომლებიც მათ შუა მდგომ კაცს უჭირაფს; ამ კაცის მარჯვნივ, მხარგასწვრივ და ცხენს ზემოდან გურზია გამოსახული, მარცხნივ კი ფარი<sup>2</sup>. არის აქ უწარწერო ქვის ვერძიც. შემდეგ, ერთი ვიწრო და გრძელი (3 მ-მდე), ოთხწახნაგა პრიზმისებური მოყვანილობის კარგად გათლილი ქვა, რომელზედაც გამოსახულია ჯვარი, ამოგდებულია თავისი კვარცხლბეგიდან და განზე გდია, ეტყობა, საფლავის გაჩხრეკის მიზნით.

<sup>1</sup> კრომლესსაც შეიძლება მივამსგავსოთ, თუმცა მრგვალი არაა.

<sup>2</sup> ეს ქვა, ანალოგიურ სომხურ გამოსახულებათა მიხედვით (შდრ. Материалы по Археологии Кавказа, XIII, стр. 96, рис. 38, стр. 97, рис. 40 და стр. 151, рис. 85), XV—XVI საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს.

ეკლესია კარგადაა შენახული, ორფერდა სახურავითურთ, თუმცა შეკეთების ცხად ნიშნებს ატარებს. იგი შემოსილია კარგად გათლილი ლეგა შაჰნაზარული ქვის კვადრებით და წარმოადგენს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ორიენტირებულს მცირე ერთნაიან შენობას (ტაბ. XV, სურ. 28. ), რომლის სიგრძე 6,60 მ-ს, ხოლო სიგანე 4,60 მ-ს უდრის. კედლების სისქე 0,80 მ-ს არ აღემატება. სარკმელი სამია: აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით. შესავალი ეკლესიას მხოლოდ სამხრეთიდან აქვს. კარის სიგანე 0,85 მ-ს, სიმაღლე 1,79 მ-ს შეადგენს. შიგნით 3,70 მ-ის სიგრძისა და 3,00 მ-ის სიგანის ოთხკუთხედს აღმოსავლეთიდან ამთავრებს ოდნავ ნალისებურად მოხრილი აფსიდა, სიგანით 2,80 მ., სიღრმით 1,50 მ.. აფსიდის კედლებში ორი ერთნაირი სწორკუთხოვანი წაღოა, სიგანით 0,29, სიმაღლით 0,38, სიღრმით 0,40 მ.. აფსიდის წინა ქანები 0,10 მ-ის სიგანისაა. ისინი პილასტრებივით არიან დამუშავებული და მათს სადა კაპიტელებზე დაყრდნობილია აფსიდის კონქის ნახევარფარგლოვანი პირი. სიმაღლე მთელი შენობისა შიგნით დაახლ. 5,00 მ-ს აღწევს. ქვის ტრაპეზზე, რომელიც ეხლა საკურთხეველში გდია, რელიეფით გამოსახულია დიდი, ფრთოსან კვარცხლბეკზე მდგარი ჯვარი.

სხვა შემკულობა შიგნით ეკლესიას არ ჰქონია. გარედანაც ეკლესია ძალიან სადადაა შემკული. შესავლის ბალავრის ქვაზე გამოსახულია ორხარისხოვან კვარცხლბეკზე მდგარი ჯვარი, გადახურული ორნამენტული თალით. დასავლეთის კედელში სარკმლის მარცხენა ქვა შემკულია დაბალი რელიეფით გამოყვანილი ორი ჯვარედინად გადახაზული წრით. ამ სარკმლის ზემოთ ჯვრიანი ქვაა: რელიეფით გამოსახული ჯვარი ჩასმულია თავთხელად ამოღებულ „თახჩაში“ და კვარცხლბეკზე დგას. ჯვარის გასწვრივ, მარცხნით და მარჯვნივ, ამოკოდვილია წვრილი მთავრული ასოებით შემდეგი 4-სტრიქონიანი წარწერა (მარცხენა და მარჯვენა ნაწილები გაყოფილი შაქვს ვერტიკალური ხაზით):

1. წ'ჲ	გ'რგლ
2. ზ'ლსა	მცველი
3. ვრძვა	რჩთა
4. მზღვ	რჩა > 1

თუმცა თითქმის ყველა ასო კარგად ჩანს და წანაკითხი თავისთავად ექვს არ იწვევს, მაინც წარწერის აზრის გაგება ძნელია. პირველი ორი სტრიქონი ადვილად გაიხსნება: „წმიდაა გრიგოლ, ზღვსა მცველი“, დანარჩენი კი გაუგებარია. მე-3 სტრიქონის ხაზზე თვით ჯვარზე ჩანს თითქოს რაღაც ასოს ნაშთი, ეგებ „უ“ იყო. მაშინ ამ სტრიქონის მეორე სიტყვა შეიძლებოდა წაგვეკითხა, როგორც „ურჩთა“ <sup>2</sup>.

<sup>1</sup> ქარავმა მხოლოდ სამჯერაა ნახმარი; უკანასკნელ სტრიქონში ბოლოდან მეორე ასო („ჩ“) სათუთა.

<sup>2</sup> სამწუხაროდ, ჰამამლუს ფოტოგადანაღებმა სულ ერთთავად გვიღალატა. ამიტომ, წარწერის პალეოგრაფიულ თვისებათა შესახებაც ვერაფერს ვიტყვი. წარწერების ვადაღება ჰამამლუში ძნელდება იმით, რომ მათ წინ ამოსული ხის ტოტები ჰფარავს.

ამავ ქვაზე, ქვემო მარცხენა კუთხეში, მთავრულით ამოკოდვილია:

1. ქე შე

2. იე

ე. ი.: „ქრისტე, შეიწყალე იოანე“.

ამ ქვის ზემოთ, უმეშვეოდ ლავვარდნის ქვეშ ჩასმულ ოთხკუთხოვან ქვაზე მთავრულით ამოკოდვილია ორი წარწერა.

ზემოდან 2 სტრიქონი:

1. ქ აღნ: ღნ მფთა: მ[ფე]

2. თმრ: ევი კხა<sup>1</sup>

დამწერლობა კიდურწერტილოვანია, ასოები მსხვილი, ლამაზი. უნდა აღინიშნოს, რომ მე-2 სტრიქონის ბოლოში თითქოს კიდევ ორი ასო ყოფილა, რომელთაგან მეორე „კ“-ანად შეიძლება წავიკითხოთ, მაგრამ ეს ასოები ძალიან საეჭვოა—ეს ადგილი უფრო ქვის შემთხვევითს ნაოქსა ჰგავს.

ქარაგმების გახსნით წარწერა ასე წავიკითხება:

„ქ. აღიდენ ღნერთმან მეფეთა მეფე თამარ. ერისთავი კახაჲ“.

იმავ ქვაზე, ამ ორი სტრიქონის ქვემოთ, ისეთივე ხელით სხვა 4 სტრიქონია ამოკოდვილი:

1. ქე შენ: ბლლ — — —

2. ძე: ოქრპი [რ] — —

3. კრვი: ძენი: მ[თნი:]

4. ამისნი: მშნბლ [ნი:]<sup>2</sup>

უნდა აღინიშნოს შემდეგი: ყველა ასოები კარგად იკითხება, გარდა პირველი სტრიქონის „ლ“-ასისა. სახელდობრ, აქ შეიძლება „ზ“-ენი იყოს, თუმცა ასო „ლ“-ასს უფრო ჰგავს. წარწერის მარჯვენა ნახევარი, როგორც ეს ჩემი გადმონაწერიდანაცა ჩანს, გაფუჭებულია—აქ ქვა არის ახეთქილი. პირველ სტრიქონში მე ვუჩვენებ 3 ასოს დანაკლისს. მართლაც, სტრიქონის ნაშთის მიხედვით, აქ სამი ასო უნდა დატეულიყო. მაგრამ ადვილი შესაძლებელია, რომ ამ ადგილას ასოები შორი-შორ ეწერა და მხოლოდ ორი იყო მოთავსებული, ე. ი. მთელი სტრიქონი 10 ასოს შეიცავდა, ისევე როგორც მე-2 სტრიქონი. თუ ეს დაეუბნოთ, ზაშინ შეიძლება მთელი წარწერა ასე აღვადგინოთ, ქარაგმების გახსნით:

„ქრისტე, შეინდვენ ბელელ[ას]ძე<sup>3</sup> ოქროპი[რ და] კრავაი. ძენი მ[ათნი]<sup>4</sup>, ამისნი მაშენებელ[ნი]“.

ორივე წარწერა სრულებით უდავოდ ერთდროულია: ერთ ქვაზეა მოთავსებული, ერთი ხელითაა დაწერილი და ერთსა და იმავე საგანს შეეხება, სახელდობრ, ტაძრის აშენებას.

<sup>1</sup> განკვეთილობის ნიშნები და ქარაგმები გადმოღებულია ზუსტად.

<sup>2</sup> სასვენი ნიშნები და ქარაგმები ზუსტადაა გადმოღებული; აღდგენისას გათვალისწინებული მქონდა სტრიქონის სიგრძე.

<sup>3</sup> რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგ., „ბალალ[ას]ძე“-ც ყოფილიყო.

<sup>4</sup> ან „მ[ისნი]“, მაგრამ აქ მრავლობითი უფრო მოსალოდნელია.



პირველი წარწერიდან ცხადია, რომ ტაძარი აშენებულია თამარის დროს, XII ს-ის დამლევს ან XIII ს-ის დამდეგს. ეკლესიის მაშენებელნი ყოფილან, მეორე წარწერის მიხედვით, ვინმე კრავაი და „ძენი მ[ათნი]“. რასაკვირველია, რახან მე აქ ვკითხულობ: „მ[ათნი]“, შეიძლება წარწერა ისეც გავიგოთ, რომ მაშენებელნი არიან ოქროპირ ბელელ[ას]ძე, მისი ცოლი კრავაი და მათი ძენი. მაგრამ ოქროპირი, როგორც თვით ამ სახელიდანა ჩანს, სასულიერო პირი უნდა იყოს. კრავაი, პირიქით, საერო პირია. აქ არავითარი ეკვის მიტანა არ შეიძლება, რადგან „კრავაი“ ქრისტიანული სახელი არაა. ამგვარად, იმ თავითვე საფიქრებელი ხდება, რომ „მ[ათნი]“ შეეხება მხოლოდ კრავას და ნახმარია როგორც pluralis maiestatis. ოქროპირ ბელელ[ას]ძე გარეშე პირია, რომელიც, მართალია, რაღაც უშუალო დამოკიდებულებაში იმყოფება ტაძართან და, შესაძლებელია, მის აშენებლობასთანაც <sup>1</sup>. გვარის მიხედვით არ ჩანს, რომ იგი ნათესაფურ კავშირში მაინც იმყოფებოდეს კრავასთან <sup>2</sup>. და რომ ეს ასეა, ამას, მე მგონი, საკმაო სიცხადით გამოამჟღავნებს ის, რაც შეიძლება ითქვას კრავაის და მის ძეთა ვინაობის შესახებ.

მარტო პირველი წარწერა რომ შემონახულიყო, ჩვენ ბუნებრივად დავასკვნიდით, რომ ტაძრის მაშენებელი იყო კახა ერისთავი. მაშასადამე, კახა ყოფილა კრავაის ძე და მეორე წარწერის „ამისნი მაშენებელნი“, რომელიც მხოლოდ კახას შეიძლება შეეხებოდეს, აგრეთვე pluralis maiestatis-ს წარმოადგენს.

კრავაცა და კახაც თამარის ხანის ცნობილი ისტორიული პირები არიან. სახელი „კრავაი“ ძალიან იშვიათია. ჩვენს წყაროებში, რამდენადაც ვიცი, იგი მხოლოდ სამჯერა გვხვდება, სამჯერვე მესხეთში. პირველად გრიგოლ ხანძთელის ცხორებაში, საცა კრავაი სამცხის დიდებული აზნაურის მირეანის მეუღლეს ეწოდება <sup>3</sup>. მეორედ ვალეს VIII—IX ს-ის ტაძრის წარწერაში <sup>4</sup>. ხოლო მესამედ თამარის ანონიმური ისტორიკოსის თხზულებაში. სახელდობრ, აქ ვკითხულობთ: ყუთლუ-არსლანის შეპყრობის შემდეგ, მის მომხრე დიდებულთა დასაშოშმინებლად, თამარმა „წარავლინნა ორნი საპატიონი დიოფალნი, რომელ იყო ერთი ხუაშაქი ცოქალი, დედა ქართლისა ერისთავისა რატისი, მეორე კრავაი ჯაყელი, დედა აწ მყოფთა სამძივართა, უბრძანა ფიცით შინდობა“ და სხვ. <sup>5</sup>. ეს მოხდა 1186/7 წ. კრავაი ყოფილა ჯაყელის ქალი, გა-

<sup>1</sup> შეიძლება ოქროპირი ხელოსანიც იყოს. ტაძრის ფაქტიური აშენებელი. ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ მეორე წარწერა მისი გაკეთებულია.

<sup>2</sup> დამაზასიათებელია რომ ოქროპირი გვართ იხსენიება. საფიქრებელია სწორედ იმიტომ, რომ იგი „უგვაროა“. კრავასა და კახას, როგორც დიდგვარიანებს, ასეთი ნიშანდობლივი დასახელება არ სჭიროდათ.

<sup>3</sup> იხ. ნ. მარის გამოცემული „გრიგოლ ხანძთელის ცხორება“, Тексты и Разыск. по Арм.-Груз. Филологии, кн. VII, ПБГ. 1911. ქართული ტექსტის გვ. „კვ“.

<sup>4</sup> იხ. ე. თაყაიშვილის „Археологич. экскурсии, разыск. и заметки“, Изв. Кавк. Отд. Моск. Археол. Общ., вып. II, стр. 71.

<sup>5</sup> იხ. ზ. კიკინაძის გამოც. „ქართლის ცხოვრება“, თბ. 1897. გვ. 409 და ე. თაყაიშვილის გამოც. „ქართლის ცხოვრების მარიამისეული ვარიანტი“, გვ. 630 (ხელნაწერისა). ამას იქით ამ ორსავე გამოცემას ასე ვუჩვენებ შემოკლებით: ქცა. 409 (630).

თხოვილი ვინმე სამძივარზე, სამძივართა დედა<sup>1</sup>. მართლაც, იგივე ისტორიკოსი იხსენიებს კახა სამძივარს, რომელიც, სარგის ომოგველთან ერთად, თამარმა ტაოში გაგზავნა 1190/91 წ., განდგომილი გუზანის წინააღმდეგ საბრძოლველად.<sup>2</sup> ისტორიკოსის ცნობებისა და ჰამამლუს წარწერის ასეთი შეხვედრა შეუძლებელია შემთხვევითი იყოს და სრულებით ცხადია, რომ წარწერაში მოხსენებული კრავაი სწორედ ჯაყელის ქალია და კახა სამძივარი მისი შვილია. წარწერა გვამცნებს, რომ კახა ერისთავი ყოფილა, რაც ისედაც საფიქრებელი იყო იმ როლის მიხედვით, რომელსაც იგი ასრულებს ანონიმის ერთად-ერთი ზემოხსენებული ცნობის თანახმად.

ამგვარად, ჰამამლუს ტაძარი აშენებული ყოფილა ერისთავის კახა სამძივრის მიერ და, საფიქრებელია, სწორედ იმავე წლებში, როდესაც ის ისტორიაში იხსენიება, ე. ი. 1190/1 წლების ახლო ხანებში. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ კახა თავის წარწერაში მხოლოდ თამარს ასახელებს. ყველაზედ უფრო მოსალოდნელია ეს იმ დროს, როდესაც თამარი პირველ ქმარს გაეყარა, ან კიდევ როდესაც ის ჯერ ახლად გათხოვილი იყო დავით სოსლანზე. მაგრამ ტაძრის აგების თარიღის ნიშანდობლივად განსაზღვრის საკითხი ახდლად დაეტოვოთ და გაეყვეთ ჩვენს წარწერას სხვა მიმართულებით.

რატომ უნდა აეშენებინა სამძივარს ტაძარი ჰამამლუში? რა ხელი ჰქონდა XII ს-ში მას ქვემო-ქართლის ამ უკიდურეს დასავლეთ მხარეში? ამ საკითხის მეტ-ნაკლები სისრულით გასაშუქებლად უნდა განვიხილოთ სამძივართა გვარის ისტორია.

ცნობები თვით სამძივართა შესახებ, სამწუხაროდ, ძალიან ცოტა მოგვეპოვება. პირველად ეს გვარი იხსენიება ანდრია მოციქულის მიმოსვლის ქართულ თარგმანში. სახელდობრ, ანდრია რომ აწყვერში მისულა, იქ მაშინ მთავრობდა თურმე „დედაკაცი ვინმე ქურივი სამძივარი“<sup>3</sup>. ეს ცნობა, ისე როგორც ყველა დანარჩენი ცნობები ანდრიას მიმოსვლის შესახებ საქართველოში, შეტანილი უნდა იყოს ამ ოხზულებაში მისი მთარგმნელის ექვთიმე მთაწმინდელის მიერ, რომელიც X ს-ის მეორე ნახევარსა და XI ს-ის პირველ მეოთხედში მოღვაწე-

<sup>1</sup> შეიძლება დადამიანს ეუქრა, რომ კრავაი ჯაყელის ასული კი არ იყო, არამედ ჯაყელზე იყო გათხოვილი და რომ, ამგვარად, ჯაყელები იყვნენ სამძივართა გვარისანი. ამას თითქოს ადასტურებს ამ ადგილის მარიამისეული ქართლის ცხოვრების ვარიანტი, რომელიც ასე იკითხება: „კრავი ჯაყელთა დედა აწ მყოფთა სამძივართა“. მაგრამ მარიამისეულ ვარიანტს, რომელიც ყოველად უფრო გადამწერისაგანაა გადაწერილი და, როგორც ცნობილია, უამრავი შეცდომებითაა სავსე, ვერ დავინდობთ. აქაც, უეჭველია, გადამწერის შეცდომასთანა გვაქვს საქმე. არც ერთი სხვა ცნობა არ მოგვეპოვება, რომ ჯაყელთა სამძივრობას ამტკიცებდეს. ჩვენი გაგება ტექსტისა უფრო ბუნებრივია და მას შემდგომი ცნობებიც დაგვიდასტურებს.

<sup>2</sup> ტკა, 432 (657).

<sup>3</sup> ტკა, 55; საბინინის მიერ „საქართველოს სამოთხეში“ გამოცემულ ტექსტს ეს ცნობა აკლია (იხ გვ. 36, საცა ლაპარაკია ანდრიას მიმოსვლის შესახებ სოსანგელთა სოფელში). ეტყობა, ორი რედაქცია ყოფილა ანდრიას მიმოსვლისა—უფრო მოკლე (საბინინის ტექსტი) და უფრო ვრცელი, რომლითაც უსარგებლია ვახტანგისეულ კომისიას ქართლის ცხოვრების ტექსტის შედგენისას. მიმოსვლის ტექსტი ჯერ კრიტიკულად შესწავლილი და გამოცემული არ არის. შესაძლებელია მასში სხვადასხვა დროის პლასტებიც აღმოჩნდეს. ჯერჯერობით კი არა დავკრჩენია რა გარდა იმისა, რომ ვრცელი ტექსტიც ექვთიმე მთაწმინდელის კალამს მივაწეროთ.

ობდა<sup>1</sup>. ამგვარად, X ს-ის მეორე ნახევარში სამძივარნი სამცხეში, სახელდობრ, აწყურის რაიონში სხედან. უწინაც აქ იყვნენ ისინი, თუ საიდანმე გადმოსახლებულები არიან, ამის თქმა ძნელია. ეს გვარი შეიძლება გეოგრაფიული სახელისაგან იყოს ნაწარმოები. რუს. გენერ. შტაბის 5-ვერსიან რუკაზე დიდი ლიახვის სათავეებში დატანილია ერთ-ერთ მარჯვენა შემდინარე ხეობა მდებარე სოფ. მზივი<sup>2</sup>, რომლის სახელწოდებიდანაც შეიძლება იყოს წარმომდგარი „სა-მზივ-არი“ > „სა-მძივ-არი“, ისე როგორც, მაგ., ხახულისა, ტბეთისა და ოპიზის სახელებისაგან წარმომდგარია „ხახულ-არი“, „მ-ტბე-ვ-არი“ და „ოპიზ-არი“, ან კიდე სლესისაგან — „სლეს არი“, იმ განსხვავებით, რომ ეს სახელი ნაწარმოებია „სა“-თავსართის დართვით. მეორე მხრით, სამოქალაქოში, ხონის ახლოს არის ადგილი „სამზიარი“<sup>3</sup> და სამძივართა გვარი შეიძლება პირდაპირ ამ ადგილის სახელს იმეორებდეს. ამგვარად, შესაძლებელია, რომ სამძივარნი სამცხეში გადასახლებულნი იყვნენ ქართლიდან ან იმერეთიდან. არც ერთი და არც მეორე გასაკვირველი არ იქნებოდა, რადგან, როგორც სერაპიონ ზარზმელის ცხორებიდან ვიცით, IX ს-ში სამცხე უღვაწი. მცირედ კაცრიელი იყო და მხოლოდ X ს-ში იქნა ხელახლა დასახლებული<sup>4</sup>.

შემდეგი ორი ცნობა სამძივართა შესახებ. რომლებიც თამარის ისტორიკოსს ეკუთვნის, ზემოთ უკვე მოვიყვანე<sup>5</sup>. სამძივარი მოხსენებულია აგრეთვე სამცხე-საათაბაგოს საკათალიკოზო სამწყსოს თავადთა და სოფელთა სიაში, ამასთანავე, მეორე ადგილას<sup>6</sup>. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ XIII-XIV საუკუნეებში სამძივარნი ისევ-ისე სამცხეში სხედან<sup>7</sup>.

გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს კიდევ ორი ცნობა სამძივართა შესახებ, რომლებსაც ქვემოთ ცალკე განვიხილავთ.

ამგვარად, თვით სამძივართა შესახებ შემონახული ცნობების მიხედვით არ ჩანს, თუ რა კავშირი შეიძლება ჰქონოდათ მათ ჰამამლუს რაიონთან. მართალია, ფეოდალიზმის პირობებში, როცა მემკვიდრეობა და პირადი წყალობა ასეთ დიდ როლს თამაშობდა, სულ ადვილი წარმოსადგენია, რომ სამცხელ

<sup>1</sup> იხ. ივ. ჯავახიშვილის „ანდრია მოციქულის და წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში“, უფრ. „მოამბე“, ტფ., 1900 წ., № VI; ექვთიმეს ცხოვრების წლების შესახებ შდრ. კ. კეკელიძის „ქართ. ლიტერატ. ისტორია“, I, ტფ., 1923, გვ. 183—184.

<sup>2</sup> Пагирев-ი თავის საძიებელში უჩვენებს შემდეგ კოორდინატებს: 61—30 და 42—30. ვახუშტის „გეოგრაფიის“ ცნობების მიხედვით, ის ხვეი, რომელზედაც მზივი მდებარეობს. თითქოს ან კოშკის ან როკის ხევი უნდა იყოს (იხ. ჯანაშვილის გამოც. გვ. 113).

<sup>3</sup> Пагирев-ით შემდეგ კოორდინატებზე: 60—00 და 42—15.

<sup>4</sup> იხ. ივ. ჯავახიშვილის „ქართვ. ერის ისტ.“, წ. II, თბ., 1913, გვ. 320.

საინტერესოა, რომ ერთ ხვესურულ თქმულებაში დაცული არის ქალის ქართული წარმართული სახელი „სამძივარა“, რომელსაც ეგებ რაიმე კავშირი ჰქონდეს სამძივართან (იხ. ვ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხვესურეთში, წ. II, თბ. 1939, გვ. 25—26; ამ თქმულებაზე მიმითითა აკად. ივ. ჯავახიშვილმა).

<sup>5</sup> აღვნიშნავ კიდევ, რომ XII ს-ის დამლევს ცხოვრობს ვინმე არსენ სამძივარი. თამარ მეფის საწოლის და საქურცლის მწიგნობარი (იხ. თ. ყორღანბაშ „ქრონიკები“, II, 74).

<sup>6</sup> იხ. დ. ბაქრაძის „Археологическое путешествие по Гурии и Алачаре“, ПБГ, 1878, стр. 79.

<sup>7</sup> აღნიშნული ძველი დაუთარილებელია. ტექსტი კრიტიკულად შესწავლას მოითხოვს. საერთო შთაბეჭდილებით, იგი XIV ს-ში ჩანს შედგენილი.

ახნაურებს მიწები ჰქონოდათ ქვემო-ქართლშიც. დიდგვარიანთა შორის (და რომ სამძივარნი დიდგვარიანნი არიან, ეს ზემომოყვანილიდან სრულებით ცხადია) ასეთი გაფანტული, ერთი მეორეს ძალზე დაშორებული მიწის მფლობელობა ხშირი მოვლენა იყო. მაგრამ ცოტა სხვანაირად წარმოგვიდგება საქმის ვითარება, თუ დავუშვით, რომ სამძივრები იგივე თორელები იყვნენ, ანუ უკეთ, რომ თორელების ნამდვილი გვარი სამძივარი იყო. ეს იმიტომ, რომ თორელებს, თორსა და ახალციხეს გარდა, ახალქალაქიც და საზოგადოდ მთელი ჯავახეთიც ეჭირათ სამოხელეოდ და, როგორცა ჩანს, ერთ დროს შათს სახელოში შედიოდა ჯავახეთზე უშუალოდ მიკრული მაშავერის სათავეებიც, სადაც ჰამამ-ლუ მდებარეობს.

რატომ შეიძლება დავუშვათ, რომ კახა სამძივარი თორელი იყო?—ამას გვაფიქრებინებს თვით მისი სახელი „კახა“. ცნობილია, რომ ქართველ მსხვილ ფეოდალთა შორის მიღებული იყო ა. ვ. საგვარეულო სახელების ტარება, რომლებიც პაპიდან შვილი-შვილზე, ხოლო ზოგჯერ მამიდან შვილზეც გადადიოდა. ასე, ჯაყელებში გავრცელებული იყო სახელები ბოცო, ბემქენ და მემნა, ორბელიანებში—ლიბარიტ, რატი და ნიანია, რაჭას ერისთავებში—კახაბერი, მკარგრძელთა შორის—სარგის და ზაქარია და მისთ.. სახელი კახა, შალვასა და ივანეს გვერდით, მიღებული იყო სწორედ თორელთა საგვარეულოში. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ კმარა, რომ კახა სამძივარი მაინც და მაინც თორელად გამოვაცხადოთ. თორელთა შესახებ დაცული ცნობების განხილვა, მე მგონი, უცილობლად გამოარკვევს, რომ ჩვენი ჰიპოთეზა სწორი უნდა იყოს.

თორელებში ძალიან გავრცელებული იყო აგრეთვე სახელი „გამრეკელი“, და აი ერთი პირველ ცნობათაგანი გამრეკლების შესახებ დაცული აქვს X ს-ის სომეხთა ისტორიკოსს ასოლიკს: 998 წლის ქვეშ, ადარბადაგანის ამირა მამლანთან ბრძოლის აღწერილობისას, მას მოხსენებული ჰყავს „სახელოვანი ძმები მესხნი გამრეკლები“<sup>1</sup>. აქ „გამრეკელი“ გვარი ჩანს და არა სახელი და მართლაც, მოგვიანო ხანაში, გადმოვიქვით, თორელებს გამოეყვნენ ეხლანდელი გამრეკლები. მაგრამ ძველ ქართულ წყაროებში, როგორც ვნახავთ, „გამრეკელი“ ხან გვარად იხმარება და ხან სახელად და მეტ-წილად ისე, რომ არ შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ამ წოდების ქვეშ გვარი იჯულისხმებოდეს<sup>2</sup>. ამასთან, ერთ სათუო გამოჩანკლისს გარდა (იხ. ქვემოთ ვარაზ-ბაკურ გამრეკელის შესახებ),

<sup>1</sup> იხ. *შ ა ხ ძ ა ნ ი ა ხ ს ა რ ი ს ს ე ლ ი მ ა ს ი ი კ ა რ ს ჟ ა მ დ ი ჭ ქ ა ნ შ ხ ე ზ რ ა ს კ ა ნ , 988*. 1885, გვ. 273. ამ წყაროზე მიმითითა აკად. ივ. ჯავახიშვილმა (შდრ. მისი „ქართველ ერის ისტ., II, 418). ამაზე ცოტა უფრო ადრე, სახელდობრ, 990 წლ. ახლო დროის ბრძოლის აღწერილობისას ამირა მამლანთან, გამრეკელი მოხსენებული ჰყავს მ ა თ ე ე დ ე ს ე ლ ს. მისი ცნობით, გამრეკელი ამ ომში დავით კურაპალატის ჯარის უფროსი ყოფილა (იხ. M. Brosset, *Addit. et Eclairc. à l'Hist. de la Géorgie*, p. 181). შესაძლებელია, ეს ერთი იმ ძმათაგანი იყოს, რომლებსაც ასახელებს ასოლიკი. 998 წლ. ომს მათ ე დ ე ს ე ლ ი არ იხსენიებს.

<sup>2</sup> თუ სახელი „გამრეკელი“, როგორც ეს აკად. ივ. ჯავახიშვილმა კერძო საუბრის დროს შესაძლებლობის სახით გამოთქვა, სამოხელეო წოდებისაგან მომდინარეობს, მაშინ ასოლიკს შეიძლება სწორედ ეს წოდება ჰქონდეს მხედველობაში, როცა ის ზემოხსენებულ ძმებს „გამრეკლებს“ ეძახის. შდრ. ამ წოდებას მკარგრძელთა წოდება, რომელიც, როგორც ცნობილია, უფრო გვარად იხმარებოდა, მაგრამ ვაჭანის ძეგლში სახელადაც გვევლინება (იხ. ვაჭანის ქვაბთა განვება, გამოც. ლ. ნუსხელიშვილის მიერ, თბ., 1939, გვ. 16—18).

არც ერთი შემთხვევა არა გვაქვს, რომ წოდება „გამრეკელი“ ვისმე სხვას, თორელებს გარდა, ეტარებინოს. <sup>1</sup> ამგვარად, ასოლიკის მესხნი გამრეკლები თორელები უნდა იყვნენ. ესენი ჩნდებიან, მაშასადამე, სამძივართასავით X ს-ის მეორე ნახევარში და ესენიც სამცხეში სხედან <sup>2</sup>. XI ს-ში, სახელდობრ, 1060 წლის ქვეშ იხსენიება უკვე ვინმე ბერი ბასილ, თორელ-ყოფილი, რომელსაც ოთხთავი გადაუწერია კალიპოსის მონასტერში (სირიაში) <sup>3</sup>. ხოლო 1065 წლის ახლო ხანებში ვხვდებით ვინმე ერისთავს ვარაზ-ბაკურ გამრეკელს, რომელმაც ბაგრატ IV-ის ბრძანებით კვირიკე სომეხთა მეფე შეიპყრო (ქცა, 332/498). აქაც „გამრეკელი“, როგორც ვხედავთ, გვარის აღმნიშვნელია და თუმცა დანამდილებით არა ითქმის რა, არა მგონია შეეცდეთ, თუ ეს ვარაზ-ბაკურიც თორელად ჩავთვალეთ.

თორელები, ცხადია, ამათ იმიტომ დაერქმეოდათ, რომ ისინი თორსა ჰყოლობდნენ და გარკვეულ ხანაში, ალბათ, თორში იხსდნენ კიდევ <sup>4</sup>. მართალია, თორის საზღვრები უძველეს ხანაში ცნობილი არაა (შესაძლებელია, მაგ., რომ X—XI საუკუნეებში თორი აწყვერსაც მოიცავდა), მაგრამ ის ცხადია, რომ ამ პროვინციაზე გადადიოდა მაშინაც და დღესაც სავაქრო და სტრატეგიულის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი ორი გზა: ერთი შტკერის ხეობით, სამცხიდან ქართლში, და მეორე ცხრაწყაროს უღელტეხილზე, ჯავახეთიდან ქართლში. მაშასადამე, თორს, როგორც სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულს, დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, განსაკუთრებით საქართველოს გაერთიანების ხანაში. შემდეგში თორელების საგამგეო, როგორც ვნახავთ, ძალიან გაფართოვდა და მათი წოდება XII ს-ში, არსებითად, უკვე ცარიელი ტრადიციალა ჩანს: თორელებს ყველგანა ვხედავთ მმართველ-გამგეებად, გარდა თვითონ თორისა <sup>5</sup>.

თორელების გენეალოგიის მეტ-ნაკლები სისრულით დასადგენად უნდა გათვალისწინებული გვექონდეს ის გარემოება, რომ ჰემატიანენი, რომლებიც ხშირად მათ მიერ აღწერილი ამბების თანამედროვეები და ზოგჯერ თანადამბ-

<sup>1</sup> მართალია, პატივცემული პ. ინგოროს ვა ჰფიქრობს, რომ ამიკვის ბარელიეფზე გამოსახული „გამრეკელი“ და უამთა აღმწერელთან 1245 წლის ქვეშ მოხსენებული „გამრეკელი“ ორბელები არიან (იხ. მისი „რუსთველიანა“, I, თბ. 1926, გვ. 339). მაგრამ ეს ასე არ უნდა იყოს. უამთა აღმწერელის გამრეკელი (ქცა, 551) არის იმ დროს კარგად ცნობილი გამრეკელი თორელი (იხ. იქვე, გვ. 527, 547, 549), ხოლო ორბელი (ქცა, 551), ალბათ, სუმბატ ორბელია (იხ. იქვე, გვ. 559). მოგვიანო ხანაში კი სახელი გამრეკელი გავრცელებული ჩანს. ასე, იგი ვხვდებთ ორ სომხურ წარწერაში, რომლებიც გამოცემული აქვს კ. კოსტანიანცს: ერთში, რომელიც 1425 წლითაა დათარიღებული, იხსენიება ვინმე ზაქარია, შვილი-შვალი გამრეკელისა (იხ. *Արմատյան Տարեգիր, կապახայ Կ. Կոստանյանի, 1913*, გვ. 172); მეორე წარწერა, სადაც კიდევ იხსენიება გამრეკელი, 1447 წელს ვკუთვნის (იქვე).

<sup>2</sup> ვახუშტს თორი ქართლში შეაქვს (იხ. მისი „გეოგრაფია“, ჯანაშვილის გამოც., გვ. 83—84: „აღწერა თორისა და აწ გუჯარეთისა“, შდრ. გვ. 123—124: „აღწერა სადგარის კეობისა“), მაგრამ ძველად, როგორც ეს ლ. მროველის ცნობიდან გარკვევით ჩანს, ქართლის საზღვარი მხოლოდ ტასისკარამდე მიდიოდა, ხოლო „ტასისკართგან ვიდრე არსიანთამდის“ სამცხე იყო (ქცა, 39/21). ამგვარად, თორი სამცხეში შედიოდა.

<sup>3</sup> იხ. თ. უორდანიას „ქრონიკები“, I, 207—208.

<sup>4</sup> შესაძლებელია, თორი იყო მათი „მკვიდრი მამული“.

<sup>5</sup> მხოლოდ ერთხელ, XIII ს-ის შუახანებში, იხსენიება ვინმე ლიპარიტ თორელი, რომელიც თორში ზის (ქცა, 559/812).

დურნიც არიან, ჩვეულებისამებრ. გულუბრყვილოდ ჰფიქრობენ, რომ ის სახელოვანი პირნი, რომლებსაც ისინი იხსენიებენ ამა თუ იმ გამოჩენილი ამბის მონაწილედ, მკითხველებისთვისაც ცნობილნი არიან. ამიტომ ხშირად მარტო სახელია ხოლმე აღნიშნული, ან მარტო გვარი ან კიდევ თანამდებობას გარდა არაფერია მოხსენებული და ეს საკმარისად არის მიჩნეული, რომ მკითხველი მიხედეს თუ ვის შესახებაა ლაპარაკი. ამის გამო, ამა თუ იმ პირის ვინაობის გაშოსარკვევად, ჩვენ მოგვიხდება ხშირად ერთი-ერთმანეთზე ქრონოლოგიურად ძალზე დაშორებული ცნობების მონაცემის შეთანაპირება.

1060 წლის შემდეგ მთელი ერთი საუკუნის მანძილზე არავითარი ცნობა თორელების შესახებ არ მოგვეპოვება. მხოლოდ 1163 წლის ქვეშ კვლავ იხსენიება თორელი, რომელიც ანისში ზის და ამაგრებს მას<sup>1</sup>. ეს უნდა იყოს XII ს-ის მეორე ნახევრის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე გამრეკელი თორელი. მემატრიანე მას უწოდებს „დიდსა და სახელგანთქმულ მოლაშქრეს“<sup>2</sup>. დიდი თორელი მხოლოდ ერთი იყო XII ს-ში, სახელდობრ, გამრეკელი, რომლის შესახებ ცნობა შემოგვინახა სომეხმა ისტორიკოსმა სტეფანოს ორბელიანმა<sup>3</sup>. სტეფანოსის სიტყვით, 1177 წელს, დემნა ბატონიშვილის განდგომის დროს, მას მიემხრნენ პირველ ხანებში, სხვა ქართველ დიდებულებთან ერთად, „ჯავახნიც — კახა და შვილნი მისნი და დიდი გამრეკელი და ჯაყელი მემნა“ და სხვ.<sup>4</sup>.

1187 წელს გამრეკელ თორელს მიეცა ამილახორობა<sup>5</sup>, 1190/91 წ. მას უკვე ამირ-სპასალარად ვხვდავთ<sup>6</sup>; ამავე წლებში ის გარდაიცვალა<sup>7</sup> და მერმე

<sup>1</sup> ქცა. 391 (607).

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იხ. *Պատմություն Նահանգն Սիսական, արարեալ Մ ա ի փ ա ն Ն ո ս ի Օ ր ք ե լ և Ն Արքեպիսկոպոսի Սիսանայ, Քիֆլիս, 1911, გვ. 384.*

აი სრული ტექსტი: *Եւ Էին Ժիարան ամենայն պիսուրք և ապաստ Վրաց Ընդ Իփս-նէի և ամենքեան համայոնդ պիսիսկ Եկեալ Էին առ Նա Եկարակն Կարապատ Քաղխիս Լէրիսխաւք և Վարդարայք և Զուսիսուրքն, Կախայն և Իրիք իւր և Կամրուկն ան և Զաղել Մեմնայն և Տաղարայքն և Կալենսեյն Զատինա... და სხვ.*

„და ყველა ქართველი მთავარნი და აზნაურნი ივანეს თანაბმანი იყვნენ, ყველამ ერთად მიმართეს და მივიდნენ მასთან აგარაკის დარბაზში: ქართლის ერისთვიანნი და ყვარყვარაანი და ჯავახნი, კახა და ძენი მისნი და დიდი გამრეკელი და ჯაყელი მემნა და ტაშირელნი და კაენელი ჰასან“...

ამგვარად, ქართველ მთავართაგან სტეფანოსი ასახელებს ქართლის ერისთავს და მის თანამოგვარეებს და ხელქვეითებს (ამიტომაც ნახმარი მრავლობითი: „*Քարխիս Լէրի-սխաւք*“ = „ქართლის ერისთვიანნი“: ეს პატივი ამ დროს, როგორც ვიცით, ლიპარიტ ორბელს ეჭირა — იხ. ქცა. 397); ყვარყვარელთ: ანუ ყვარყვარაანთ (*Վարդարայքն*), ე. ი. ჯაყელებს; და ჯავახებს, რომლებიც ნიშანდობლივ არიან კახა და შვილნი მისნი და დიდი გამრეკელი. სამი დიდი გვარია, მაშასადამე, დასახელებული: ორბელნი, ჯაყელნი და თორელნი. სხვანაირად ამ ტექსტის გაგება ძნელია. გარდა ამისა, ცალკე საგანგებოდაა მოხსენებული გამრეკელის გვერდით, მემნა ჯაყელიც და ეს, როგორც ვნახავთ, შესაძლებელია არც თუ შემთხვევით მოჰსვლოდეს სტეფანოსს: ეგებ სწორედ მემნა ჯაყელი იყო კრავაის მამა და, ამგვარად, გამრეკელის სიმამრი (იხ. ქვემ.)

სხვა ძველ სომხურ წყაროებში ცნობები თორელების შესახებ არ მოიპოვება. უღრმეს მადლობას მოვასხენებ პატივცემულ პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს, რომელმაც დრო არ დაიშურა და ჩემთან ერთად გადაათვალიერა ყველა შესატყვისი სომხური წყაროები.

<sup>4</sup> ქცა. 410 (632).

<sup>5</sup> იქვე, 428 (652).

<sup>6</sup> იქვე, 431 (657).

მის შესახებ ცნობები აღარ მოგვეპოვება. მემატინე მას ერთხელ „თორელს“ ეძახის (გვ. 391/607), ერთხელ „გამრეკელ თორელს“ (გვ. 410/632) და ორჯერ „გამრეკელს“ (გვ. 428/652 და 431/657), და მის მიერ ამილახორობის პატივის მიღების აღნიშვნის დროს ისტორიკოსს რომ არ მიეწერა—ეს ის გამრეკელი თორელია, „რომელი შემდგომად სარგის მკარგრძელისა ამირ-სპასალარცა იქმნაო“<sup>1</sup>, ჩვენ ისევ მიხვედრა დაგვკვირდებოდა, რომ ყველგან ერთსა და იმავე პირზე არის საუბარი. ერთ ადგილას კი ანონიმი სწერს: 1186/7 წელს თურქებმა რომ მოარბიეს „ქუეყანა პალაკაციოსი, ძალლის-კევად წოდებული, მაშინ მიუტლა მათ ზედა გამრეკელი კახას ძე“ და დაამარცხა და ამოსწყვიტა ისინიო<sup>2</sup>. ვინ უნდა იყოს ეს გამრეკელი კახას ძე, თუ არა ისევ დიდი გამრეკელი თორელი, რადგან სხვა მხედართმთავარს გამრეკელს XII ს-ში ჩვენ არ ვიცნობთ. ამასთან, დამახასიათებელია, რომ პალაკაციოში სწორედ ის ლაშქრობს და არა სხვა რომელიმე ერისთავი, რადგან, როგორც ვნახავთ, ეს ქუეყანა თორელების საგამგეოს ეკრა უმეშვეოდ და უთჯოდ მათს სახელოს შეადგენდა. მაშასადამე, გამრეკელი თორელი კახას ძე ყოფილა. აქ უნებლიედ მოგვაგონდება საორბისის ეკლესიის წარწერა. გაკეთებული ამ ტაძრის მამულებლის, ერისთავთ-ერისთავის კახას შაკვეთით 1152 წელს<sup>3</sup>. ცნობილია, რომ თემის ხეობა, სადაც მღებარეობს საორბისი, ჯავახიშვილების მამული იყო და რომ ჯავახიშვილები თორელების ჩამომავალი არიან. სრულებით ბუნებრივია დავასკვნათ, რომ კახა ერისთავთ-ერისთავიც თორელია და რომ თორელები უკვე XII ს-ში დამკვიდრებულან თემის ხეობაში. კახა თავის წარწერაში იხსენიებს კიდევ თავის სოფელსა და მიწას. მას, როგორც წარწერიდან ჩანს, რამდენიმე შვილი ჰყოლია. ერთი მათგანი გამრეკელი უნდა ყოფილიყო. მეორე, შესაძლებელია, ის კახა ჯავახია, რომელსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სტეფანოს ორბელიანი იხსენიებს გამრეკელის გვერდით. როგორც ამ კახას (სტ. ორბელიანის ცნობით)<sup>4</sup>, ისე გამრეკელსაც შვილები ჰყოლიათ. ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ გამრეკელის გარდაცვალების შემდეგ, „თმოგვისაგან კიდე არა-რა დააკლეს შვილთა მისთაო“.<sup>5</sup> თმოგვი გადაუციათ სარგის მკარგრძელისათვის, რომელიც ამის შემდეგ თმოგველად იწოდებოდა<sup>6</sup>.

<sup>1</sup> გვ. 410 (632).

<sup>2</sup> ქცა. 415 (637).

<sup>3</sup> იხ. გ. ჩუბინაშვილის „Саорбисская Церковь“, Христианский Восток, т. IV, ПТГр., 1915, стр. 184.

<sup>4</sup> სტეფანოსის სიტყვები ისევ შეიძლება გაეიგოთ, რომ გამრეკელი ერთ-ერთი შვილია სწორედ ამ კახასი, ე. ი. რომ ეს იგივე საორბისის წარწერის კახაა. მაგრამ მაშინ ის არ იმარადა კავშირს „და“ („კახა და შვილი მისნი და დიდი გამრეკელი“). გარდა ამისა, გამრეკელი, სტეფანოსისავე ცნობით, ძალიან დამოუკიდებლად იტყუვა: მან პირველმა მიატოვა დემნა და მას მიჰყვნენ სხვა დიდებულნიც (იხ. იქვე). ასე რომ ეს უფრო კახა II უნდა იყოს, ძმა და არა ძმა გამრეკელისა. დროის მანძილიც საორბისის წარწერასა და სტეფანოსის ცნობას შორის (1152 წ.—1177 წ.) საკმაოდ დიდია, რათა ერისთავთ-ერისთავი კახა უკვე გარდაცვლილად ვიგულოთ. გარდა ამისა, რადგან ჯერ კახაა დასახელებული, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ იგი უფროსი ძმა იყო, მაგრამ ეს სტეფანოსის შემთხვევითაც შეიძლებოდა მოჰსვლოდა. როგორც აღვნიშნე, გამრეკელი ისე სუვერენულად მოქმედებს, რომ უფროსი სწორედ ვაა ჩანს.

<sup>5</sup> ქცა. 431 (657).

<sup>6</sup> იქვე, 432 (657).

ვინ იყვნენ გამრეკელის შვილები, არსად გარკვევით ნათქვამი არ არის და მისი შთამომავლობის დასადგენად ჩვენ იძულებული ვიქნებით ისევ ერთგვარი ვარაუდი გავწიოთ. პირველ ყოვლისა აქ საინტერესოა იმ წარწერის ფრაგმენტი, რომელიც ივ. როსტომიშვილს უნახავს ჯავახეთის ახალქალაქში და რომელშიც ამირ-სპასალარი გამრეკელი იხსენიება<sup>1</sup>. ჩვენთვის საგულისხმო და არსებითი ნაწილი ამ წარწერისა შეიძლება შემდეგნაირად იქნას აღდგენილი:

„[ქ.] აღვაშენე ესე წმიდაი [მეფობასა თამარი]სსა და ამირ-სპ[ასალარისა] გამრეკელისა ძეთა [და] ————— რატის პატრონობასა შინა“...

სრულებით ცხადია, რომ ეს ამირ-სპ[ასალარი] გამრეკელი არის დიდი გამრეკელი თორელი. სხვა ამირ-სპასალარს გამრეკელს ჩვენ არ ვიცნობთ. პალეოგრაფიულად წარწერა თამამად შეგვიძლია XII ს-ისად ჩავთვალოთ<sup>2</sup>. კონტექსტიდან საფიქრებელია, რომ გამრეკელი ამ დროს უკვე გარდაცვლილია, ე. ი. რომ წარწერა 1190/91 წლების შემდეგაა გაკეთებული, როდესაც ჯავახეთს მისი შვილები ჰპატრონობდნენ. ამგვარად, სრულებით უდავოა, რომ XII ს-ის დამლევს თორელები ჯავახეთს ჰვლობენ, სადაც, ალბათ, უკვე დიდი გამრეკელი მმართველობდა. ჩვენ ვიცით, რომ მას თმოგვი ეჭირა, რომელიც ჯავახეთის ფარგლებში შედიოდა. სტეფანოს ორბელიანიც მას ჯავახს უწოდებს და ახლა გასაგები ხდება თუ რატომ უნდა ელაშქრა პალაკაციოში, რომელიც სამხრეთიდან აკრავს ჯავახეთს, სწორედ მას. მის შვილებს თმოგვი ჩამოართვეს და გადასცეს სარგის მკარგრძელს, მაგრამ სხვა მათთვის არა დაუკლიათ რა. და აი ბასილი ეზოს მოძღვარი, თამარის მეორე ისტორიკოსი, თავის შესანიშნავს ცნობაში საქართველოს სანაპიროთა შესახებ გადმოგვცემს, რომ ჯავახეთის მონაპირენი იყვნენ სარგის მკარგრძელი თმოგველი და შალვა თორელი<sup>3</sup>. ეს, უეჭველია, თამარის შეკნებული პოლიტიკა იყო, რომ სამხედრო-ადმინისტრაციული ოლქები მას ჩაბარებული ჰქონდა არა ერთი რომელიმე ერის-თავისათვის, არამედ თვითეულში რამდენიმე, როგორც ჩანს, თანასწორუფლებიანი მეთაური იყო, რომლებიც ერთმანეთს, ცხადია, კონტროლს უწევდნენ<sup>4</sup>. რადგანაც ეს ამბავი ხდება გამრეკელის სიკვდილის შემდეგ, როდესაც თმოგვი უკვე სარგის მკარგრძელს უჭირავს, დანამდილებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ არ შევცდებით, თუ შალვა თორელს სწორედ გამრეკელის შვილად მივიჩნევთ.

შალვას შესახებ ვიცით, რომ მას ახალციხელიც ეწოდებოდა და რომ მისი უმცროსი ძმა ივანე ანუ იოანე ახალციხელი იყო.

ყველა ამის დასადგენად საჭიროა ორივე ისტორიკოსის სხვადასხვა დროინდელი ცნობების შეჯერება.

<sup>1</sup> ივ. როსტომიშვილის „Ахалкалакский уезд в археологическом отношении“, Сборн. Матер. для Опис. Местн. и Племя Кавказа, вып. XXV, стр. 37—38.

<sup>2</sup> რატი შეიძლება ქართლის ერისთავი რატი სურამელი იყოს (ქცა, 409/630, 411/632), რომლის ხელი ამ დროს ვგებ ჯავახეთსაც მისწვდებოდა, ან კიდევ მას შეიძლება მიწები ჰქონდა ახალქალაქის რაიონში. მაშინ შეიძლება ნაკლებად ადგილიც შევავსოთ: „...გამრეკელისა ძეთა [და ქართლისა ერისთავისა] რატის პატრონობასა შინა“.

<sup>3</sup> ივ. ვ. დონდუას რუსული თარგმანი: „Басили, историк Царицы Тамары“, сборник „Памятники эпохи Руставели“, изд. Гос. Эрмитажем, Лнгр., 1938, стр. 57.

<sup>4</sup> ივ. იქვე, გვ. 56—57.



ჯერ ერთი საინტერესოა, რომ ბასიანის ომის აღწერილობისას ანონიმი ორჯერ იმეორებს, რომ წინამბრძოლად, ზაქარია ამირ-სპასალარს გარდა, იყვნენ „ორნიცა იგი ძმანი ახალციხელნი, შალვა და ივანე... და სხუანი თორელნი“<sup>1</sup>, ანუ: „ახალციხელნი შალვა და ივანე და სხუანი თორელნი“<sup>2</sup>. ამ ორი წინადადებიდან<sup>3</sup> უკვე საფიქრებელი ხდება, რომ შალვაცა და ივანეც თორელნი არიან და ამასთან, რასან შალვა ყველგან პირველ ადგილზე იხსენიება, იგი უნდა იყოს უფროსი ძმა. „სხუანი თორელნი“, მემათიანეს პირში, რათქმა უნდა, მხოლოდ დიდებულებსვე ჰგულისხმობს, შალვასი და ივანეს ახლობელ ნათესაებს.

ზემოციტირებულ ადგილთაგან პირველიდან ჩანს, რომ შალვა იმ დროს (1206 წ.) მანდატურთ-უხუცესი ყოფილა. მთელი ფრაზა აქ ასე იკითხება: „ხოლო წინამბრძოლად იყო ზაქარია მკარგრძელი ამირ-სპასალარი, და ორნიცა იგი ძმანი ახალციხელნი შალვა და ივანე, დაღათუ შალვა მანდატურთ-უხუცესი იყო, კიაბერი და სხუანი თორელნი, და წარემართნეს ბასიანის კერძოსა“<sup>4</sup>. მე მგონი, ეს გაუგებარი წინადადება ასე უნდა შევასწოროთ: „... და ორნიცა იგი ძმანი ახალციხელნი შალვა და ივანე (დაღათუ შალვა მანდატურთ-უხუცესი იყო, კიაბერი [გარდაცული იყო]) და სხუანი თორელნი...“ საქმე ისაა, რომ, გარდა ამ ერთი გაუგებარი ადგილისა, 1195 წლის შემდეგ<sup>5</sup> მანდატურთ-უხუცესის კიაბერის ხსენება აღარაა. უნდა ვიფიქროთ, რომ კიაბერი ან იმავე 1206 წელს გარდაცვლილა, ან ცოტა უწინ და ამიტომ დასჭირდა მემათიანეს მისი ხსენება შალვა ახალციხელის გვერდით. წინადადება: „დაღათუ შალვა“... და სხვ. ჩემ მიერ მრგვალ ფრჩხილებში ჩასმული), სქოლიოს წარმოადგენს, ხოლო მისი დამახინჯება შემდეგდროინდელ გადამწერთა ბრალი უნდა იყოს<sup>6</sup>. რომ შალვა მართლაც ყოფილა ერთ ხანს მანდატურთ-უხუცესად, ამას დაგვიდასტურებს წალკიდან, სახელდობრ გუნია-ყალადან გ. ჩიტაიას მიერ ჩამოტანილი და აწ საქ. მუზეუმში დაცული ხელიანი და თამარის ნიშნიანი ქვის წარწერა<sup>7</sup>, რომელშიც ხუთივე ვეზირი რიგზე არის ჩამოთვლილი და შალვა მესამე ადგილას იხსენიება. წარწერა გვეუბნება: „სახელით(ა) ღმრთისაჲ(თა), ბრძანებითა (ღმრ)თის სწოროთ თამარის და გიორგისით(ა), ქყონდიდელის, ზაქარია, შალვ(ა), ოესიყმ(ა), (ი)ვანესითა, ჯულაბაჲს მოჭირვებჲთა, სანობაჲს ძისა ინაჲსა კელით(ა), დაჲსვა კელი ესე ღმრთის სწოროთა მეფეთ-მეფის(ა) გიორგისი“<sup>8</sup>. ქყონდიდელ-მწიგნობართ-უხუცესის სახელი არაა მოყვანილი. ეს უნდა

<sup>1</sup> ქცა, 467 (701); ამაზე უწინ ანონიმი კიდევ იხსენიებს შალვა ახალციხელს 1195 წლ. ქვეშ ქცა 450 678).

<sup>2</sup> ქცა, 468 (702).

<sup>3</sup> პირველის განმარტებისათვის იხ. ქვეშ.

<sup>4</sup> ქცა, 467 (701).

<sup>5</sup> ქცა, 448 (677).

<sup>6</sup> შეიძლება თვით ინტერპოლაციაც ერთ-ერთ მერმინდელ გადამწერს ეკუთვნოდეს.

<sup>7</sup> რადგანაც ეს მეტად საინტერესო ქვა სხვა კომპლექსში უნდა დამუშავდეს, აქ მას არ ვაქვეყნებ. მისი სურათი იხ. ვ. ბარდაველიძისა და გ. ჩიტაიას ნაშრომში: ქართული ხალხური ორნამენტი. I—ხევსურული, თბ., 1939, გვ. 20, სურ 21; იქვე, გვ. 19, შენ. 1. ავტორებს მოჰყავთ წარწერაც, პ. ინგოროყვას წანაკითხის მიხედვით.

<sup>8</sup> წაკითხულია პ. ინგოროყვას მიერ.

იყოს თამარის ისტორიიდან კარგად ცნობილი ანტონი გლონისთავისძე, რომელიც, კიაბერივით, 1195 წლის შემდეგ აღარ იხსენიება, მაგრამ იმ დროს ჯერ კიდევ „შესახედავად ქაბუკი“ ყოფილა<sup>1</sup>. ზაქარია ამირ-სპასალარია, მკარგრძელი. შალვა მანდატურთ-უხუცესია<sup>2</sup>, თორელი-ახალციხელი. ოვსიყმა დღემდე უცნობი მეჭურჭლეთ-უხუცესია<sup>3</sup>. ხოლო ივანე მსახურთ უხუცესია, მკარგოდელი, ზაქარიას ძმა. მაგრამ შალვა დიდხანს არ უნდა ყოფილიყო მანდატურთ-უხუცესად, რადგან ლაშა-გიორგის-დროინდელი მემატიანის ცნობით მანდატურთ-უხუცესობა მერმე ზაქარია მკარგრძელს სჭერია<sup>4</sup>. ეს კარგად ათარიღებს, სხვათა შორის, წალკურ წარწერასაც: იგი უნდა იყოს შედგენილი 1207 წლის ახლო ხანებში, დავით სოსლანის გარდაცვალების შემდეგ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ეს უკანასკნელიც შიგ, ალბათ, მოხსენებული იქნებოდა. ამ წლებში (1206—1208) ეკირა, ალბათ, შალვას მანდატურთ-უხუცესობა<sup>5</sup>.

<sup>1</sup> ქცა 444 (672). ცნობილია აგრეთვე მისი 1202 წლის სხალტური სიგელი (იხ. თ. კორდანიას „ქრონიკები“, II, გვ. 79—82). გარდა ამისა, ერთი წარწერის მიხედვით, ანტონ ჭყონდიდელს ზღუდე აუშენებია ვაჰანის მონასტრისათვის ჯავახეთში 1204 წელს (იხ. ნ. ბერძენიშვილის „სავაზირო ფეოდალურ საქართველოში“. ენიშვი-ს მოამბე. ტ. V—VI, მიძღვნილი აკადემიკ. ივ. ჯავახიშვილისადმი, გვ. 347. შენ. 7). შესაძლებელია, რომ გუნიაყალას წარწერაში უკვე თეოდორე იგულისხმებოდეს მწიგნობართ-უხუცესად, რომელიც 1205/6 წლების ქვეშ იხსენიება (იხ. ნ. ბერძენიშვილის დასახელებ. წერილი, გვ. 397, შენ. 8 და ყორდანიას „ქრონიკები“, I, 292).

<sup>2</sup> ვაზირთა რიგის მიხედვით, მართალია, მანდატურთ-უხუცესი ამირ-სპასალარზე წინ უნდა ყოფილიყო დასახელებული (იხ. ივ. ჯავახიშვილის „ქართ. სამართლ. ისტ.“, II: I, გვ. 123—124) და მართლაც, როდესაც მერმე ზაქარია მკარგრძელს დაუჭერია მანდატურთ-უხუცესობის პატივიც, მემატიანე ყოველთვის პირველად მის ამ პატივს იხსენიებს და მერმე ამირ-სპასალარობას (იხ. „ლაშა-გიორგის-დროინდელი მემატიანე“, გამოც. ივ. ჯავახიშვილის მიერ, თბ., 1927, გვ. 15 და 18), მაგრამ ჩვენს წარწერაში რიგი დარღვეულია. ალბათ იმიტომ, რომ ზაქარია მკარგრძელი განსაკუთრებით საპატიო პირი იყო თამარის კარზე. სხვაფრივ ვაზირთა რიგი ჩვენს წარწერაში ხედმიწვევითაა დაცული.

<sup>3</sup> უკანასკნელად თამარის ისტორიაში 1187 წლის ქვეშ იხსენიება მეჭურჭლეთ-უხუცესი კახაბერ ვარდანიძე (ქცა, 410/632). მას უკან მეჭურჭლეთ-უხუცესად, როგორც ეტყობა, ერისთავთ-ერისთავი აბულასანი დაუდგენიათ (იხ. ანდრია პირველწოდებულის ხატის წარწერა, გამოც. ე. თაყაიშვილის მიერ, Изв. Кавк. Отд. Моск. Археол. Общ., вып. I, стр. 70), რომელიც გადააყენეს, ალბათ, გიორგი რუსის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, 1190—91 წელს. მერმე აღარა ჩანს, თუ ვის სჭერია ეს პატივი თამარის დროს. სახელისათვის „ოვსიყმა“ შდრ. ქვემო-ჯინისის წარწერა, გამოც. ე. თაყაიშვილის მიერ (იხ. მისი „Археол. эск., разыск. и заметки“, Изв. Кавк. Отд. Моск. Археол. Общ., вып. III, стр. 51).

<sup>4</sup> იხ. დასახელ. ადგ.: ერთი ცნობა ამ მემატიანისა (გვ. 18) აშკარა ანაქრონიზმს წარმოადგენს, რადგან აქ ისე გამოდის, თითქოს ზაქარია უკვე 1193 წ., ლაშას დაბადებისას, მანდატურთ-უხუცესიც ყოფილა. ამ დროს კარგად ვიცით, რომ ეს პატივი ისევ-ისევ კიაბერს ეპყრა. მეორე ცნობა კი (გვ. 15) სწორი უნდა იყოს: აქ ზაქარია მანდატურთ-უხუცესად გვევლინება 1213 წ., როდის მიიღო მან ეს პატივი, არ ჩანს. აღსანიშნავია, რომ ჰარიკის ერთ სომხურ წარწერაში, რომელიც 1201 წლითაა დათარიღებული, ზაქარია თავის თავს იხსენიებს აგრეთვე მანდატურთ-უხუცესად და ამირ-სპასალარად (იხ. კოსტანიანცის *ქქმასიან* *საყიქიქ*, გვ. 43). აქ, საფიქრებელია, თარიღი არაა სწორად ამოკითხული, მას ერთეული უნდა აკლდეს.

<sup>5</sup> შალვას ვაზირობის ხანმოკლეობა ეგებ მისი პირადი განწყობილებით აიხსნებოდეს: მანდატურთ-უხუცესი, ჩვეულებრივად, არ ლაშქრობდა (იხ. ივ. ჯავახიშვილის „ქართ. სამართლ. ისტ.“, II: I, გვ. 160—161), შალვას კი, შესაძლებელია, მონაპირეობა ერჩინა მეფის კარზე ყოფნას. შეიძლება სწორედ ამით აიხსნებოდეს მემატიანის სქოლიო: „დალათუ შალვა მანდატურთ-უხუცესი იყო“, რადგან ამ მანდატურთ-უხუცესს, ეტყობა, მაინც ვერ მოუხვედია და ომში გარეულა, რაც უჩვეულო იყო.

კარის აღების შესახებ ორი ცნობა გვაქვს შენახული. ერთი ეკუთვნის ანონიმს, მეორე — ბასილიეზოს მოძღვარს. ორივე სხვადასხვანაირად მოგვითხრობს კარის დაპყრობის ამბავს, მაგრამ ერთი დეტალი მანიშნებელია. ანონიმი მოგვითხრობს, რომ „მეფემან აღიღო კარი და დაუტევა კარის მცველად ახალციხელი იოანე და აჩინა მონაპირედ და უბოძა ათაბაგობა და ამირთა-ამირაობა... და ივანესვე უბოძა კარული და მისი მიმდგომი ქუეყანანი“<sup>1</sup>. ბასილიეზოს მოძღვარის ცნობის მიხედვით კი თამარს კარი არავისთვის არ ჩაუბარებია, არამედ სამეფოდ დაუქვრია. მაგრამ წინასწარ ისტორიკოსი შენიშნავს, რომ „მრავლით უამითგან ჰბრძოდეს (კარისთვის) სარგის თმოგველი, შალვა თორელი და მესხნი. გარნა ვერა ღონე ქნეს აღებისაო“<sup>2</sup>. ამ ორი თითქოს ერთიერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობის შეთანხმება არაა ძნელი: თამარს, უეჭველია, ისე ჰქონია ჩაბარებული კარი, როგორც ბასილი მოგვითხრობს, მაგრამ საგამგეოდ, რა თქმა უნდა, ვერც ის და ვერც მცირეწლოვანი ლაშა იქ ვერ დაჩეხბოდნენ და ქალაქის და მისი ოლქის მმართველობა (და არა ხარაჯა) მას ივანე ახალციხელისათვის ჩაუბარებია. მაგრამ სწორედ ის გარემოება, რომ კარისათვის ჯავახეთის მონაპირენი, სარგის თმოგველი და შალვა თორელი, მბრძოლობდნენ, მერმე კი კარის მონაპირედ ივანე ახალციხელი გააჩინეს, გვიჩვენებს, რომ შალვა თორელი იგივე შალვა ახალციხელი უნდა იყოს, ივანეს ძმა. და მართლაც, უამთააღმწერელი პირდაპირ ამბობს, რომ თარადავლა იყო „თორელის ახალციხელის შალვას ძე“<sup>3</sup>.

ცნობილია, როგორ ტრაგიკულად დასრულდა ამ ორ ძმათა ახალციხელთა ცხოვრება. გარნისის ომში, 1225 წ., ივანე ათაბაგმა „აჩინა წინამბრძოლად თორელნი და ძმანიცა იგი ორნი ახალციხელნი, შალვა და ივანე, სახელოვანნი მბრძოლნი, ვითარ წესად არს სახლისა მათისდა წინამბრძოლობა. ხოლო ვითარ დაეახლნეს წინამბრძოლნი და სულტანი (ჯალალ-ედინი), აქა დაიპყრა ფეკი ივანე ათაბაგმან. იტყვან, ვითარმედ შურითა ყო ახალციხელთა შალვა და ივანესითა“, მოგვითხრობს უამთააღმწერელი: „... ხოლო ვინათგან წინამბრძოლნი

<sup>1</sup> ქცა. 463 (699).

<sup>2</sup> ქცა. 474 და ვ. დონდუას რუს. თარგმანის გვ. 70. ეს ცნობა მარიამისეულ ვარიანტში არ მოიპოვება. იგი, მაშასადამე, შეტანილია ქართლის ცხოვრებაში ვახტანგისეული კომისიის მიერ და რადგან აქ სხვადასხვა ავტორის ცნობა სხვადასხვა ადგილასაა შეტანილი, ვახტანგისეული ტექსტის მიხედვით ისე გამოდის, თითქოს კარი ორჯერ იქნა აღებული სხვადასხვა პირობებში.

<sup>3</sup> ქცა. 528 (770). თორელებს, ამგვარად, XII ს-ში ახალციხეც სჭერიათ. ეს ცოტა არ იყოს, უცნაურია, რადგან ამავე დროს სამცხის სპასალარობის პატივი ეპყრათ, როგორც ცნობილია, ჯაყელებს და თითქოს მათვე უნდა სჭეროდათ ახალციხეც, სამცხის ერთი უმნიშვნელოვანესი სიმაგრე. მაგრამ, როგორცა ჩანს, სწორედ ახალციხე წარმოადგენდა მიჯნას თორელთა და ჯაყელთა სამფლობელოებს შორის: ჯაყელები ახალციხის დასავლეთითა და სამხრეთ-დასავლეთით ისხდნენ (ამიერ-ტაოში — თუხარისი, ქცა, 324—325; არტაანში, დონდუას რუს. თარგმ., გვ. 57; ერუშეთში — ყუელი, ქცა, 336; ფოცხოვში — ჯაყა; და ოძრკეში) ამას თითქოს ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ მათ ციხისჯვარიც ეჭირათ, მაგრამ, როგორც ეს ნ. ბერძენიშვილმა შენიშნა, ეს შეუძლებელია თორის ციხისჯვარი ყოფილიყო, არამედ ასეთი სახელწოდების სიმაგრე, ეტყობა, მეორეც ყოფილა, ალბათ სადღაც ოარკის ახლოს. ახალციხე და მისი მიმდგომი ჯაყელებმა უფრო გვიან, ალბათ XIII ს-ის მეორე ნახევარში ჩაიგდეს ხელთ.

თორელნი და უმეტეს ახალციხელნი შალვა და ივანე ახოვან-  
იყუნეს და წყობათა შინა სახელოვანნი, არლარა ჰრიდეს სიმრავლესა სულტა-  
ნისა სპათასა.... ხოლო ივანე ათაბაგი და სპანი ქართულთანი ხედვიდეს ძლი-  
ერსა ომსა და არა შეიწყალებდეს თანამონათესავეთა და ერთ-სჯულთა . . . .  
თორელთა და მათ თანა მრავალთა სახელოვანთა, არამედ დგეს შორით და  
არა ინებეს შველა . . . .

„და ვითარ განგრძელდა ომი, ორთავე ძმათა ახალციხელთა და-  
უკოცნეს ცხენნი და ქვეითნი მკნედ იბრძოდეს და მოისრნეს ორგნითვე ური-  
ცხენი და უმეტეს თორელნი, და ვითარ შენივთდა ძლიერად ომი, კრძალ-  
ნიცა ახალციხელთანი გატყდეს ჩაბალახსა ზედა. მაშინ ივლტოდეს ქართულ-  
ნი. ხოლო შალვა მუნვე შეპყრობილ იქმნა სიმრავლისა ფრიადისა მიერ და  
ივანე, გარნისისა კლდეთა შინა შელტოლვილი, ზენა-კერძო მოტევებულითა  
ქვითა მოიკლა მუნ“. შალვამ კი, ისტორიკოსის გადმოცემით, ერთი წლის შემ-  
დგომ მიიღო მოწამებრივი სიკვდილი ჯალალ-ედინის მიერ, რომელსაც მისი გა-  
მაჰმადიანება უნდოდა <sup>1</sup>.

შალვას, როგორც აღვნიშნე, დარჩა შვილი ფარადავლა, რომელიც შელ-  
ტოლვილი იყო რუმის სულტან ყიას-ედ-დინთან და 1234 წლ. ახლო ხანებში  
ამის ჯარში იბრძოდა მონღოლთა წინააღმდეგ. მონღოლთაგან დამარცხების შემ-  
დეგ ყიას-ედ-დინმა ფარადავლა მოჰკლა <sup>2</sup>. ივანეს შვილი კი, დავითი, ავაგ ათა-  
ბაგის ეჯიბი, ცნობილია თავისი თავგანწირულობით, რომლის ამბავი დაწვრი-  
ლებითა აქვს მოთხრობილი უამთააღმწერელს <sup>3</sup>. ეს მოხდა 1235-იან წლებ-  
ში. ამის შემდეგ დავითი აღარ იხსენიება.

საფიქრებელია, რომ, რადგან შალვა უფროსი ძმა იყო ივანესი და მხო-  
ლოდ ის იწოდება თორელად და ახალციხელად, ივანე კი მაინც და მაინც არც  
ერთხელ პირდაპირ თორელის ეპითეტით მოხსენებული არაა, თორელობა მაინც  
განსაკუთრებული პატივი იყო და მამისაგან მხოლოდ უფროს შვილზე გადადი-  
ოდა. ამიტომ შეიძლება დავუშვათ, რომ ის გამრეკელი თორელი, რომელიც,  
საქართველოს სხვა მთავრებთან ერთად, ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ „მი-  
ენდო“ ახლად შემოსეულ მონღოლებს 1234 წლის ახლო ხანებში <sup>4</sup>, აგოეოვე  
შალვას შვილი იყო და თანაც ფარადავლაზე უფროსი. საინტერესოა, რომ  
უამთააღმწერელიც ამ მეორე გამრეკელს მაინც და მაინც ისევ სარგის  
თმოგველთან ერთად იხსენიებს, საფიქრებელია იმიტომ, რომ ორნივე ისევ-ისე  
ჯავახეთის მონაპირენი იყვნენ შეთავსებით.

1245 წ., უმეფობის დროს საქართველოს ახალი ადმინისტრაციული და-  
ყოფისას, მონღოლებმა გამრეკელ თორელს მისცეს საგამგეოდ „ჯავახეთი, სამ-  
ცხე და აღმართ ვიდრე კარნუქალაქადმდე“ <sup>5</sup>. სხვა ქართველ ერისმთავრებთან

<sup>1</sup> ქცა, 510—511 (744—746).

<sup>2</sup> ქცა, 528 (770), 529 (772), შდრ. მალაქია აბელას ცნობა შალვას შვილის შესა-  
ხებ (Brosset, Addit. et Éclairc. à l'Hist. de la Géorgie, p. 446).

<sup>3</sup> იქვე, გვ. 532—533 (776—777).

<sup>4</sup> ქცა, 527 (768)

<sup>5</sup> ქცა, 541 (787); ის „თორელიც“, რომელიც იმერეთიდან გადმოსულ დავით ნარინს  
მიეგება (ქცა, 531/773), იგივე გამრეკელი უნდა იყოს.

ერთად გამრეკელიც აუმხედრდა ეგარსიან ბაკურციხელს და ულუ-დავითის ძი-  
ება გადასწყვტა<sup>1</sup>, რომელსაც მიეგება კიდეც, როდესაც იგი რუმიდან საქარ-  
თველოში შემოვიდა<sup>2</sup>. დაბოლოს, კოხტის შეთქმულებაშიც გამრეკელი თორე-  
ლი მონაწილეობას დებულობს<sup>3</sup>. ამ ამბის შემდეგ (1247 წ.) იგი აღარ იხსენი-  
ება. აძიკვის ბარელიეფზე გამოსახული გამრეკელი<sup>4</sup> შეიძლება სწორედ ეს  
იყოს.

1249 წლის ქვეშ იხსენიება უკვე ლიპარიტ თორელი, „რომელსა დევის-  
კურცა ეწოდებოდა“<sup>5</sup> (გამრეკელ II-ის ძე?), ხოლო 1259 წელს თორელად ვხე-  
დავთ კახა მეჭურჭლეთ-უხუცესს, ახალქალაქის ერისთავთ-ერისთავს<sup>6</sup>.

კახას შთამომავლობა უცნობია. ჩვენ არ ვიცით, ვისი შვილი იყო ის. რკონის  
შეწირულობის წიგნიდან, რომელიც ქართული დიპლომატიკის ერთ უშესა-  
ნიშნავეს ძეგლს წარმოადგენს და დაწერილია კახას შეკვეთით 1259 წლის ახლო  
ხანებში, ვტყობილობთ, რომ მას ცოლად ჰყავდა მსახურთ-უხუცესის გრიგოლ  
სურამელის ქალი ხათუთა და რომ ამ დროს იგი უშვილო იყო. მამა-მისი უკვე  
მიცვალებულია, მას ჰყავს ბიძა და რამდენიმე ძმა, რომელთაგან ერთს ასიბა  
ჰრქმევიან. ვილაც საჰმადავლა მისი ახლო ნათესავი ჩანს<sup>7</sup>. რკონის მონასტრისა-  
თვის კახას შეუწირავს მისი ნასყიდი სოფელი ხოვლე. ამგვარად, მეჭურჭლეთ-  
უხუცესს კახა თორელს, რომელიც ამავე დროს ახალქალაქის ერისთავიცაა, ე. ი.  
ჯავახეთის განმგებელია, მამულები უჭირავს თემის ხეობაშიც<sup>8</sup>. ჩვენ ვნახეთ  
უკვე, რომ თორელების დამკვიდრება ამ ხეობაში გაცილებით უფრო ადრე,  
XII ს-ის შუახანებში უნდა მომხდარიყო.

დავუბრუნდეთ ახლა სამძივრებს. ჩვენ ვნახეთ, რომ ჯავახეთის მონაპირენი  
იყვნენ თმოგველნი და თორელნი. ამიტომ იყო, რომ კარისტვის მბრძოლობ-

<sup>1</sup> ქცა, 549 (799).

<sup>2</sup> ქცა, 551 (801); აქ მარტო „გამრეკელი“ სწერია. მაგრამ სრულებით ცხადია, რომ  
იგულისხმება იგივე გამრეკელი თორელი (შდრ. ზევით გვ. 61, შენ. 1).

<sup>3</sup> ქცა, 547 (795).

<sup>4</sup> იხ. თ. თაყაიშვილის „Археол. экск., разыск. и зам.“, Изв. Кавк. Отд. Моск. Архе-  
ол. Общ., вып. III, стр. 9. და პ. ინგოროყვას „რუსთველიანა“, I, გვ. 330—331; როგორც  
აღვნიშნე, პ. ინგოროყვას ეს გამრეკელი ორბელი ჰგონია.

<sup>5</sup> ქცა, 559 (812).

<sup>6</sup> ქცა, 569 (826); აქ ნათქვამია, რომ ულუ-დავითს განუდგნენ და ყაენთან წავიდნენ,  
სხვებთან ერთად, „ორბელი და თორელი და კახა, ერისთავი ახალქალაქისა“, ისე რომ „თორე-  
ლი“ თითქოს ვილაც სხვა უნდა იყოს, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ აქ იგულისხმება ლიპარიტ  
თორელი. მაგრამ მარიამისეულ ვარიანტში სიტყვები: „ორბელი და თორელი და“ აკლია. იქ  
დასახელებულია მხოლოდ კახა, ერისთავი ახალქალაქისა. გარდა ამისა, იქ საცა ლაპარაკია ომის  
შესახებ მიწოდებებსა და ულუ-დავითს შორის, მონღოლთა მხარეზე იბრძვის „თორელი კახა“  
(ქცა, 571/829). ცხადია, იგივე კახა ახალქალაქის ერისთავი, ისე რომ წინათ მოხსენებული  
„თორელიც“ ქცის ტექსტში კახას ეკუთვნის, ხოლო კავშირი „და“ შეცდომით უნდა იყოს ჩარ-  
თული ამ სიტყვასა და „კახას“ შორის. თავდაპირველად ასე იქნებოდა: „ორბელი და თორე-  
ლი კახა, ერისთავი ახალქალაქისა“.

<sup>7</sup> იხ. თ. თორდანიას გამოც. „ქრონიკები“, II, 133—143.

<sup>8</sup> კახა სწერს: „პატრონმა მამამან ჩემმა ეზომი მამული დამიგდო, რომე თუმცა სხუა  
რომელი მამულისა სოფელი შემომეწირა, ესეც კელ[მეწიფებოდა]“ (ნახსენ. ადგ., გვ. 133),  
ისე რომ აქ, ცხადია, მამულები იგულისხმება ისევე-ისე რკონის რაიონში; სიგელში კახას ეწო-  
დება მხოლოდ ერისთავთ-ერისთავი და მეჭურჭლეთ-უხუცესი. რომ ეს იგივე თორელი კახაა,  
ახალქალაქის ერისთავი, გამოირკვევა ქვემოთ.

დნენ ერთად სარგის თმოგველი და შალვა თორელი<sup>1</sup> და, ალბათ, ამიტომვე იხსენი-  
ებს უამთაღმწერელი გამრეკელ თორელს სარგის თმოგველის გვერდით<sup>2</sup>.  
კახა სამძივარიც, როგორც გადმოგვცემს თამარის ანონიმური ისტორი-  
კოსი, 1190/91 წ. ლაშქრობს განდგომილი გუზანის წინააღმდეგ, თამარის ბრძა-  
ნებისამებრ, სარგის თმოგველთან ერთად<sup>3</sup>. ეს შეთავსებითი მხედართმთავრობაც  
არ შეიძლება შემთხვევითი იყოს, არამედ მას სარჩულად უნდა ედოს ის გარე-  
მოება, რომ კახა სამძივარიც ჯავახეთის მონაპირეთა შორის ირიცხებოდა. ეს  
აძლიერებს ჩვენს ეჭვს, რომ სამძივარიც თორელთა გვარეულობისა იყო, ისე  
როგორც ივანე ახალციხელი და ხშირად მოხსენებულნი „სხუანი თორელნი“.  
ყველა ესენი მონაპირეებად ითვლებოდნენ, მაგრამ უფროსი მათ შორის და სა-  
ნაპიროს განმგებელი (სარგის თმოგველის გვერდით) შალვა იყო. თუ ასეა, მა-  
შინ ადვილი დასაშვებია, რომ კახა სამძივარი შალვა და ივანე ახალციხელების  
ძმა იყო. კრავაი ჯაყელი, „დედა აწ მყოფთა სამძივართა“<sup>4</sup>, ამგვარად, დიდი  
გამრეკელის მეუღლე გამოდის. შეიძლება კაცმა იკითხოს, თუ რატომ არ ასა-  
ხელებს მემატიაზე კრავაის ქმარს და, ცოტა არ იყოს უცნაურად, მხოლოდ  
მისი დედობა აქვს აღნიშნული, ცოლობა კი არა. მაგრამ ასევე იქცევა ის ხუა-  
შაქ ცოქალის მიმართაც, რომელსაც აგრეთვე ახასიათებს მხოლოდ როგორც  
ქართლის ერისთავის რატის დედას. საქმე ისაა, რომ მემატიაზე ამ ადგილას,  
ცხადლივ, მხოლოდ იმ დროის ვითარებას უწევს ანგარიშს, როდესაც იგი სწერს.  
ხოლო ეს ადგილი დაწერილია, ისე როგორც „ისტორიათა და აზმათა“ მთელი  
პირველი ნაწილი, XII ს-ის 90-იანების შუაწლებში<sup>5</sup>, როდესაც გამრეკელი თო-  
რელი უკვე გარდაცვლილი იყო. სწორედ ამიტომაც, რომ ავტორი სწერს: „დედა  
აწ მყოფთა (ე. ი. ამჟამად ცოცხალთა, ლ. მ.) სამძივართა“. თუ ჩვენი  
ვარაუდი სწორია, ეს სამძივარნი არიან შალვა, ივანე და კახა, შვილები დიდი  
გამრეკელისა. მაგრამ ეს დამახასიათებელი გამონათქვამი შესაძლებლობას იძლე-  
ვა კიდევ ერთი ჰიპოთეზა წამოვაყენოთ. სტეფანოს ორბელიანის მიერ  
მოხსენებული ჯავახი კახა ჩვენ ჩავთვალეთ გამრეკელ თორელის ძმად. ხოლო  
კახას, სტეფანოსის სავე ცნობით, შვილები ჰყავდა. თუ გამრეკელი და კახა  
მართლაც ძმები იყვნენ, მაშ კახაც და მისი შვილებიც სამძივარნი ყოფილან.  
და შესაძლებელია მემატიაზეს ზემოაღნიშნული ფრაზით — „დედა აწ მყოფთა  
სამძივართა“ — სწორედ იმის თქმა უნდოდა, რომ 1195/96 წლებში, როცა ის  
სწერდა, ცოცხლები იყვნენ მხოლოდლა კრავაის, ე. ი. გამრეკელის შვილები,  
კახას შთამომავლობა კი გადაშენებულა.

თუ კრავაი გამრეკელის ცოლი იყო, მაშ თორელები და ჯაყელები  
XII ს-ში დანათესავებულან. ქვემოთ ვნახავთ, რომ ამ ნათესავობას სხვა საბუ-  
თებიც დაგვიდასტურებენ<sup>6</sup>.

<sup>1</sup> ვ. დონდუას რუს. თარგმ., გვ. 70 და ქცა, 471.

<sup>2</sup> ქცა, 527 (768).

<sup>3</sup> ქცა, 432 (657).

<sup>4</sup> ქცა, 409 (630).

<sup>5</sup> იხ. ივ. ჯავახიშვილის „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“, თბ., 1916 წ. გვ. 167—168.

<sup>6</sup> შემდეგი ლოგიკური ჯაჭვი, მე მგონი, უეჭველადაც კი ხდის კრავასი და დიდი გამრე-  
კელის ცოლ-ქმრობას: 1. ჰამამლუს წარწერიდან ვიცით, რომ კრავაი კახა სამძივარის დედაა და,

ერთი XII--XIII ს-ის ძეგლის მიხედვით ჩანს, რომ ამ დროს სამძივრები მარუშიანებსაც დამზახლებიან. ეს არის უწინ ლეხაურის ეკლესიაში დაცული წმ. იაკობის ხატის წარწერა, რომელშიც იხსენიება სამძივართა ასული ხათუთა, მეუღლე ვარდანისძე მარუშიანისა<sup>1</sup>. ამ ნათესავურ კავშირსაც მარუშიანებთან დაგვიდასტურებს ერთი მერმინდელი წარწერა.

მაგრამ ყველა ეს მხოლოდ მინახვედრებია. საკითხს, ჩემის აზრით, სრულებით უდავოდ სწყვეტს ერთი ადგილი ჟამთააღმწერელის თხრობიდან, რომელიც შეეხება კახა თორელს, „რომელსა აქუნდა პატივად მეჭურჭლეთა-უხუცესობაჲ“, ე. ი. ჩვენთვის უკვე ცნობილს კახა ახალქალაქის ერისთავს. ის ეპიზოდი, რომელიც ამ ადგილას ჟამთააღმწერელს მოუხანილი აქვს, მისი თხრობის თანამიმდევრობისდა მიხედვით, 1269 წლის ახლო ხანებში მომხდარა. მარბიელმა თათრებმა, თოლაქ-დემურის და სხვათა მეთაურობით, ჯავახეთიდან წაასხეს კახა თორელისა და ვინმე ყურუმჩი ბადურის ჯოგები. „ესმა ყურუმჩი ბადურსა და მოუწოდა კახას თორელსა და დევნა უყვეს“. დევნას, მაშასადამე, ეს ორნი მეთაურობენ პირადად. „თათარნი განსრულ იყუნეს მტკუარსა, სადა მოერთვის წყალი გურკლისა და ესენი (ე. ი. მდევარნი) მივიდეს პირსა მტკურისასა“. რადგან მდევარნი მეტნი იყვნენ, ყაჩაღებმა „იძიეს ღონე: თოლაქ-დემურ განვლო მტკუარი ოცდაათითა კაცითა უგრძნულად, და სხუანი დაუდგეს პირსა მტკურისასა. თოლაქ-დემურ ადვლო კევი და ადვიდა ქედსა და ალაბა ალაში რაჲმე სხუა დროშისა და მიუტევა ხმითა მალლითა“. მდევრები მოტყუვებულან, ზურგიდან მომდგარი ლაშქარი ჰგონებიათ, „ყურუმჩი ბადურ . . . . შეშინებულ იქმნა და ივლტოდა მსწრაფელ შემოფოთებული, სადა იგი სიმრავლე მოიკლა კაცთა კეთილთა და ორთა კობტელთა მიიღეს აღსასრული“. მთელ ამ პანიკისა და დამარცხების ამბავში კახა თორელი არსად არა ჩანს. მაგრამ ზემომოყვანილ პასაქს შემატიანე ასე ამთავრებს: „და სამძივარი, ცხენ-მოკლული, ცურვით ივლტოდა და აწყურეს შევიდა“<sup>2</sup>. მე მგონი, სრულებით უეჭველად უნდა ჩაითვალოს, რომ ამ სამძივარის ქვეშ სწორედ კახა თორელი იგულისხმება. სხვანაირად მემატიანის თხრობა გაუგებარი და ულოგიკო გამოდის. იგი არავის არ ასახელებს, გარდა მეთაურებისა, ე. ი. ყურუმჩი ბადურის და კახა თორელისა. ამბის დასასრულს ჩვენ ვხედავთ, თუ რა დაემართა ყურუმჩი ბადურს: იგი ივლტოდა და შემდეგ, როგორც ჩანს, მოკლულ იქნა. ბრძოლის დროს დაღუპულა ბევრი „კეთილი კაცი“ და მათ შორის ორნი კობტელნიც, რათქმა უნდა, დიდებულნი (სწორედ ამიტომ იხსენიებს მემატიანე მათ სიკვდილს საგანგებოდ), რომლებიც კახა თორელის ჯარში იქნებოდნენ<sup>3</sup>. მაგრამ რა და-

2. გამორკვეული გვაქვს დანამდვილებით, რომ შალვა და ივანე დიდი გამრეკელის შვილები არიან, 3. ხოლო ჟამთააღმწერელი გვამცნევს, რომ თორელები სამძივრები ყოფილან (იხ. აქვე ქვემ. კახა მეჭურჭლეთ-უხუცესის შესახებ). 4. ამგვარად, ანონიმის „აწ მყოფნი სამძივრები“ უთუოდ შალვა და ივანე არიან. რომლებიც ცოცხალნი იყვნენ ჯერ კიდევ 1225 წელსაც, და მაშასადამე კრავი ამათი დედაცაა. 5. აქედან ცხადია, რომ კახა ამათი ძმაა და რომ კრავი დიდი გამრეკელის თანამეცხედრეა.

<sup>1</sup> იხ. ე. თაყაიშვილის „არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი“. წიგნი I, თბ., 1907, გვ. 26; შდრ. Изв. Кавк. Отд. Моск. Арх. Общ., II, 79—80.

<sup>2</sup> ქცა, 595 (864).

<sup>3</sup> სხვათა შორის. აქედან ცხადი ხდება, რომ კობტის შეთქმულება თორში მომხდარა. მართლაც, ბაკურიანის ახლოს მდებარე კობტა-გორა უნდა იყოს ის ძველი ადგილი.

ემართა თვით კახა თორელს?—ამის მიუხსენებლობა სრულებით აუხსნელი დარჩება, თუ რომ იგი სამძივრად არ ჩავთვალეთ. ცხადია, მემატიანემ და მისმა თანამედროვეებმა კარგად იცოდნენ, რომ კახა თორელი სამძივართა გვარისა იყო და ამიტომაც უამთააღმწერელი სიტყვას არ აგრძელებს.

მართლაც, სამცხე-საათაბაგოს საკათალიკოზო სამწყსოს თავადთა სიაში, როგორც უკვე აღვნიშნე, სამძივარნი ჩატანილნი არიან, თორელნი კი არა და არც გამრეკლები, იმ დროს როდესაც თორი, იმავე სიით, მაწყვერელის სამწყსოში შედის, ხოლო ჯავახეთი—კუმურდოელისაში<sup>1</sup>. რას ჰნიშნავს ეს, თუ არა იმას, რომ არც „თორელი“ და არც „გამრეკელი“ გვარი არ იყო, არამედ ისინი ამ სიაშიც, როგორც ესლა უკვე გამორკვეულად შეიძლება ჩაითვალოს, სამძივართა ქვეშ იგულისხმებიან<sup>2</sup>.

XIII ს-ის მეორე ნახევარში სამძივრები დაჰმოყვრებიან სადუნ მანკაბერდელსაც. უამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ სადუნ მანკაბერდელმა მეფეთაგან მიიღო კარი (რომელიც, როგორც ვიცით, თამარის შემდეგ უმე მეფოდ მეფეთა ხელში იყო). 1271 წლის ახლო ხანებში სადუნს ცოლად მოუყვანია ახალციხელის ასული და კარის „მიმდგომი ქუეყანა მოივერაგა ახალციხელთაგანაო“<sup>3</sup>. ახალციხელებიც, როგორც ესლა ვიცით, სამძივრები იყვნენ<sup>4</sup>.

1300 წლის ახლო ხანებში იხსენიება გამრეკელი კახას ძე, რომელსაც ბაყათარ ოგსთა მთავარმა წაართვა ციხე ძამისა<sup>5</sup>. მას ეხმარება მანდატურთ-უხუცესი ბექა ჯაყელი, რომელიც ბაყათარს ამარცხებს<sup>6</sup>. ეს გამრეკელი ეგებ მექურჭლეთ-უხუცესის კახას ძე იყოს, რომელიც 1259 წ., როგორც ვნახეთ, უშვილო იყო, მაგრამ შემდეგში შეიძლება შვილები მიეცა.

დამახასიათებელია, რომ ბექა მანდატურთ-უხუცესი მაშინათვე დაჰხმარებია გამრეკელს. ბექა მანდატურთ-უხუცესისა და კახა [სამძივარის] კეთილმოყვრობის წიგნში, რომელიც, ჯავახიშვილთა სხვა საბუთებთან ერთად, გამოცემული აქვს ე. თაყაიშვილს<sup>7</sup> და რომელიც 1300 წლის ახლო ხანით თარიღდება<sup>8</sup>, ბექა სწერს: „[ნათესავ]ნი ყოფილან ჩუენი სახლი, და თქუენი ოდეს

<sup>1</sup> იხ. დ. ბაქრაძის, „Археол. путеш. по Гурии и Абхазии“, გვ. 79 და 81 და თ. შორდანიას „ქრონიკები“, II. 53.

<sup>2</sup> ვახუშტი თავის „ძველთა მთავართა“ სიაში ასახელებს როგორც სამძივრებს, ისე გამრეკლებსაც და ჯავახიშვილებსაც (თორელებს ისიც არ იცნობს გვარად!), მაგრამ სრულებით ცხადია, რომ ვახუშტი მერმინდელი ვითარებით ხელმძღვანელობს.

<sup>3</sup> ქცა, 602 (874).

<sup>4</sup> მართალია, ახალციხე ამ დროს, შეიძლება, უკვე ჯაყელების ხელში იყო.

<sup>5</sup> ტექსტში: „რამისა“.

<sup>6</sup> ქცა, 645.

<sup>7</sup> საქ. სიძველენი, II. გვ. 7—8.

<sup>8</sup> მანდატურთ-უხუცესად ბექა მხოლოდ ამ დროს იხსენიება (ქცა, 641), რაც შემთხვევითი არ უნდა იყოს (ჯერ კიდევ 1284 წლ. ახლ. მანდატურთ-უხუცესი იოანე მკარგრძელია, იქვე, 612). მეორე მხრით, ამ კეთილმოყვრობის წიგნში ბექას უმრწემესი ძე შალვა მოხსენებული არაა. ალბათ იმიტომ, რომ ჯერ არ ჰყოლია. შალვა პირველად იხსენიება 1315 წლ. ახლო ხანებში, როდესაც ბექაც კვდება (იქვე, 650 და 653). ამგვარად, წიგნი 1300 წელზე არც ძალიან გვიან იქნება დაწერილი.



მამ[აი იყო] და მათი უკანით რაი მე დავრჩი, ჩ(უ)ენისა სახლისა [ე]რთმანერთი-  
სა მოყუარენი, მომკმარებელნი, მეშუელნი (ვიყავით). [და] ძემან ჩემმან თქუენი  
დაი შეირთო და ველარაი სიყუარულით ყოფილ ვიყვენით... აწ ამას იქით ვიყუ-  
ნეთ ჰავრევე [ვითა წი]ნას ყოფილ ვართ გაუყრელნი და მოდაწერილენი“.

„ნათესაენი ყოვილან ჩუენი სახლი“ ისეა ნათქვამი, რომ ამით, უეჭველია,  
ძველი ამბავი იგულისხმება და შეიძლება იმას ჰგულისხმობდეს, რომ ჯაყელნი  
და სამძივარნი ჯერ კიდევ XII ს-ში დანათესავებულან (კრავაი ჯაყელი და დი-  
დი გამრეკელი). ხოლო სიტყვები „და თქუენი ოდეს მამაი იყო . . . . ერთ-  
მანერთისა მოყუარენი, მომკმარებელნი და მეშუელნი (ვიყავით)“, უნებლიედ  
გვაგონებს ე ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს ზემომოყვანილ თხრობას ბექას მიერ გამრე-  
კელ თორელისათვის გაწეული დახმარების შესახებ. ამიტომ, კახა, რომელთა-  
ნაც ბექა კეთილმოყვრობის წიგნსა სდებს, შეიძლება გამრეკელის შვილი და  
კახა ერისთავთ-ერისთავის შვილი-შვილი იყოს.

აკადემიკოსმა ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ მ ა გადმოიტა მას მიერ სოფ. ხოვლეს  
ახლოს, ზესხევის თევდორეს ეკლესიიდან გადმოღებული ნაფხაქნი წარწერები  
(ე. წ. სგრაფიტი), რომლებიც, შიგ მოხსენებული სახელების მიხედვით, XIV ს-ის  
დამდეგით შეიძლება დათარიღდეს. წარწერები ყველა ერთი ხელითაა გაკეთე-  
ბული. აკად. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს სიტყვით, ეს ხუცური მთავრული დამწერლობა  
ჯავახურია, იმასა ჰგავს, რომლის ნიმუშებიც ივ. როსტომაშვილს მოჰყავს  
თავისი მოგზაურობის აღწერილობაში<sup>1</sup>. საინტერესოა ეს წარწერები იმით, რომ  
შიგ მოხსენებულნი არიან ჯაყელები და მარუშიანი, რაც ჩვენ უკვე აღარ გვაკვირ-  
ვებს, არამედ გვიდასტურებს იმას, რაც ზემოთ ითქვა სამძივართა ნათესავური  
დამოკიდებულების შესახებ ამ ორ გვართან.

წარწერები შემდეგნაირად იკითხება<sup>2</sup>:

ეკლესიის SO-კუთხეში გარედან ჩასმული ქვის O-მხარეზე:

1. „იშულნ მისცენ ზენრ ლო ყორყრს“

ე. ი.: „შვილნი(ი) (იშვილენ?) მისცენ, ზენარ(ი) ღმერთო, ყორყორეს“.

2. „ქორცკს შნ ღნ ივენეს ღნ“

ე. ი.: „ქურციკს შეუნდვენ ღმერთმან, ივანეს (შეუნდვენ) ღმერთმან“.

3. „პტრონს თამარ აღღევრძლე ლო

4. ჩემნი ცდენ მოყრნ ესე მამოლი გო.

5. თავე და მტერნი დსცნ თმრისნი“

ე. ი.: „პატრონს თამარ(ს) აღღევრძლე, ღმერთო. ჩემნი ცოდვანი(ი) მო-  
ყუარენი(?). ესე მამული გაუთავე და მტერნი დასცენ თამარისნი“.

იმავე ქვის S-მხარეზე:

<sup>1</sup> ეს დამწერლობა საკმაოდ თავისებურია: იხ. ი. ვ. როსტომაშვილის ნახსენ. შრო-  
მაში ნიმუშები შემდეგ გვერდებზე: 29, 31, 35, 39 და სხვ.

<sup>2</sup> განსვენებულმა აკადემიკოსმა თავაზიანად ნება დამართო ამ წარწერების გამოცემი-  
სათვის. სამწუხაროდ, ისინი ჯერ, ეტყობა, თავიდანვე ნაჩქარევად და დაუდევრად იყო გა-  
კეთებული და მერმე კი დროთა ვითარებისაგან და ადამიანის ხელით ძალზე დაზიანებუ-  
ლა, ისე რომ მრავალი სიტყვა აღარ იკითხება. სწორ ფრჩხილებში ჩასმულია ის, რის ნაკვა-  
ლევითც კიდევ განიჩევა, მრგვალ ფრჩხილებში—ჩანამატი, აზრის მიხედვით.

1. „მალდელ[მ]ოლზონს (sic) ავგროზს /// /// /// ///“

2. „///ს შნ ღნ“

3. „/// ოლასა კ[ლ] შესნბოლის მაროშიანისა შნ ღნ ///“

ე. ი.: „მალდელ[მ]ოლაზონს ავგაროზს — შეუნდვენ ღმერთმან. [აღბ]ულასა კ[ლ](?) შესუნებულის მაროშიანისა, შეუნდვენ ღმერთმან“.

4. „/// /// /// /// ნებლსა როდანსა (sic) შნ ღნ ბასილს შნ ღნ ქობოლს-ძეს /// /// ///“

ე. ი.: „— [შესუე]ნებულსა როდანსა შეუნდვენ ღმერთმან, ბასილს შეუნდვენ ღმერთმან, ქობოლისძეს [შეუნდვენ ღმერთმან]“.

ამ ქვის გვერდით მოთავსებულ ქვაზე:

1. „|კ|ტრონსა ამრსპსრლს (sic) აღ[ბ]ლს|“

2. // გ//მარჯოს ნ(?)ამარვლ მი

3. /// ღნ ჩემნ ცღვნი მუ(?) ნყრნი(?) ყმ“. აქ თითქმის შხოლოდ იმის გაგება შეიძლება, რომ იხსენიება პატრონი ამირ-სპასალარი აღბულა.

4. „/// შნ ღნ სრგის შნ ღნ ბექას შნ ღნ“

5. შლვს შნ ღნ შვლნ ყოვლ ჩა

6. ძოლთ ახლთ შნ ღნ“

ე. ი.: „— შეუნდვენ ღმერთმან, სარგის(ს) შეუნდვენ ღმერთმან, ბექას [შეუნდვენ ღმერთმან, შალვას შეუნდვენ ღმერთმან, შვილთა (შვილნი?) ყოველ(თა) ჩემთა ძუელთ(ა) (და) ახალთ(ა) შეუნდვენ ღმერთმან“.

როგორც აკად. ჯავახიშვილი შენიშნავს, აღბულა მოხსენებულია 1259 წლ. რკონის სიველში, <sup>1</sup> ხოლო ბექა, სარგის და ყვარყვარე ჯაყელნი იხსენიებიან 1300 წლ. ახლო დროის ზემოხსენებულ კეთილმოყვრობის წიგნში <sup>2</sup>.

როგორც ეტყობა, XIII ს-ის დამლევს და XIV-ის დამდეგს სამძივართა საგვარეულოში (უკეთ, ამ საგვარეულოს იმ შტოში, რომელიც დამკვიდრებულა თემის ხეობაში) შემოდის სახელი ჯავახი და შეიძლება უკვე XIV ს-ის პირველ ნახევარში ისინი იწოდებოდნენ ჯავახიშვილებად <sup>3</sup>.

სამძივართა გენეალოგიური შტოს შედგენა ჯერ-ჯერობით ნაადრევი იქნებოდა. უნდა დავეყრდნობოდეთ იმას, რის თქმაც შეიძლება ამ უამად ჩვენ ხელთ მყოფი საბუთების მიხედვით <sup>4</sup>.

<sup>1</sup> თ. ყორღანიას გამოც. „ქრონიკები“, II, 133, 134.

<sup>2</sup> საქ. სიძვ., II, 7.

<sup>3</sup> სახელი „ჯავახი“ XIV ს-ზე გაცილებით უფრო ძველია (იხ. ნ. მარის გამოც. ჯვარის მონასტრის აღაპებში № 18. საცა იხსენიება აფაქის ძე ჯავახი (მინაწერი ძველი ხელითა ვაკეთებული). შემდეგ შდრ. იქვე № 127 და 195, საცა იხსენიება თორელი ჯავახი და გვ. XXVI, № 15—ჯავახი ქილას ძე).

ჯავახის შვილი გამრეკელი გვხვდება უკვე 1306 წლ. ქვეშ (ქცა, 648/928); ეს იგივე გამრეკელი უნდა იყოს, რომელიც იხსენიება 1345 წლ. წყალობის წიგნში (საქ. სიძვ., II, 10). მეორე მხრით, უკვე 1338 წლ. (ე. თაყაიშვილის ვარაუდით) წყალობის წიგნში გვხვდება თორელი ჯავახიშვილი (და არა ჯავახის შვილი) ივანე (იქვე, 8—9), რაც თითქოს მიგვითითებს იმაზე, რომ ეს სახელი გვარადაა ქვეული. თუ აქ გამომცემელმა შეცდომა არ დაუშვა.

<sup>4</sup> ს. კაკაბაძე (იხ. მისი „წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის“, წიგნი I, თბ., 1914, გვ. 58—65; თორელთა გვარეულობის შესახებ) ჰფიქრობს, რომ თორელები მკარგრძელთა გვარისანი არიან. ამისათვის მას ორი საბუთი მოუპოვება: I. ერთი ის, რომ კი-

\* \* \*

ამ საკმაოდ გრძელი ისტორიული ექსკურსის შემდეგ დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს მოგზაურობას.

თათრებით დასახლებულ სოფ. ჰამამლუში მისასვლელად საჭიროა მდ. ყარა-სუზე გადასვლა<sup>1</sup>.

ყარა-სუ სამხრეთიდან მოდის, ხოლო დასავლეთიდან ამ ადგილას მას ერთვის მეორე წყალი, რომლის მარცხენა ნაპირას, შესართავის ახლოს; მდებარეობს სოფელი. შიგ სოფელშიც არის ნანგრევი თლილი წითელი ქვით ნაგები ერთნაგიანი საშუალო ზომის ეკლესიისა. დაცულია მხოლოდ მისი ჩრდილო-კედელი, რომელშიც ოთხიოდე ორნამენტირებული ქვის ნატეხი ჩანს. აქვე პატარა ძველი სასაფლაოცაა.

### VII. ქვემო და ზემო ოროზმანი<sup>2</sup>

თათრებით დასახლებული ქვემო-ოროზმანი მაშავერის მარჯვენა შემდინარე მაჰმუდლი-დარიაზე მდებარეობს და 5 კილომეტრითაა დაშორებული ბაშქიჩეთს სამხრეთისაკენ. აქ დგას საკმაოდ მდარედ ნაგები პატარა ერთნაგიანი ეკლესია. ორნამენტი ან წარწერა არა ჩანს. მხოლოდ დასავლეთის კედელში გარედან ჩასმულს ერთ ქვაზე განიარჩევა რამდენიმე ქართული შაჰავრული ამოკოდვილი ასო, მაგრამ წარწერა აქ მაინც არ უნდა ყოფილიყო. პატარა სასაფლაოზე ეკლესიის გარშემო არის ძველი საფლავის ქვები (უნაგირიანი ცხენი, ვერძი).

ზემო-ოროზმანი ორიოდე კილომეტრითაა დაშორებული ქვემოს. აქაც თათრები სახლობენ. აქ დგას თლილი ქვით ნაგები ერთნაგიანი მცირე შენობა, კარგად დაცული. აღსანიშნავია ზოგიერთი მეტად დიდი ზომის საპირე ქვა.

რ ა კ ო ს გ ა ნ ძ ა კ ე ლ ი ს ცნობით ვარამ გაგელის ბიძას, სარგის მკარგრძელს. შვილები ჰყავდა შალვა და ივანე (იხ. *ჟაითიქისუ ჯაიყ, არარხაქ ზქრასიიქ ქარყაყისიქ ზანაპახყე-ლი, შქიქისუ*, 1909, გვ. 154=მ. ბ რ ო ს ე ს ფრანგული თარგმანის გვ. 82). მაგრამ არსაიდან არ ჩანს, რომ ეს შალვა და ივანე, რომლებიც, ბ რ ო ს ე ს სიტყვით, სხვაგნით სრულებით უცნობნი არიან. მაინც და მაინც შალვა და ივანე ახალციხელები იყვნენ. პირიქით. კ ი რ ა კ ო ს ი ს ა გ ე მეორე ცნობა. გარნიისის ომის შესახებ, სადაც ის წინამბრძოლად იხსენიებს ქართველთა მთავარს შალვას და მის ძმას ივანეს (იქვე, გვ. 212=ფრანგ. თარგმ. გვ. 112). ე. ი. ახალციხელებს, ამტკიცებს, რომ ამ უკანასკნელთ სარგისის შვილებთან საერთო არა უნდა ჰქონდესთ რა: ავტორი ამ ადგილას ისე იხსენიებს ამ ძმებს, რომ ცხადია, რომ იგი აქ პირველად დაპარაკობს მათზე. მკითხველისათვის ისინი ჯერ უცნობად არიან ნაგულისხმევი; 2. მეორე საბუთი ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს ა თამარის ისტორიკოსის ერთი ცნობაა, რომელიც ასე იკითხება: „მაშინ უბრძანა (თამარ მეფემ) ამირ-სპასალარსა გამრეველსა, ო თ ხ თ ა ვ ე მ კ ა რ გ რ ძ ე ლ თ ა და ს ხ უ ა თ ა თ ო რ ე ლ თ ა ზემოთა და ქვემოთა წარსლვა და მიგებება წინა (გიორგი რუსისა) ქვეყანასა ჯავახეთისასა“ (ქცა. 428 (652). „და სხუათა თორელთა“ რახან სწერია, ცხადია. მკარგრძელნიც თორელნი და აქედან თორელნი მკარგრძელნი უნდა იყვნენო. ნამდვილად ტექსტი აქ დამახინჯებული უნდა იყოს. თავდაპირველად, ალბათ, ასე იქნებოდა: ... „ოთხთავე მკარგრძელთა, ამირ-სპასალარსა გამრეველსა და სხუათა თორელთა“... და შემდ. ამ დროის მკარგრძელები კარგად არიან ცნობილი და თორელებთან მათ საერთო არა აქვსთ რა.

<sup>1</sup> გამყოლს დაავიწყდა ეჩვენებინა ჩემთვის ამ ადგილას, მისი სიტყვით, რაღაც საინტერესო ძველი. აღწერილობის მიხედვით, აქ თითქოს ქვაჯვარი უნდა იდგეს.

<sup>2</sup> 1721 წლ. ხალხ. აღწ. დავთარში შეტანილია „ორზმანი“ (გვ. 356—357). ვ ა ხ უ შ ტ ი ს რუკაზე დატანილია „ორმოზანი“ (თუ აქ უბრალო კორექტურული შეცდომა არაა).

აღმოსავლეთი კედლის სარკმლის ამჟამად შექმნილი ყოფილა ჩუქურთმით, რომელიც ძალზე გადარეცხილია. სხვა ორნამენტი ან წარწერა არ მოიპოვება. ეკლესია რამდენიმე მეტრით შემალღებულ კლდეზე დგას. კლდეში გამოკვეთილია დარბანი, რომელიც შიგნითაც დავათვალიერე. აქ რამდენიმე ვიწრო გვირაბი მიდის ღრმად, რომელთაგან ერთი ვითომ თვით ეკლესიაში აღის, მეორე კი ერთ მალალ მთაზე, რომელიც ოროზმანს ჩრდილო-დასავლეთიდან გადმოჰყურებს.

ეკლესიის გარშემო მცირე სასაფლაოა ძველი საფლავის ქვებით (არის გამოქანდაკებული ვერძი, აქლემი? და სხვ.). ერთ პატარა ქვას მხედრულად აწერია:

„ქ: სეხნიას ქალი:| თინა“.

წარწერის გარშემო ლამაზი ჩუქურთმაა.

იმ გორაზე, რომელზედაც ვითომ გვირაბი აღის ეკლესიიდან, რევოლუციამდე, გადმოცემით, რუსის ჯარი მდგარა. ყაზარმების გასაშენებლად მიწის თხრის დროს წასწყდომიან თურმე ძველ შენობებს, მრავალი დახატული ქვა ამოულიათ და ვითომ დიდი სიმდიდრეც წაუღიათო. ეს უკანასკნელი ამბავი, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივი არაკი იქნება. მაგრამ რომ იმ გორაზე მართლაც რაღაც, ძველი და ალბათ საინტერესო ნაგებობა უნდა მდგარიყო, ეს შეიძლება დავასკვნათ იმ ჯვრიანი ქვის მიხედვით, რომელიც სრულებით შეთხვევით აღმოჩნდა ზემო-ოროზმანელი ერთი გლეხის სახლში და რომელიც მას სწორედ იმ მთიდან წამოეღო<sup>1</sup>. გვიანდებოდა და მთაზე ასვლა იმ დღესვე აღარ შეიძლებოდა, მერმე კი აღარ მოვხვედრივარ იმ ადგილებში.

ეს ქვა<sup>2</sup> ბოლნური მედალიონის მეტად საინტერესო ვარიანტს წარმოადგენს (ტაბ. XV, სურ. 29). სამწუხაროდ, მას ერთი ნაწილი ჩამოტეხილი აქვს. მაინც, რადგან იგი ორმხრივ საღადაა დაცული, მისი მთლიანი ზომების აღდგენა შესაძლებელია. ესაა რბილი და მსუბუქი წითელი თირის თითქმის კვადრატული ლორფინი, სიგრძით 0,215 მ., სიგანით 0,21 მ. და სისქით 0,09 მ.. მისი ყველა პირები გათლილია. ცალ პირზე გამოსახულია მრგვალ ჩარჩოში ჩასმული ჯვარი, დანარჩენი პირები კი გლუვადაა დატოვებული.

ჩარჩო წარმოადგენს ორ კონცენტრულ წრეს, რომელთა საღტეები გლუვი და მრგვალი რელიეფითაა გამოყვანილი. გარეწრის დიამეტრი = 0,20 მ-ს, შიდაწრისა = 0,145 მ-ს.. წრეებშორისი ოლე შევსებულია ფრჩხილისებური რელიეფური, ხშირი მრუდებით, რომელთა კიდეები ცერადკვეთითაა ამოღებული. ჩარჩოში ჩასმული ტოლმკლავებიანი ჯვარი აგრეთვე ცერადკვეთითაა დამუშავებული. იგი ერთკანტიანია. მახვილი ოვალები ჯვარის ჩაზნექილ კიდეებსა და ჩარჩოს შორის ღრმული კი არაა, არამედ ამოვსებულია ნუში-სებური, მახვილწიბოიანი, ცერადკვეთით დამუშავებული რელიეფით. ჯვარის მკლავებშორისი უბეები კი ამოვსებულია ჩვეულებრივი „ფოთლებით“, მაგრამ წიწვოვანი ქდეები აქ ამოღებულია ღრმად და ცერადკვეთით. ტექნიკურის

<sup>1</sup> რისთვის წამოეღო, ვერ გავიგე. ქვა მისი ეზოს ყორეში იყო ჩადგმული. გლეხმა უყოყმანოდ მიჩვენა იმ გორაზე, საიდანაც ქვა ჩამოუტანია. ამასთან აღსანიშნავია, რომ მან არ იცოდა, რომ სხვებს ჩემთვის უკვე ნაამბობი ჰქონდათ იქ აღმოჩენილი ნაშთების შესახებ.

<sup>2</sup> იგი ჩამოტანილია თბილისში და ამჟამად ინახება შ. რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმში.

თვალსაზრისით ორნამენტი საუცხოვოდაა შესრულებული, ძალიან სუფთა და ამასთან თამამი ხაზებით. განსაკუთრებით დამახასიათებელია და სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს ყველგან გამოყენებული ცერადკვეთილობა და ღრმად ამოღებული კედები. თუმცა ეს მედალიონი სადაა, მაინც თავისი სილამაზით იგი შეიძლება გვერდით ამოუდგეს ბოლნური მედალიონების ისეთ საუკეთესო ცალებს, როგორცაა ვარსკენ ნახაპეტის ჯვარი, უკანგორის როზეტიანი მედალიონი და თეკენების პალმეტებიანი ჯვარი.

ჩვენ უკვე საკმაოდ დაგვიგროვდა მასალა ბოლნური მედალიონის შესახებ, რათა მიზანშეწონილად ჩაითვალოს ერთგვარი შეჯამების მოხდენა. საბოლოო დასკვნების გამოტანა ჯერ ნაადრევია, მაგრამ ზოგიერთი მოსაზრების გამოთქმა მაინც შეიძლება.<sup>1</sup>

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ეს თავისებური ორნამენტი ჩვენს რაიონში უდავოდ უძველესი ქართული კულტურის ნაკვალევს წარმოადგენს. სხვადასხვა ადგილას აღმოჩენილი წარწერიანი ცალების მიხედვით ცხადი ხდება, რომ ეს ორნამენტი ქართული ხელოვნების ნაწარმოებია. ასეთი წარწერიანი ცალების მთელი რიგი გვაქვს ბოლნისში<sup>2</sup>, ერთი ცალი გვაქვს სამწევრისში<sup>3</sup> და ერთიც უკანგორში.<sup>4</sup>

ამ ორნამენტის გეოგრაფიული გავრცელების არე შემდეგნაირად შეიძლება შემოიხაზოს (იხ. რუკა, ტაბ. XVI): იგი გვხვდება ბოლნისის ხევში (ბოლნის-ქალაქის მთავარი ტაძარი<sup>5</sup>, ბოლნისის სიონი<sup>6</sup>, სამწევრისი<sup>7</sup>), ბალიქის ხევში (ბალიქები<sup>8</sup>) დამბლუტის ხევში (მარაბდა, უკანგორი)<sup>9</sup>, მაშავრის ხევში (კიახეთი, აბულბუგი, თეკენები)<sup>9</sup>, მაჰმუდლი-დარიას ხევში (ოროზმანის ახლოს).

ამგვარად, ამ ორნამენტის გავრცელების არე მაშავრის სისტემას არ სცილდება და ისიც, რამდენადაც ჯერ-ჯერობით ჩანს, შეიძლება ითქვას, არსებობდა ამ მდინარის ჩრდილოეთით არ გადადის (მართალია, კიანეთი და აბულბუგი ჩრდილოეთით მოდის, მაგრამ ისინი ზედ აკრავს მაშავრის მარცხენა ნაპირს). აღმოსავლეთით უკიდურეს საზღვარს წარმოადგენს ბოლნის-ქალაქი (ბოლნის-ქათანაქჩი), ე. ი., არსებითად, ფოლადაურის შესართავი, დასავლეთით კი—კეჩუთის მთის აღმოსავლეთი კალთები (ოროზმანის ახლ.), სადაც მაშავრის სათავეები იმყოფება.

<sup>1</sup> რადგან წინამდებარე ტექსტი სტამბაში უკვე აწყობილი იყო. მე აღარ შემეძლო ანგარიში გამეწია იმ მოსაზრებათათვის, რომლებიც ამ ორნამენტის შესახებ გამოთქმული აქვს პროფ. გ. ჩუბინაშვილს თავის ახლად გამოსულ „ბოლნისში“ (ენიშვილი-ს „მოამბე“, IX, თბ., 1940 წ.).

<sup>2</sup> იხ. ჩემი „ბოლნისი“, გვ. 325, სურ. 11, გვ. 328, სურ. 12, გვ. 330, სურ. 14, გვ. 331 სურ. 15 (და აგრეთვე ენიშვილი-ს „მოამბე“, IX, გვ. 101—102 და სურ. 75 და 76).

<sup>3</sup> იქვე, გვ. 336, შენ. 1 (წარწერა აქ, მართალია, ამოტეხილია, მაგრამ იგი უთუოდ ქართული იყო).

<sup>4</sup> იხ. აქვე ტაბ. III, სურ. 4.

<sup>5</sup> იხ. ჩემი „ბოლნისი“, გვ. 323.

<sup>6</sup> იქვე, ზემოთნახსენები სურათები და გვ. 338, სურ. 18.

<sup>7</sup> იხ. ზემოთნახსენებ ადგილას.

<sup>8</sup> იხ. ჩემი „დმანისი“, გვ. 328, შენ. 5.

<sup>9</sup> იხ. აქვე ზემოთ.

სამხრეთით ჩვენ ეს ორნამენტი გვხვდება საკმაო დაცილებით ბოლნის-  
დმანისის რაიონიდან სომხეთში, სახელდობრ, ანისის რაიონში — ერერუიქსა და  
ტეკორში<sup>1</sup>. ეს უსათუოდ მიგვითითებს იმ გზაზე, რომლითაც ეს მედალიონი ჩვენ-  
ში შემოვიდა. მართლაც, ი. სტრიგოვსკი ამბობს<sup>2</sup>: სომხეთის უძველეს ეკ-  
ლესიებში, მაგ., ელევარდსა და ერერუიქში, წრე, ამოვსებული სიმეტრიული  
ბერძნული ჯვარით<sup>3</sup> ან ვარსკვლავით, შეადგენს, კერძოდ, სამხრეთი შესავლე-  
ბის ბალოავრის შემკულობის მთავარ მოტივს. ეს მოტივი განსაკუთრე-  
ბით დამახასიათებელია სირიისათვის, სადაც იგი ასობითაა წარმოდგენილი მრ-  
ვალნაირი ვარიაციებით და იქაც, როგორც ცვა-ფარვითი ნიშანი, ტაძრების კა-  
რების კოქებს ამკობს. სირიაში იგი, უეჭველია, არაელინისტური ნაკადიდან  
წარმომდინარეობს, რომლითაც გამსჭვალულია სირიული ხუროთმოძღვრება და  
რომელიც ძველი აღმოსავლური მოტივების გამოყენებას განაგრძობს ქრისტი-  
ანობაშიც<sup>4</sup>.

ამგვარად, ჩვენი ბოლნური მედალიონი ახლო აღმოსავლეთის უძველესი  
ორნამენტიკის კომპლექსში შედის.

სირიულ მედალიონებს რომ დავაკვირდეთ, რომლებიც იქაც განსაკუთრე-  
ბით V და VI საუკუნეების ძეგლებზე გვხვდება, ჩვენ ვნახავთ შორეულ ნათე-  
სავობას ქართულ მედალიონებთან და დიდ სხვაობას როგორც ორნამენტის ისე  
ტიქნიკის მხრითაც. H. C. Buttler-ს მთელი ტაბულა აქვს შედგენილი ამ სი-  
რიული დისკოების ტიპებისა, რომელზედაც რამდენიმე ათეული ნიმუშია წარმო-  
დგენილი<sup>5</sup>. აქედან მხოლოდ ორი ცალი შორეულად ემსგავსება ჩვენს მედალი-  
ონებს:

№ 12. (ტაბ. XV, სურ. 30). ჯვარი ჩასმულია ორ კონცენტრულ წრეში. იგი  
ტოლმკლავებიანია და ფართო კიდებიანი. მაგრამ მკლავების გულები ამოულე-  
ბელია, გლუვად და პრტყლადაა დატოვებული<sup>6</sup>, მათი გვერდებიც შეზნექილი  
კი არ არის, არამედ სწორია და სადა. კიდები გაცილებით უფრო ვიწროა  
ვიდრე ქართულ ცალებზე და თან მათი ნაპირები მომრგვალებით კი არაა ამო-  
ჭრილი, არამედ კუთხურად. ამიტომ ჯვარის კიდებსა და ჩარჩოს შორის ოვა-  
ლები კი არ იქმნება და ჯვარის მკლავებშორისი უბეებიც სფერული სამკუთ-  
ხედის მოყვანილობისა კი არაა, როგორც ჩვენთან, არამედ იქაც და აქაც შუა-  
არე წარმოადგენს სადა სამკუთხედებს, რომელთა მხოლოდ ერთი (ჩარჩოს) გვერ-  
დი არის ამოზნექილი. მკლავებშორისი უბეები დატოვებულია სადად, ოღონდ შიგ  
ჩასმულია მრგვალი პატარა ღილები<sup>6</sup>. წრეები უბრალო ნახაზს წარმოადგენს.

<sup>1</sup> იხ. Strzygowski, *Baukunst der Armenier*, Bd. I, S. 413, Abb. 442, S. 414, Abb. 443, S. 323, Abb. 368. როგორც ხეშემატ ალენიშნე. ტეკორის მედალიონი სურათზე კარგად არა ჩანს.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 414.

<sup>3</sup> ტექსტში დაბეჭდილია: „Das Rund, gefüllt mit dem gleichmässigen griechischen Kranz“.. მე მგონია, აქ კორექტურული შეცდომაა და უნდა ეწეროს „Kreuz“ და არა „Kranz“. ბერძნუ-  
ლი ჯვარი ჰერალდიკაში ტოლმკლავებიან ჯვარს ეწოდება.

<sup>4</sup> H. C. Buttler, *Architecture and other Arts*, II, N.-J., 1903, p. 33, Types of Disks. ამ წიგნზე მიმითითა პროფ. გ. ჩუბინაშვილმა, რისთვისაც დიდად ვმადლობ.

<sup>5</sup> სხვა ჯვრების მკლავების გულები სადა წიბოიანია.

<sup>6</sup> შეესატყვისება ზოგიერთი ჩვენებური ჯვარის მკლავებში ჩასმულ ბურთულებს.

წრებში მორისი ოლე ამოვსებულია ზიგზაგით, რომელიც მოგვაგონებს ჩვენი მედალიონების სამკუთხედებთან მწკრივს. ჯვარი, ღილები და ზიგზაგი გამოქანდაკებულია, მაგრამ რელიეფი მეტად თხელია და უფრო ნახაზსა ჰგავს.

№ 24 კიდევ უფრო შორეულ ანალოგიას წარმოადგენს. აქ ტოლმკლავებიანი ჯვარი ჩასმულია სამ კონცენტრულ წრეში, რომელთა შორისი ოლეები ამოვსებულია დაფნის გვირგვინით, რაც „ვარსკენ ნახაპეტის“ მედალიონის ხორს მოგვაგონებს. ჯვარის მკლავებს შორის ჩაწერილია ბერძნული მთავრული A და Ω, რაც ჩვენ აბულბუგის მედალიონზე შეგვხვდა. საზოგადოდ, ეს A და Ω ხშირად გვხვდება სირიულ სხვა მედალიონებზეც (იხ. იქვე №№ 21 და 26). ამიტომ, შესაძლებელია აბულბუგის მედალიონზე ნაფხაქნი ასოებიც ძველი იყოს. სხვათვრთვ № 24-ის როგორც ჯვარს ისე ჩარჩოს ქართულ ცალებთან საერთო არა აქვს რა.

დანარჩენი დისკოები სხვა სახეებითაა შევსებული და ზოგი მათგანი ამა თუ იმ დეტალით აგრეთვე უახლოვდება ქართულ მედალიონებს: ასე, მაგ., № 15-ის ჩარჩო ღრმული სამკუთხედების მწკრივს წარმოადგენს, № 25 მოგვაგონებს უკანგორის როზეტიან ცალს, თუმცა აქაც მსგავსება ძალიან შორეულია, და ა. შ. მაგრამ მთავარი მაინც ეს არ არის. როგორც უკვე აღვნიშნე, სირიულ მედალიონებზე რელიეფი საზოგადოდ ძალიან თხელია და არსებითად ნახაზს წარმოადგენს. ეს ეტყობა როგორც ჯვრიანს, ისე სხვა სახეებიან მედალიონებს; მხოლოდ სამიოდე ცალი გვიჩვენებს შედარებით მაღალ რელიეფს (№№ 9, 13, 14). შემდეგ: სირიულ მედალიონებზე ცერადკვეთილობა სულ არ გვხვდება და ყველგან, ორიოდე ცალის გამოკლებით, რომლებზედაც მთელი არე ბრიალა ორნამენტს უჭირავს (№№ 1 და 3), მკაფიოდ განიჩევა ცარიელი პრტყელი მიწა და ზედ გამოყვანილი („დახატული“) სახე. ეს გარემოება მაშინვე თვალში ეცემა ადამიანს ქართულ ნიმუშებთან შედარების დროს. საცა რელიეფი ასეთ მკვეთრ ხასიათს ატარებს, ცერადკვეთილობა ასეთი ხშირია და ყველა უბეებიც შევსებულია, რის გამოც აქ შეუძლებელი ხდება მიწისა და სახის გარჩევა, მიწა, არსებითად, გაუქმებულია. შემკულობა სირიული მედალიონებისა შედარებით სადაა და საზოგადოდ მთელი ორნამენტი იქ, განსაკუთრებით თუ მხედველობაში ეიქონიებთ მხოლოდ ქართული ნიმუშების ანალოგიურ ცალებს, გაცილებით უფრო ღარიბი, უფერული და, შეიძლება ითქვას, განუვითარებულია. პირიქით, ბოლნური მედალიონი სავსებით ჩამოყალიბებული, დასრულებული სახისაა. ამ ორნამენტს უკვე ვეღარაფერს შეჰმატებთ და ვერც ვერაფერს დააკლებთ. მასში ჩამარხული, ა. ვ. იმანენტური განვითარების შესაძლებლობა აქ ამოწურულია, უკიდურესობამდე მიყვანილი. ზოგიერთი ცალი, როგორც, მაგ., უკანგორის როზეტიანი მედალიონი და ოროზმანისეული ჯვარი, საკვირველის თანამიმდევრობით გატარებულს მრუდების მთელ სისტემას წარმოადგენს. სწორი ხაზები აქ თითქმის არ მოიპოვება, ან მხოლოდ მეორე ხარისხოვანი სახეებისთვისაა გამოყენებული<sup>1</sup>, რაც, განსაკუთრებით თუ გავიხსენებთ რომ წრეხაზები ფარგლის საშუალებით კეთდებოდა, უეჭველია, სიმშრალის შთაბეჭდილებას მოახდენდა, მაღალი რელიეფი, ცერადკვეთილობა და ლამაზი კომ-

<sup>1</sup> სირიულ ჯვრებს, პირიქით, სწორედ სწორხაზოვანობა ახასიათებს. მოყვანილობით ჩვენებურს უფრო უახლოვდება ის ჯვარი, რომელიც გამოხაზულია ათინის აკროპოლში ს ტ რ ი გ ო ვ -

პოზიციები რომ არ ასწორებდეს ამ ნაკლს. ფართოდ და თამამად მოხაზული მონუმენტები, მიზანშეწონილად, მოფიქრებით შევსებული უბნები, ზომიერად მაღალი რელიეფი, დაქანებული ზედაპირები და ცერადკვეთილი სიპრტყეები, რომელთა საშუალებითაც შუქ-ჩრდილების ცხოველი თამაში წარმოიქმნება, დაბოლოს, რთული ორნამენტული კომპოზიციებიც<sup>1</sup>, ამჟღავნებს დიდი მხატვრული გემოვნების და ტექნიკური დახელოვნების მიღწევას, რომელსაც, უეჭველია, ხანგრძლივი განვითარება უსწრებდა წინ.

Buttler-ს მოჰყავს E. Littman-ის აზრი, რომ სირიული მედალიონები ძველ-ბაბილონურ და ასურულ სიმბოლურ გამოსახულებათაგან მომდინარეობს<sup>2</sup>. სტრიგოვსკის ზემომოყვანილი სიტყვებიდან ჩანს, რომ მასაც ეს მოტივი ქრისტიანობის უწინარესად მიაჩნია აღმოსავლეთში. თუ იგი სამხრეთიდანაა ჩვენში შემოსული (და რომ ეს ასეა, ამას, მე ზგონი, მისი გავრცელებულობის არც თვით საქართველოს ფარგლებშიც ნათლად გვიჩვენებს), აუცილებელი არაა, რომ ეს მაინც და მაინც ქრისტიანობასთან ყოფილიყო დაკავშირებული. მართალია, ჩვენში მე არ მახსოვს მაგალითი, რომ ასეთი გამოსახულება ქრისტიანობაზე უფრო ძველს, წინაისტორიულ საგნებზე გვხვდებოდეს, მაგრამ რომ V ს-ში ჩვენ უკვე დიდი ხნის ტრადიციასთან გვაქვს საქმე, ამას, ჩემის აზრით, გვიმოწმებს არა მარტო ამ ორნამენტის სისრულე, არამედ ის მრავალნაირი გამოყენებაც, რომელიც მას ამ დროს ჩვენში აქვს: იგი გვხვდება არა მარტო ეკლესიების შესავლების ბალაგრებზე, როგორც ბოლნისის სიონში, არამედ, როგორც ვნახეთ, ცალკეულ სტელეებზეც, ღორფინებზეც და სვეტებზეც.

სირიაშიც მას მრავალნაირი გამოყენება აქვს (არა მარტო ეკლესიებზე!). დამაფიქრებელია, რომ საქართველოში მხოლოდ ჯვრიანი მედალიონები გვხვდება. მაგრამ მარტო ეს გარემოება არ იკმარებს იმისათვის, რომ ამ მოტივის წარმოშობა ჩვენში პირდაპირ ქრისტიანობას დავუკავშიროთ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს გამოსახულება სარწმუნოებრივ სიმბოლოს წარმოადგენს, მაშინ ისეთ კომპოზიციასში, როგორსაც გვიჩვენებს, მაგ., ვარსკვლავის მრავალნაირი (იხ. ენიშვი-ს „მოამბე“, ტ. III, გვ. 320, სურ. 14 და ტ. IX, გვ.

სკის მიერ ნახულს ერთ-ერთ ქვის ფრაგმენტზე, რომელსაც იგი V—VI საუკუნეებით ათარიღებს (იხ. მისი *Altai-Iran und Völkerwanderung*, S. 75, Abb. 68, S. 76 und 242), მაგრამ აქაც მსგავსება მორთულია.

კარიის მუხებში დაცულ ერთ VI—VII ს-ის ქვის თახჩაში მაღალი რელიეფით გამოქანდაკებულია წრეში ჩასმული ტოლმკლავებიანი და ფართოკიდებიანი ჯვარი (იხ. სურათი O. Dalton-თან, *Byzantine Art and Archaeology*, p. 39 Fig. 21). რომლის მკლავების გვერდები შეზნეულია, ისე რომ მკლავებშიორისი უბნები სფერული სამკუთხედის მოყვანილობისაა, ხოლო მკლავების გულები თითქმის სამფურცელა ბალმეტებითაა ამოვსებული, რომელთა გულები თითქმის ცერადკვეთითაა ამოღებული. ამგვარად, ეს ეგვიპტური ჯვარი კიდევ უფრო უახლოვდება ჩვენსას, მაგრამ განსხვავდება აქაც მაინც დიდი რჩება.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ პატარაში (სირია) ერთ უძველეს ტაძარში მრავალი სარკმელი ისეა ამოტრიალი ქვაში, რომ ალათებს მიცემული აქვს ბოლნური ჯვარის მკლავების მოხაზულობა, რომლებიც ერთად ორი გადაბმული ექვს-ჭიმიანი როზეტის საზეს იძლევიან (იხ. *Vogt's, Syrie Centrale, Pl. 13*, ქვემოთ მარჯვენა სურ.)

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ მედალიონების და ბალმეტების კომპოზიციები, რომლებიც საქართველოში გვხვდება, სირიაში სულ არა ჩანს.

<sup>2</sup> იხ. ნახსენ. ადგ. გვ. 32, შენ. 1.



185, სურ. 113), არ შეიძლება არ დავინახოთ რაღაც გარკვეული კავშირი ჯვარისა (და ეგების მაინც და მაინც ტოლმკლავებიანი და ფართო კიდებიანი ჯვარისა) და მცენარეული რტოის ანუ ხის გამოსახულებათა შორის, კავშირი, რომელიც, მაგ., ძველი ელამისათვის დამოწმებულია ერთი საბეჭდავი ცილინდრით (აქ გამოსახულია ხე ორ მალტურ ჯვარს შორის) <sup>1</sup>, ხოლო საქართველოში შეიძლება იქნას ნაჩვენები ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზედაც, და რომელიც მცენარეულობისა და ნაყოფიერების ანუ აღორძინებული ბუნების ღვთაების ძველ-წინააზიური წარმართული კულტის გარდმონაშთად გვევლინება. <sup>2</sup>

ჩვენი ორნამენტი გაცილებით უფრო მაღალ საფეხურზე დგას, სირიულთან შედარებით. თუ იგი ჩვენში სირიიდან შემოვიდა, რაც სრულებითაც თავისთავად ცხადი არ არის, ეს არ შეიძლება უშუალოდ მომხდარიყო. პირიქით, ყველა ნიშნებით, რაღაც შუალედი ეტაპები უნდა ვივარაუდოთ, რომლებიც ამ მოტივს გაუვლია, სანამ იგი საქართველოს მოაღწევდა. რომ მას თავისი განვითარების გზა თავიდან ბოლომდე საქართველოში გაევიდეს, ეს არ ჩანს, მაგრამ აქ მას, უეჭველია, ორიგინალური დამუშავება განუცდია.

უთუოდ უნდა გაიხაზოს ის გარემოება, რომ ტექნიკა ამ ორნამენტისა, განსაკუთრებით თვით ჯვარის გამოსახულებისა, მასალასთან შეუფარდებელი ჩანს. წარმოუდგენელია, რომ თავიდანვე ასე ემუშავნათ ქვაზე და მოცემული სახის რელიეფი პირდაპირ ქვისმთლელობაში გამომუშავებულიყო. ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ სტრიგოვსკის ცერადკვეთილობა ლითონის დამუშავების ტექნიკიდან გამოჰყავს. ასეთი ტექნიკა ხეზეც, ყოველ შემთხვევაში, გაცილებით უფრო მოსალოდნელია და ბუნებრივი, ვიდრე ქვაზე. ადვილი შესაძლებელია, რომ უძველესი ნიმუშები ჩვენი ორნამენტისა ხეზე ან ლითონზე იყო მოთავსებული და ამიტომ არის, რომ მათ ჩვენ ეხლა ვეღარ ვპოულობთ.

დასასრულ, აღვნიშნავ კიდევ, რომ საქართველოში ამ მოტივის მოგზაურობისა და განვითარების ეტაპების გამოსარკვევად დიდი მნიშვნელობა ექნებოდა არა მარტო ზემოხსენებულ სომხურ ძეგლებზე მოთავსებულ გამოსახულებათა უფრო ნიშანდობლივ შესწავლას, არამედ განსაკუთრებით ტაშირისა და ბამბაკის ძეგლების გამომხეურებასაც, რაც საშუალებას მოგვცემდა ხიდი გადაგვეგდო ბოლნის-დმანისის რაიონიდან სომხეთის შირაკში.

\* \*

ჩვენი მოგზაურობის შედეგად მაშავრის ხეობის ისტორიისათვის შეიძლება რამდენიმე საგულისხმო დასკვნა გამოვიტანოთ.

1. აქ ჩვენ მოგვეპოვება უძველესი ქართული ძეგლები. დიდი მონუმენტური ძეგლების კვალი თითქმის სრულებით წარხოცილია, სამაგიეროდ ყოველ ნაბიჯზე გვხვდება წვრილი ნაშთები, უეჭველი მოწმენი ოდესღაც აყვავე-

<sup>1</sup> იხ. G. Contenau, Manuel d'Archéologie Orientale, t. I. P. 1927, p. 378, Fig. 284.

<sup>2</sup> ამ აზრზე დამაყენა სარა ბარნაველის საინტერესო წერილმა „ხეების თაყვანისცემის ერთ-ერთი გარდმონაშთის შესახებ საქართველოში“, რომელიც ჯერ-ჯერობით ხელნაწერის სახითაა წარმოდგენილი და რომელშიც ციტირებულია, სხვათა შორის, კონტენოს ზემოხსენებული რეპროდუქციაც.

ბული კულტურისა. არქეოლოგიური კვლევა-ძიება ამ რაიონში ჯერ კიდევ მრავალ ახალსა და მოულოდნელს მოგვიტანს. განსაკუთრებით ბევრს უნდა მოველოდეთ არქეოლოგიური გათხრებისაგან.

V და VI საუკუნეების ძეგლების ასეთი სიმდიდრე ჯერ არსად სხვაგან საქართველოში არა გვაქვს<sup>1</sup>.

2. სამაგიეროდ VII—IX საუკუნეები აშკარა ხარვეზს წარმოადგენს. ამ დროის ქართული აღმშენებლობის კვალი აქ სრულებით არა ჩანს. ეს, უეჭველია, უბრალო შემთხვევა არ არის, არამედ დაკავშირებული უნდა იყოს პოლიტიკურ ვითარებასთან, სახელდობრ, არაბთა მფლობელობასთან, როდესაც ქართული კულტურის მაჯისცემა აქ შესწყდა.

თვითონ არაბებს რაიონში თითქმის არავითარი კვალი არ დაუტოვებიათ. მხოლოდ ერთი არაბული ძეგლი შემხვდა ბალიქების ახლოს<sup>2</sup>. მათი კვალი უფრო დმანისში ჩანს, სადაც მათი ამირები ისხდნენ („მეჩითები“, აბანოები და სხვ.)<sup>3</sup>.

X—XI საუკუნეების ქართული ძეგლებიც ჯერ-ჯერობით ნაკლებად ჩანს. გვაქვს მხოლოდ რამდენიმე წარწერა ბოლნისიდან<sup>4</sup>. ზოგიერთი ზემოხსენებული წარწერაც (აბულბუგი, კიანეთი) შეიძლება ამ ხანას ეკუთვნოდეს.

სომხებსაც თავისი ხანმოკლე ბატონობის დროს, X ს-ის განმავლობაში და XI ს-ის პირველ ნახევარში, როდესაც მათი მეფენი სამშვილდეში ისხდნენ, რაიონში აღმშენებლობის კვალი არ დაუტოვებიათ<sup>5</sup>.

3. XII—XIV საუკუნეები, არაბთა განდევნის შემდეგ და ვიდრე თემურის შემოსევამდე, ისევ ქართული ინტენსიური აღმშენებლობის ხანაა. ამ ხანიდან შემონახული გვაქვს როგორც მთელი რიგი მონუმენტური ხასიათის ძეგლე-

<sup>1</sup> როგორც ცნობილია, მაშაერის ხეობა ძველი გუგარკის ფარგლებში შედიოდა. ეს იბერიული ქვეყანა, სტრაბონის გადმოცემით, 190 წლ. ახლ. ქ. წ. სომხებმა დაიპყრეს და მათ ხელში დარჩა იგი თითქოს IV ს-ის შუახანებამდე, როდესაც ის ისევ იბერიას დაუბრუნდა. როგორცა ჩანს, სომხეთის მფლობელობას აქ დიდი გავლენა არ უნდა ჰქონოდა. მაშაერის ხეობაში ამ ხანის სომხური მატერიალური კვალი არ მოიპოვება. H. Hübschmann-ი ჰფიქრობს (Die altarmenischen Ortsnamen, Strassb. 1904, გვ. 239 და 275—276), რომ გუგარკი ეთნოგრაფიულად ყოველთვის იბერიული იყო და რომ ამ მხარის მხოლოდ სამხრეთი ნაწილების (ტაშირის და სხვ.) გასომხება არის საგულგებელი აღნიშნულ ხანაში. არქეოლოგიური ნაშთების მონაცემი სავსებით ადასტურებს Hübschmann-ის ვარაუდს მაშაერის ხეობისათვის. რაც შეეხება ტაშირის, აშოცის და სხვ. გასომხებას, ამას ჯერ კიდევ გამოიკვება სპირდება. საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი აღმოჩენები არმაზში, უეჭველია, გამოიწვევს როგორც გუგარკის ისე მთელი იბერიის უძველესი ისტორიის საფუძვლიან გადასინჯვას, რის შედეგადაც ჩვენ მოგვიხდება, ალბათ, არა ერთი აქამომდე ურყევად მიჩნეული დებულების შეცვლა.

<sup>2</sup> იხ. ჩემი „დმანისი“, გვ. 328, შენ. 5.

<sup>3</sup> იხ. „დმანისი“.

<sup>4</sup> იხ. ჩემი „ბოლნისი“, გვ. 337—342.

<sup>5</sup> ამ მხრით საეჭვოდ რჩება მხოლოდ ერთი ძეგლი, სახელდობრ, თეკნების „შველის ეკლესია“, რომელიც შემდგომ შესწავლას მოითხოვს.

ძველი სომხური მოსახლეობა იყო, როგორც ცნობილია, დმანისში, სადაც მათი ძეგლები XII—XIII ს-ისა ბევრია (იხ. ჩემი „დმანისი“, გვ. 435). შეიძლება სომხური იყოს აგრეთვე სამშვილდის ბაზილიკაც, მაგრამ რაიონში მათი ძეგლები არა ჩანს.

მისა (წულრულაშენი, თევდორ-წმინდანი, ხუჯაბი<sup>1</sup>, კიანეთი, დმანისის სიონის ქარიბჭე<sup>2</sup>, ბოსლების სამება, ჰამამლუ და სხვ.), ისე მრავალი წარწერაც და სხვა ნაშთებიც, როგორცაა საფლავის ქვები, წვრილი განათხარი ინვენტარი და მისთ.

4. XV—XVI საუკუნეებში ამ მხარის მოსახლეობა იცვლება, აქ მიმდინარეობს ძლიერი სომხური იმიგრაცია და მაშინ ჩნდება სომხური ძეგლებიც<sup>3</sup>.

ამ ხანის განმავლობაში, უეჭველია, ქართული აღმშენებლობაც სწარმოებდა ამ რაიონში. განსაკუთრებით საფიქრებელია ეს ალექსანდრეს დროს, თუმცა მე არ შემიძლიან ამ ჟამად არც ერთს XV ს-ის ქართულ ძეგლზე მითითება.

სამაგიეროდ XVII ს-ში, განსაკუთრებით როსტომ მეფის დროს, აქ ისევ ისე დიდი ქართული აღმშენებლობითი და აღდგენითი მუშაობა მიმდინარეობს. მთელი რიგი რესტავრირებული ძეგლებისა, უეჭველია, ამ ხანაში უნდა იყოს შეკეთებული (ზოგი, ალბათ, უკვე ალექსანდრეს დროს შეაკეთეს). შემდეგ, ახალი აღმშენებლობაც უხვად არის წარმოდგენილი ციხე-სიმაგრეების, ხიდების, ქარვაძლების და სხვ. სახით. ასეა XVIII ს-ის შუახანებამდე<sup>4</sup>.

<sup>1</sup> იხ. ჩემი „ბოლნისი“, გვ. 333—337.

<sup>2</sup> იხ. „დმანისი“, გვ. 371—389.

<sup>3</sup> შდრ. ჩემი „დმანისი“, გვ. 328. შენ. 5 (სომხ. წარწერა ბალიკებში) და „ბოლნისი“, გვ. 319—320 (ბოლნის-ხაჩინის ეკლესია და წარწერები), გვ. 334, შენ. 1 (ხუჯაბის საფლავის ქვა), გვ. 336, შენ. 1 (სამწვერისის და თურუნ-ახაერის ეკლესიები და წარწერები). იხ. აგრეთვე იქვე, გვ. 346—349 და 374—375.

<sup>4</sup> შდრ. ჩემი „ბოლნისი“ და „დმანისი“.

# АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ЭКСКУРСИИ В ДОЛИНЕ Р. МАШАВЕРИ

## РЕЗЮМЕ

Настоящая статья является отчетом экскурсий, предпринятых Дманисской Археологической Экспедицией в летние месяцы 1936 и 1937 годов с целью обследования и изучения района древнего города. Район этот, известный в древности под названием Дбанис-Хеви, охватывает почти всю систему р. Машавери, правого притока Храма или Кции.

### І. УКАНГОРИ

Сел. Укангори лежит в ущельи р. Дамблутис-цхали, правого притока Машавери. Здесь сохранились развалины древней церкви. Судя по плану (рис. 1), необычной толщине стен, тяжелой, прочной кладке из крупных каменных плит (рис. 2), затем по неправильной ориентации здания и форме восточного окна, имеющего параллельные боковые стенки, постройка эта должна быть отнесена к древнейшим христианским памятникам Грузии. Параллели ко всем перечисленным признакам находим на армянских и грузинских памятниках, датирующихся в пределах IV—VI веков (Дираклар, Егевард, Ереруйк, Кассах, Аштарак, Гавази, Некреси).

Отсутствие всякого декоративного убранства также может являться признаком глубокой древности укангорийской церкви. Однако здесь было найдено большое количество фрагментов стел и плиток, сохранивших надписи и характерные орнаменты, которые, относясь в большинстве к концу V или началу VI века, позволяют предположить, что и постройку можно точнее датировать именно этой эпохой.

Надписи (рис. 3 и 4) хорошо датируются и палеографически и языковым признакам, имея точно фиксированные параллели из Болниси.

Орнамент из характерных медальонов с крестами (рис. 4, 5 и 6)\*, повторяя известные болнисские и ереруйские образцы, датируется V—VI веками. Медальон этот имеет, обычно, следующий вид: рельефный равносторонний крест, рукава которого имеют вогнутые края и сильно расширяются к концам, вписан в рельефную же круглую рамку. Крест кантован, рукава его выемчаты, причем выемки сделаны косыми срезами. Остро-овальные углубления, образующиеся между вог-

\* Рис. 6-ой дает восстановленный орнамент по рис. 5-му.

нутыми концами рукавов и рамкой, оставлены, обычно, пустыми, а между рукавные пазухи, имеющие вид сферических треугольников, либо также углублены и гладки, либо же выпуклы, профилированы продольным ребром и гравированы «елочкой», так что получается впечатление листьев или же хвойных шишек. Рамка, в которую вписан этот крест, состоит, обычно, из двух кругов. Узкая полоска между ними разбита на ряд противопоставленных полых треугольников, углубленных также косыми срезами.

Орнамент варьируется. При этом рамка показывает больше вариантов, чем самый крест, стоящий иногда на низкой подставке и украшенный в тяблах шариками. Нужно заметить, что укангорийские камни представляют чрезвычайно интересные и своеобразные варианты этого орнамента и ряд композиций его с пальметками и проч., имеющих большую научную ценность. Для краткости называю этот медальон Болнисским.

Один камень с грубо выполненным барельефом павлина (рис. 7), представляет из себя, вероятно, часть капители. Рисунок птицы с шарфом на шее находит себе аналогии в изображениях птиц и других животных на сасанидской серебряной посуде, персидских, византийских и западно-европейских шелковых тканях и т. д. Мотив с шарфом, происходящий от головного убора сасанидских царей, был очень распространен в VI—XII веках. Архаичность укангорийского камня и его орнамента заставляет отнести его скорее к началу означенного периода.

Два других барельефа с фигурными, тоже довольно грубыми изображениями (рис. 8), судя по деталям костюма, находящим себе аналогии на известных джварских барельефах VI—VII веков (рис. 9: накидка с неиспользованным, быть может фальшивым рукавом, мягкие полусапожки с острыми носками и раструбы на ногах) и на одной армянской стеле V—VI веков (Baltrusaitis, табл. LXX:115: в особенности вырезанный скобкою подол платья), являются тоже очень древними памятниками. На V—VI века указывают и остатки надписи на одном из них.

Все эти камни, кроме капители с павлином, представляют из себя либо надгробные памятники, либо памятные плитки, в свое время, вероятно, заложенные в стены храма, как это мы наблюдаем в Болниси.

## II. ОТ ДМАНИСИ ДО КВЕШИ

На этом маршруте, по левому берегу Машавери, лежит ряд мелких памятников.

Против сел. Баличи сохранились остатки маленькой однефной церкви Абулбуги. Здание носит на себе явные следы позднейшей реставрации. В виде наличника восточного окна использован древний камень с грузинской надписью заглавными буквами хуцури. Надпись

не поддается чтению, но палеографически должна быть отнесена к XI—XII векам. В западной стене снаружи вделан камень с болнисским медальоном с крестом; под крестом вырезаны греческие заглавные А и Ω.

Немного ниже Абулбуги стоят два маленьких однонефных здания, т. н. Орсакдреби. Одно из них ничего интересного не представляет, другое же, лежащее у самого края шоссе, любопытно рядом орнаментированных камней, вделанных в его стены снаружи. На одном из них изображена волнистая виноградная лоза. Этот мотив был очень распространен в древнейший период как грузинской, так и армянской архитектуры (Бана, Джвари, Мартвили, Болниси, Гари, Мастара, Звартноц) и, насколько мне известно, в Грузии не применялся позднее VII века \*. Виноградная лоза стилизована геометрически, художник не считается с натуральным видом растения, он заботится лишь о заполнении данного поля и о соблюдении симметрии, перенимая, очевидно, уже задолго до него сложившиеся формы. В частности, орнамент из Орсакдреби представляет очень своеобразную стилизацию, причем совершенно точное повторение его находим на одном камне, вделанном в западный фасад болнисского храма (см. Известия ИЯИМК им. акад. Н. Я. Марра, т. IX, Тбилиси, 1940, стр. 87, рис. 52).

Такой же геометрический характер носит и другой орнамент из Орсакдреби, представляющий из себя двойной лучковый фриз из пальметок (рис. 10). По стилю и этот камень нужно отнести к VI—VII векам. Точно такой же камень был найден при раскопках опять-таки в Болниси.

Пятью километрами ниже лежит сел. Кианети. В полукилометре от селения, на краю шоссе, сохранились остатки маленькой однонефной церкви (рис. 11), которая, судя по плану (ср., напр., Саорбиси и др.), облицовке из разнокалиберных и разноцветных камней, по орнаментальной резьбе позднего грузинского плетения и по простому карнизу в виде полочки, подобный которому находим на памятниках X—XII веков (Кягмис-Алты, Цхаростави и др.), может быть датирована XII—XIII веками. Но определенным указанием на существовавшую здесь когда-то более древнюю постройку может служить вставленный снаружи в северный угол церкви камень с болнисским медальоном и более поздней грузинской надписью, палеографически относящейся к XI—XII векам.

В самом сел. Кианети есть также маленькая однонефная церковь с армянскими надписями, одна из которых датирована 1516 годом. Тут же находим надгробную плиту с грубоватым, но интересным барельефом.

\* Более поздний случай мне известен, напр., из Талина, но тут трактовка совершенно иная.

рис. 12), который имеет параллели на армянских надгробных камнях XV—XVI веков.

Напротив Кианети, на правом высоком берегу Машавери, скрытыми в густом лесу лежат развалины монастыря Давид-Сагареджо, главный храм которого представляет из себя среднего размера однонефное здание, облицованное прекрасно тесаными плитами светлозеленоватой породы и бывшее, очевидно, богато украшенным барельефами и резьбой. Оно может быть датировано XIII—XIV веками.

